გაზეთი ზეგრის, „ვერსია" ერთი

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№10 (766) 30 - 31 იანვარი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

პრეზიდენტის დედას მთავარ პროკურატურაში უჩივიან

როგორ ართმევდა გიული ალასანია ბიზნესმენებს მიწის ფართებს გიგი უგულავასა და გიორგი ღვინიაშვილის დახმარებით?!

გვ. 2

ავთანდილ დემეტრაშვილს კონსტიტუციონალიზმის ცენტრის შენობიდან აგდებენ?!

რატომ დაუხურა „ოცნებამ" საგანმანათლებლო ცენტრი და რატომ ეუბნება უარს თანამშრომლობაზე პარლამენტი ავთანდილ დემეტრაშვილს

გვ. 3

შემოსავლების სამსახურის აჭარის ბიუროს უფროსი, დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, ღარიბაშვილის უწყებამ დააკავა

გვ. 2

ვინ არის გიორგი ემირიძე, რატომ დატოვა „ეროვნული ფორუმი" და ვისი რეკომენდაციით დანიშნა ნოდარ ხადურმა შემოსავლების სამსახურის უფროსად

„ჩემი მეუღლის სიკვდილი სასწრაფოს მთვრალი ექიმის არასწორად დასმულმა დიაგნოზმა გამოიწვია და მერე მკურნალმა ექიმმაც დაამატა"

გარდაცვლილი პაციენტის მეუღლე ქმრის სიკვდილში ექიმებს ადანაშაულებს

გვ. 10

20 გვერდი

ექსკლუზიური ინტერვიუ სოზარ სუბართან

გვ. 5

რატომაა ეროვნული ბანკი პოლიტიზირებული და რა ეკონომიკურ საფრთხეებზე საუბრობს ბანკის ყოფილი თანამშრომელი დავით ბაღათურია

გვ. 6

შალვა რამიშვილი „იმედზე" მიდის?

გვ. 4

ვანო ჩხარტიშვილი:

„ჩემსა და ქალბატონ ინა გუდავაძეს შორის საკაშვილის რეჟიმის მიერ ინსპირირებულ დავასთან დაკავშირებით, პროკურატურამ დადგენილება მიიღო"

გვ. 2

ექსკლუზიური ინტერვიუ „ზედაზენის" დირექტორთან, ვასილ სულხანიშვილთან

„ამ კომპანიის მიღწევა ჩვენი გუნდის თავდაუზოგავი შრომის შედეგია, ცეზარ ჩოჩელი კი არა, ამერიკაში საქართველო არ იციან ნესიერად!"

ზედაზენი

გვ. 7

პრეზიდენტის დედას მთავარ პროკურატურაში უჩივიან

როგორ ართმევდა გიული აღასანია ბიზნესმენებს მიწის ფართებს გიგი უგულავასა და გიორგი ღვინიაშვილის დახმარებით?!

ეკა სეხნიაშვილი

შპს „სპორტლიდერის“ დამფუძნებლები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დედასა და სხვა ყოფილ მაღალჩინოსნებს მთავარ პროკურატურაში უჩივიან. დაზარალებულები გიული ალასანიას ბრალს მათი ქონების მისაკუთრებასა და მიტაცებაში სდებენ. შპს „სპორტლიდერის“ დამფუძნებლები ჩვენთან საუბრისას აცხადებენ, რომ აღნიშნული საკითხის გამოსაძიებლად მთავარ პროკურატურასა და პარლამენტის საგამოძიებო კომისიას ამ დღეებში, ოფიციალურად მიმართავენ და საქმის შესწავლას მოითხოვენ. შპს „სპორტლიდერის“ დამფუძნებლები — ზაზა ნიშნიანიძე, ნოდარ მუსერიძე და ალექსანდრე ანპილოგოვი (წარმომადგენელი ირინა დოლიძე) დეტალურად გვიყვებიან, როგორ წაართვა მათ პრეზიდენტის დედამ, სხვადასხვა ჩინოვნიკების ჩარევით, ბიზნეს-ინვესტიცია და ხელისუფლების რომელი მაღალჩინოსნების საშუალებით ახდენდა ის მათ შანტაჟს, ზეწოლასა და პროკურატურით დაშინებას:

„ჩვენ, რამდენიმე კერძო პირი, 10 000 კვადრატული მიწის ფართისა და ხუთსართულიანი შენობის 1-2 სართულის მოიჯარეები 2004 წლიდან ოფიციალურად, კანონის სრული დაცვით ვიყავით. 2006 წლის ბოლოს, ჩვენ მოგვივიდა თბილისის მერიის ქონების მართვის სამსახურიდან ცნობა, რომ თითქოსდა ვარღვევდით იჯარის პირობებს, თუმცა ამის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი ან ფაქტი არ წარმოუდგენიათ. ვერც წარმოადგენდნენ, რადგან ჩვენს მიერ ხელშეკრულების პირობის დარღვევა არსად დაფიქსირებულა, დათქმულ დროში ვიხდიდით იჯარის გადასახადს და შესრულებული გვქონდა ყველა ის საინვესტიციო პირობა, რაც აღებული გვქონდა ხელშეკრულებით. ტექნიკური უნივერსიტეტის უკან მდებარე შენობის 1-2 სართული, 10-წლიანი იჯარით გვქონდა აღებული და ამავე დროს, სპორტული მოედანი 59-წლიანი იჯარა-აღნაგობის ხელშეკრულებით, სადაც ჩვენ 250 000-დოლარის ინვესტიცია ჩავდეთ ბანკიდან აღებული სესხით, ბანკში გირაოს სახით ჩადებული იყო ერთ-ერთი დამფუძნებლის პირადი საკუთრება, ვინაიდან ბანკი მიწას და არენდას გირაოში არ იდებდა. ამ თანხით ავაშენეთ სპორტული მოედანი და შენობის პირველ სართულზე გავაკეთეთ ოფისი, გასახდელები და საშხაპეები. 2006 წლის სექტემბრიდან, უკვე გაკეთებული ქონების წართმევა მოისურვა გიული ალასანიამ, როგორც შენობის, ასევე მოედნის. 2006 წლიდან მან დაისაკუთრა „გეპეის“ საკუთრებაში მყოფი პოლიკლინიკის შენობა, სრულიად უკანონოდ ტექნიკური უნივერსიტეტის მე-5 კორპუსი, სადაც განათავსა თავისი „საქართველოს უნივერსიტეტი“ და მოისურვა გვერდით არსებული შენობისა და მოედნის დასაკუთრებაც. სწორედ ამ პერიოდში, ჩვენ მოგვივიდა წერილი თბილისის მერიის ქონების მართვიდან და ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, გვიუქმებენ იჯარას. ალასანიას დაკრულზე ცეკვავდა მაშინ მერიაცა და სასამართლოც და შესაბამისად, აზრი არ ჰქონდა სასამართლოში ჩივილს ან ვინ გაბედავდა.

თანაც, ჩვენ ეს იჯარა გაფორმებული გვქონდა თვითონ ქალაქის მერიისგან, ასე რომ, მისივე გადმოცემულ ქონებას ყოველგვარი განმარტების გარეშე, გვართმევდა. გიგი უგულავა, როგორც ვიცით, პირადად იყო დაინტერესებული ამ საქმის მოგვარებით.

ჩვენ წაგვართვეს სპორტული დარბაზის გასახდელები, რომელთა თანამედროვე დონით აღჭურვასა და რემონტში სოლიდური თანხა ჩავდეთ. პარალელურად, პროკურატურაში დაიბარეს ჩვენი ფირმის დირექტორი მერაბ მეტრეველი და მასზე ახდენდნენ სერიოზულ ზეწოლას. მაშინდელი ქალაქის პროკურორი გიორგი ღვინიაშვილი ინტენსიურად რეკავდა მაშინდელ რექტორ, ხუროძესთან და ითხოვდა ფასიანი ქონების გადაცემას. ეს ის პერიოდია, როცა მე-11 მონაკვეთზე არსებული „გეპეის“ შენობა წაართვეს ტექნიკურ უნივერსიტეტს. ამბობდნენ, რომ მაშინდელი განათლების მინისტრის, კახა ლომაიას მამის ბიზნეს-ინტერესს წარმოადგენდა. ჩვენს შემთხვევაში კი, ამჯერად, გიული ალასანიას პირდაპირი ინტერესი იდო და არც მალავდა. ყოველგვარი უწყების გარეშე, უკანონოდ მიიყვანეს ქალაქის პროკურატურაში ჩვენი ფირმის დირექტორი მერაბ მეტრეველი. სერიოზული ზეწოლა მოახდინეს მასზე და უთხრეს, თუ არ დათმობთ ტერიტორიას, დაგიჭერთო.

ეს ტერიტორია 59 წლით გვქონდა აღებული იჯარა-აღნაგობის ხელშეკრულებით და 3 წლის თანხა წინასწარ გადავიხადეთ 2009 წლამდე. ეს იყო წელიწადში 10 000 ლარი. გავარემონტეთ, გავაკეთეთ და ეს ინვესტიცია, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ, აღებული გვქონდა საბანკო სესხით. მოგეხსენებათ, პროკურატურის ზეწოლას მაშინ ვერავინ უძლებდა, მით უმეტეს კაცი, რომელსაც დიაბეტი ჰქონდა და ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებული. ამავე პერიოდში, როდესაც ჩვენ ამ ტერიტორიას არ ვთმობდით, გიული ალასანიამ მისივე ინსტიტუტის რექტორის, მანანა სანოძის მეშვეობით, შეუთვალა ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებს — გია იოსებაშვილსა და ირინა დოლიძეს, საქართველოდან თუ არ წახვალთ, ორივეს დავაჭერინებო! ჩვენ ვითხოვდით რომ ბანკის დარჩენილი კრედიტი მაინც გადაეხადათ, თუმცა პიროვნულმა გავლენამ თავისი ქნა. ესეც რომ არ გადაეხადათ, ყველაზე იოლი, მაგრამ უკანონო გზა მოძებნეს, დასვეს თავისი ხელმძღვანელობა 2006 წლის ნოემბერში ტექნიკურ უნივერსიტეტში და პროკურატურის, ქალაქის მერიისა და ტექნიკური უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, არჩილ მოწონელიძისა და იმდროინდელი კანცლერის მეშვეობით, ტექნიკური უნივერსიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, კანონის დარღვევით გაგვიუქმა იჯარა-აღნაგობის ხელშეკრულება 2007 წლის მარტში და უკან დაუბრუნა ორ თვეში მერიას, რომელმაც თავის მხრივ, უსაჩუქრა გიული ალასანიას ინსტიტუტს კაპიკებში. თუმცა იჯარა-აღნაგობის ხელშეკრულების თანახმად, მათ უნდა გადაეხადათ ჩვენთვის ხარჯები, 250 000 დოლარის ოდენობით, რომელიც ჩვენ ჩავდეთ ამ ობიექტების გაკეთებაში. ამიტომაც ჩვენ ახლა მივმართავთ ჯერ პარლამენტის საგამოძიებო კომისიას, რომელიც მალე დაიწყებს საქმეების განხილვას, მათ შორის ჩვენი საქმისაც, თუ როგორ აგვართვა გიული ალასანიამ მერიის, პროკურატურის, ტექნიკური უნივერსიტეტის ხელშეწყობით ჩვენი კანონით მინიჭებული იჯარა-აღნაგობით გადმოცემული ფართები. მთავარ პროკურატურაშიც შევიტანთ პარალელურად სარჩელს. ჩვენი შემთხვევა თვალსაჩინო მაგალითია, როგორ ექცეოდნენ სააკაშვილის ნათესავები იმ ბიზნესმენებს, რომელთა ქონებასაც თვალს დაადგამდნენ და როგორ იყენებდნენ სახელისუფლებო ბერკეტებს ამისთვის“.

აჭარის შემოსავლების სამსახურის უფროსი გიორგი ემირიძე, დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დააკავეს. შემოსავლების სამსახურის აჭარის ბიუროს უფროსად, გიორგი ემირიძე საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა 2012 წლის 14 ნოემბერს წარადგინა.

ვინ არის გიორგი ემირიძე, რაცომ დაცოვა „ეროვნული ფორუმი“ და ვისი რეკომენდაციით დანიშნა ნოდარ ხადურმა შემოსავლების სამსახურის უფროსად

შემოსავლების სამსახურის აჭარის ბიუროს უფროსი, დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, ღარიბაშვილის უწყებამ დააკავა

გია ემირიძის დაკავებასთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„2013 წლის 29 იანვარს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აჭარის ბიუროს უფროსი გიორგი ემირიძე დააკავეს. ემირიძემ შპს „შავი ზღვის სალოცმანო სამსახურის“ დამფუძნებლებისგან, სამსახურებრივი მფარველობის სანაცვლოდ, დიდი ოდენობით ქრთამი აიღო.

აღნიშნული დანაშაული, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით, შვიდიდან თერთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცავებმა გიორგი ემირიძის ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, ქრთამის სახით მიღებული 15 000 ლარი ამოიღეს“.

გია ემირიძე, შემოსავლების სამსახურის აჭარის ბიუროს უფროსად, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა წარადგინა. ჯერ კიდევ მისი წარდგენის დროს, 2012 წლის 14 ნოემბერს, ხადურმა ემირიძეს მოქნილი საგადასახადო სისტემის შემუშავება დაავალა. სისტემის დეცენტრალიზაციის ხარჯზე, გარკვეულ ფუნქციებს აჭარის შემოსავლების სამსახური შეითავსებდა, რაც გადამხდელებს საშუალებას მისცემდა, რომ მათთვის საინტერესო და საჭირო საკითხები ადგილზე გაერკვიათ. თანამდებობაზე დანიშვნიდან ორ თვეში გაირკვა, რომ ემირიძის კანდიდატურამ არ გაამართლა. საინტერესოა, ვინ არის გია ემირიძე, ან რატომ დანიშნეს ამ თანამდებობაზე? ინტერნეტის საშუალებით, ემირიძის შესახებ საინტერესო ინფორმაციები მოვიძიეთ:

„აჭარის რეგიონში, „ქართული ოცნების“ კოორდინატორად გია ემირიძე, ჯერ კიდევ, 2012 წლის იანვარში დანიშნეს. ეს ის გია ემირიძეა, რომელიც წლების წინ, აჭარის რეგიონში „ეროვნულ ფორუმს“ თავმჯდომარეობდა და რომელმაც „ფორუმის“ ლიდერს კახა შარტავას განცხადება მიართვა, ხელისუფლების ზეწოლას ვერ გავუძელი, ამიტომ თავმჯდომარეობიდან გადამაყენეთო. სხვათა შორის, აჭარის რეგიონში „ეროვნულ ფორუმს“ საკმაოდ ძლიერი ორგანიზაცია ჰყავდა და მისი დაშლა ემირიძის სინდისზეა. ემირიძის სახლში, პიონერთა პარკის წინ, მის სადარბაზოში, მისსავე სართულზე, აჭარის კუდ-ის უფროსი, პატარიძე ცხოვრობს. 2003 წლის შემოდგომაზე, ასლან აბაშიძის მმართველობის დროს, თბილისში, შევარდნაძის მხარდასაჭერ მიტინგზე, ხალხით დატვირთულ ავტობუსებს, სწორედ გია ემირიძე აცილებდა. იმ პერიოდში, ემირიძე ბათუმის „ავტოტრანსის“ დირექტორი იყო“.

გია ემირიძის შესახებ კიდევ ერთ, საინტერესო ინფორმაციას გადავაწყდით. საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს, „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე, ვინმე ზურაბ მელიქაძემ მისწერა: **„გავიგე, აჭარის შემოსავლების სამსახურის უფროსად გია ემირიძე დაგინიშნავთ, რამაც ნამდვილად აღმაშფოთა. გიორგი ემირიძე ორჯერაა ნასამართლევი იმ საქმეებზე, რომელიც ფინანსურმა პოლიციამ ჯერ კიდევ 2004 წელს აღძრა. რა ხდება?“**

ვანო ჩხარტიშვილი: „ჩემსა და ქალბატონ ინა გუდავაძეს შორის სააკაშვილის რეჟიმის მიერ ინსპირირებულ დავასთან დაკავშირებით, პროკურატურამ დადგენილება მიიღო“

პროკურატურამ ბადრი პატარკაციშვილის ცოლს, ინა გუდავაძეს ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ ყველა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა.

ამის შესახებ „თბილისი მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ჩხარტიშვილის ადვოკატმა, დიმიტრი გაბუნიამ განაცხადა, რომელმაც ჟურნალისტებს პროკურატურის მიერ 26 იანვარს მიღებული დადგენილება გააცნო, რომლის თანახმადაც, ვანო ჩხარტიშვილთან დაკავშირებულ ყველა საქმეზე სისხლის სამართლებრივი ძიება შეწყდა

აღნიშნულთან დაკავშირებით, ვანო ჩხარტიშვილმა განცხადება გაავრცელა, რომელსაც „ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ:

„საზოგადოებისთვის ცნობილია ჩემსა და ქალბატონ ინას შორის არსებული გაუგებრობების შესახებ, რომელიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის მიერ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან მეოთხე წელს იქნა ინიცირებული.

ჩემთვის ადამიანურად მძიმე და მორალურად მიუღებელი იყო გარდაცვლილი მეგობრისა და საქმიანი პარტნიორის მეუღლესთან დავა. ამიტომაც, კითხვების გაჩენის პირველივე დღიდან, ქალბატონ ინას წინადადებით მივმართე, საკამათო საკითხები მსოფლიოში ცნობილი აუდიტორული კომპანიების მეშვეობით გადაგვეწყვიტა. სამწუხაროდ, მოლაპარაკებები თბილისის მერმა, გიგი უგულავამ ჩაშალა. მისივე ზეწოლითა და შანტაჟით, დავამ სასამართლოში გადაინაცვლა.

ავტორიტეტულმა საერთაშორისო სასამართლომ, რომელიც ქალბატონმა ინამ თვითონ შეარჩია, 2012 წლის ივნისში უარი უთხრა მას სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სააკაშვილის ხელისუფლებამ ამ მარცხზე რევანში სცადა და ქალბატონი ინას წარმომადგენელს 2012 წლის ივნისშივე სარჩელი შეატანინა საქართველოს პროკურატურაში.

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როცა სააკაშვილი იძულებული გახდა, პროკურატურა დაეთმო, უგულავამ და მისმა თანამზრახველებმა ახალ ხელისუფლებასა და პროკურატურაზე ზეწოლა პასკვილებისა და ცილისწამებათა ტირაჟირებით სცადეს, მაგრამ ამაოდ. გასულ კვირას, საქართველოს პროკურატურამ მიიღო დადგენილება, რომლითაც უსაფუძვლოდ სცნო ინა გუდავაძის მოთხოვნები, უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე და ამით საბოლოო წერტილი დაუსვა სააკაშვილის რეჟიმის მიერ ინსპირირებულ დავას. ეს არის სიმართლის გამარჯვება და გამარჯვება არა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახზე, არამედ ჭორებითა და სიცრუით ადამიანების ერთმანეთზე გადაკიდების, დაპირისპირებების პროვოცირების, შურის, ქიშპისა და გაუტანლობის იმ ატმოსფეროზე, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის მკვლელმა სააკაშვილის რეჟიმმა დაამკვიდრა საქართველოში. მომავალშიც ვიქნები ბოლომდე პრინციპული და თანმიმდევრული ყველა იმ საკითხის მიმართ, რომელიც ჩემთან დაკავშირებით, საზოგადოებაში დაისმება.

ჩემთვის ეს საქმე იყო არა ბანალური ბიზნესდავა, არამედ — დავა ღირსებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის მიმართ მაქვს და ყოველთვის მექნება მორალური პასუხისმგებლობა. ამიტომ, მიუხედავად საერთაშორისო სასამართლოს და საქართველოს პროკურატურის გადაწყვეტილებებისა და იმისა, რომ სამართლებრივი დავა საქართველოს ტერიტორიაზე ამოიწურა და გადაწყვეტილებები მიღებულია ჩვენს სასარგებლოდ, არ ვხურავ კარს და მოვუწოდებ ქალბატონ ინას, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან და დავასრულოთ ყველანაირი გაუგებრობა.

29 იანვარი 2013 წ. ლონდონი

ვანო ჩხარტიშვილი

„ვერსიანიუსი“

ავთანდილ დემეტრაშვილს კონსტიტუციონალიზმის ცენტრის შენობიდან აგდებენ?!

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

ავთანდილ დემეტრაშვილს კონსტიტუციონალიზმის ცენტრი დაუხურეს და შენობიდანაც აგდებენ! ამის შესახებ „ვერსიამ“ ექსკლუზიური ინფორმაცია მოიპოვა, თუმცა ახალ ხელისუფლებასთან დაპირისპირების დეტალებზე აქამდე სიტყვა არც დემეტრაშვილს წამოსცდენია და მით უმეტეს, არც ივანიშვილის მთავრობასთან, ამ ფაქტის შესახებ სწორედ მაშინ ვიგებთ, როცა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გამოდის და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სასწრაფოდ შექმნას აანონსებს, რომლის თავმჯდომარე, დიდი ალბათობით, „რესპუბლიკელი“ ვახტანგ ხმალაძე იქნება.

უსუფაშვილმა ეს განცხადება სულ ცოტა ხნის წინ გააკეთა და დასძინა, არ მინდა დაგვაბრალონ, თითქოს კონსტიტუციას საკუთარ თავზე ვირგებთ, ამიტომ კანონში შესატან ცვლილებებზე მთელი კომისია მარტო კოალიციაში კი არა, ხალხთანაც იმუშავებსო. სამაგიეროდ, ქვეყნის ერთ-ერთ ნომერპირველ კონსტიტუციონალისტ ავთანდილ დემეტრაშვილთან საუბრისას აღმოვაჩინეთ, რომ კომისიის მუშაობაში მისი ჩართვით დაინტერესებული თავად კოალიცია არ ყოფილა. დემეტრაშვილის საკონსტიტუციო კომისია, რომელიც, ერთ დროს, ქვეყნის მასშტაბებს უნდა გასცდენოდა, საერთოდ დაიხურა, მერე ახალმა ხელისუფლებამ კონსტიტუციონალიზმის ცენტრიც გააუქმა და დემეტრაშვილს ზრდილობიანად აგრძნობინა, ახალ საკონსტიტუციო ცვლილებებში არ ჩაერიოო. ასე რომ არ ყოფილიყო, პარლამენტი იმ საჯარო განხილვებში, რაც დღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარეობს, ერთმანეთთან მოჩხუბარი დეპუტატებისა და პარტიული აქტივისტების ორად გაყოფილი ბანაკის გარდა, კვალიფიციურ ადამიანებსაც ჩართავდა. დიდი ალბათობით, დემეტრაშვილის ადგილი ვერც ახალ კომისიაში გამოინახება, რომელმაც ქვეყნის მართვის მოდელი უნდა მოამზადოს და, სავარაუდოდ, საპარლამენტო რესპუბლიკად გვაქციოს— მით უმეტეს, იდეას „რესპუბლიკელები“ წლებია, ლობირებენ. **„კონსტიტუციონალიზმი ჩემი პროფესიაა და იმ სახელმწიფო კომისიაში, რომელიც ახლა უნდა შეიქმნას, თუ დამპატიჟებენ, ვიქნები, თუმცა იქ რომც არ ვიყო, ჩემს მოსაზრებებს მაინც გამოვთქვამ — მინდა, ჩემი აზრიც იცოდნენ.**

> **არ ვიცი, ვინ იქნება ამ საკონსტიტუციო კომისიის სათავეში, ალბათ, ვახტანგ ხმალაძე. აქ საუბარი არაა კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებაზე, ეს უფრო**

> **მმართველობის იმ მოდელზე გადასვლაა, რასაც 1993 წლიდან მხარს „რესპუბლიკელები“ და არა მარტო ისინი უჭერდნენ. ამ კომისიის შექმნის იდეა პერსპექტიულად მიმაჩნია, მაგრამ მნიშვნელოვანია, მას ვინ დააკომპლექტებს. ჩემს კომისიაში რეალური განხილვები მქონდა და არა ისეთი, როგორიც ახლაა. დღევანდელი განხილვები არაპროდუქტიულია, აბა, მოეწყოთ განხილვა კონსტიტუციონალისტებში, იურისტებში, კვალიფიციურ ხალხში — საქმე სულ სხვანაირად იქნებოდა!**

არ დაგიმალავთ, წერილიც მივწერე მანანა კობახიძეს, როგორც ამ განხილვების კომისიის თავმჯდომარეს და ვუთხარი, შემიძლია, ჩემთან, კონსტიტუციონალიზმის ცენტრში გავაკეთო შეხვედრები, რათა ხალხმა „დუბინკებით“ კი არ ირბინოს, თავისი პოზიცია არგუმენტებით გამოხატოს-მეთქი და უარი მივიღე — განრიგი უკვე შედგენილია და მას ვერ გადავუხვევთო“, — აცხადებს ჩვენთან საუბრისას ავთანდილ დემეტრაშვილი, რომელიც აშკარა პოლიტიკურ დაპირისპირებაში შესვლას თავს არიდებს. თუმცა „ვერსიის“ მიერ დასმულ კითხვებზე, პირდაპირი პასუხების გაცემა მაინც უწევს: მიჯნავენ თუ არა მიზანმიმართულად ავთანდილ დემეტრაშვილს, როგორც განსხვავებული პოლიტიკური პოზიციის მქონე კონსტიტუციონალისტს, პარლამენტში მიმდინარე პროცესებისგან, რატომ გაუქმდა მისი საგანმანათლებლო ცენტრი, ვინ უნგრევს დარბაზს და აგდებს შენობიდან, რომელსაც თბილისის მერია სულაც არ ედავება, არის თუ არა ეს პოლიტიკური ზეწოლა და ვინ, რა მეთოდით ცდილობს გზიდან მის ჩამოშორებას — ავთანდილ დემეტრაშვილს „ოცნებასთან“ სკანდალური დაპირისპირების დეტალებზე საუბარი უწევს: **„ვინ მოგაწოდათ ეს ინფორმაცია?! ამის შესახებ არასოდეს არაფერი მითქვამს, რადგან არ მინდოდა, გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის ხელი შემეშალა, თუმცა ალბათ ახლა, აზრი აღარ აქვს: 2009 წელს ჩვენი კომისია ამერიკის საელჩოში ფუნქციონირებდა, მერე გადაწყდა, კონსტიტუციონალიზმის ცენტრი, რომლის ხელმძღვანელიც ვიყავი, ბათუმში გადასულიყო. იქ უნდა შექმნილიყო დიდი რეგიონული ცენტრი, სადაც სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი იქნებოდნენ ჩართულნი, უნდა აშენებულიყო ცალკე შენობა, რასაც 2 წელი ვუცადე, მაგრამ შენობა კი არა, ერთი სართულიც არ მომცეს, ამიტომ თბილისში დავბრუნდით, მაგრამ**

> **მოვიდა თუ არა ახალი ხელისუფლება, გააუქმა კონსტიტუციონალიზმის ცენტრი და დღეს ის, როგორც ასეთი, აღარ არსებობს. „ოცნებამ“, უბრალოდ, დაფინანსება აღარ მოგვცა, ახლა ისევ იქ ვართ, ძველ, „თბილქალაქპროექტის“ მახინჯ შენობაში, მაგრამ დაფინანსება არ გვაქვს. შემოიარეთ და ნახეთ, რა დარბაზი გვაქვს, სადაც ბავშვები მეცადინეობენ. ამ**

> **შენობიდან მერია არც გვაგდებს და არც რამეს გვედავება, მერიასთან, რაღაცნაირად, მოვაგვარებთ, მაგრამ განათლების სამინისტრო ამ შენობას გვართმევს! საქმე ძალიან მძიმედაა — 23 თანამშრომელი უმუშევარი გვრჩება და რამდენი ხანია, ლიკვიდაციის პროცესი გრძელდება!“**

დემეტრაშვილის თქმით, მისთვის უცნობია, კონკრეტულად, ვისგან მოდის ეს გადაწყვეტილება, სამაგიეროდ, ცნობილია განათლების სამინისტროს არგუმენტი, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის კი, არც კოალიცია „ქართული ოცნების“ პოზიცია უნდა იყოს ძნელად გამოსაცნობი — „ოცნებასა“ და ქვეყანაში, ვახტანგ ხმალაძის გარდა, სხვა კონსტიტუციონალისტი არ სჭირდებათ! ხოლო საკუთარი, შერბილებული პოზიციის შესახებ თავად ავთანდილ დემეტრაშვილი საუბრობს: **„სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ვისგან მოდის ეს ინიციატივა. განათლების მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა მითხრა, თქვენი ადგილი განათლების სისტემაში არააო, ეს იყო მისი არგუმენტი. ამის შემდეგ, ბატონ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე. თქვენ ის უნდა ნახოთ, ჩვენ რა დარბაზს გვინგრევენ: უბრწყინვალესი დარბაზი გვაქვს, მაგრამ მოდიან და გვეუბნებიან, ამ მაგიდებს წავიღებთ, საწყობში დავყრით, ჩამოვწერთ და გადავყრითო. საელჩოები გვეხმარებოდნენ, ატრიბუტიკას, კონსტიტუციებს, ლიტერატურას გვაწვდიდნენ, აქ ტრენინგი 5 000-მდე ბავშვმა გაიარა, ორი საერთაშორისო ოლიმპიადა ჩატარდა, რა არ მოეწონათ, ვერ გავიგე. არა მგონია, ამას განათლების სამინისტრო აკეთებდეს, თუმცა სხვასთან კონტაქტი არც გვქონია. არ მინდა, რაღაც ბრალდებები წამოვაყენო, არ დაგიმალავთ, არც პოლიტიკური სპეკულაციები მინდოდა ამ თემის ირგვლივ. როცა ვნახე, ჩვენი ცენტრი არ ფინანსდებოდა, უმრავლესობის თანამდებობის პირებს ვუთხარი, საქმე ჩემში თუა, დღესვე გადავდგები თავმჯდომარეობიდან, ოღონდ ცენტრი შეინარჩუნეთ და 23 კაცს ქუჩაში ნუ გაუშვებთ-მეთქი!**

> **იცით, რა ხდება, არჩევნებში საჯაროდ დავუჭირე მხარი ნაციონალურ მოძრაობას. საჯაროდ განვაცხადე, რომ ივანიშვილისთვის მოქალაქეობა კი არ ჩამოურთმევიათ, კანონიერად დაკარგა. ვთქვი, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 2013 წლის ოქტომბერში იწურება — მიჭირს დაჯერება, რომ ეს ყველაფერი ჩემი პოზიციის გამო ხდება! შეიძლება, მართლა არაა საინტერესო კონსტიტუციონალისტი განათლების სისტემისთვის, მაგრამ ვთხოვე მთავრობასა და პარლამენტს, თუ აქ ჩვენი ადგილი არ არის, მაშინ სხვაგან მიგვიღეთ და იქ ვიქნებით-თქო, შევთავაზე რამდენიმე ვარიანტი და ყველაფერზე უარი მივიღე!“**

დასასრული მე-4 გვერდზე

„სანამ აგვისტოს ომი არ მოხდა, ვერ გამოვათრიეთ ისინი დსთ-დან“

განცხადებამ, რომელიც მინსკში, ჟურნალისტებთან საუბრისას რუსეთის საგარეო უწყების დსთ-ს ქვეყნების პირველი დეპარტამენტის დირექტორმა მიხეილ ევდოკიმოვმა გააკეთა, საქართველოს ხელისუფლების მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ევდოკიმოვი აცხადებს, რომ საქართველოს ხელმძღვანელობასთან დსთ-ში დაბრუნებასთან დაკავშირებით კონტაქტები უკვე დაწყებულია და ეს მხოლოდ ამ ქვეყნის ხელმძღვანელობის სურვილით უნდა მოხდეს.

„საქართველო დსთ-დან არავის გაურიცხავს, ეს ამ სახელმწიფოს გადაწყვეტილება იყო“, — განაცხადა რუსმა დიპლომატმა და დასძინა, რომ დსთ-ს წევრი არც ერთი ქვეყანა არ იქნება წინააღმდეგი, საქართველო თანამეგობრობაში დაბრუნდეს.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, „რესპუბლიკელი“ თინა ხიდაშელი უარყოფს რუსი დიპლომატის განცხადებას, რომლის თანახმად, საქართველოს დსთ-ში დაბრუნების საკითხზე თბილისთან პირველი კონტაქტები უკვე შედგა.

„ამ დსთ-ში დაბრუნებაზე მოლაპარაკებები ვინ დაიწყო, ხომ არ გაგიგიათ? კარგად მახსოვს, შესვლისას აღტყინებული, სხდომაზე დაგვიანებული ახალგაზრდები პარლამენტის რომ კიოდნენ, ჩემი ხმა დაამატეთო, მერე ასეთივე აღტყინებული „მოქკავშირელები“ რომ გახდნენ და ორჯერ ჩააგდეს პარლამენტში „რესპუბლიკელების“ ინიციატივა იქიდან გამოსვლაზე, მერე „ნაციონალები“ იყვნენ და სანამ აგვისტოს ომი არ მოხდა, ვერ გამოვათრიეთ დსთ-დან და ახლა, მათი ნაწილი ისევ ხელისუფლებაშია (ბოლოს და ბოლოს, ლუკაშას ძმაკაცი პრეზიდენტი ჰყავთ) და სადმე გვერდზე ხომ არ გადაუხვია და ნოსტალგია შემოაწვა?...“ – წერს ხიდაშელი სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი, ამ საკითხთან დაკავშირებით, ოფიციალურ განცხადებას აკეთებს და აცხადებს, რომ რუსული მედიით გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება:

„მინდა ოფიციალურად განვაცხადო, რომ არანაირი კონტაქტი რუსულ მხარესთან, საქართველოს დსთ-ში დაბრუნებასთან დაკავშირებით, არ არსებობს და არ მიმდინარეობს. ასე რომ, მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსი გაცხადებულია და ესაა ქართველი ხალხის არჩევანი – ევროატლანტიკური ინტეგრაცია“.

„ვერსიანიუსი“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორად არქიტექტორი მერაბ ბოჭოიძე დაინიშნა

ბოჭოიძე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გამართულ პრეს-კონფერენციაზე კულტურის მინისტრმა, გურამ ოდიშარიამ და მისმა მოადგილემ მარინა მიზანდარმა წარადგინეს.

შეგახსენებთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის პოსტზე ბოჭოიძემ ნიკოლოზ ვაჩეიშვილი შეცვალა.

„პირველი“

ირაკლი ჩიქოვანი: „ირაკლი ალასანია და „თავისუფალი დემოკრატები“ კოალიციის დატოვებას არ ვაპირებთ!“

For.ge-ს პრესკლუბში საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა ირაკლი ჩიქოვანმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

— ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკად უნდა გარდაიქმნას და ამას თქვენი პარტია ეწინააღმდეგება. რით ხსნით ამგვარ აზრთა სხვადასხვაობას?

— ჩვენი პოზიცია, ქვეყნის მოწყობასთან დაკავშირებით, ახალი არ არის, „თავისუფალ დემოკრატებს“ ის უკანასკნელ პერიოდში არ შეგვიმუშავებია. რამდენიმე წლის წინ, როდესაც ჩვენი პარტია ჩამოყალიბდა, მაშინაც ღიად გაცხადებული პოზიცია გვქონდა, რომ საქართველოსთვის სწორი მოწყობა იქნებოდა საპრეზიდენტო რესპუბლიკა, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც ბოლო წლების განმავლობაში, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეგვაჩვია, არამედ რეალური საპარლამენტო კონტროლით. ამასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობა, რა თქმა უნდა, არსებობს. ასე რომ არ იყოს, სხვადასხვა პარტიები არ ვიქნებოდით და ყველაფერზე ერთი აზრი გვექნებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენს ამ განსხვავებულ პოზიციას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია, რომ თავის დროზე, იგივე „რესპუბლიკურ პარტიასთან“ ალიანსი შეგვექმნა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ერთად გვებრძოლა. ასევე ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები გავმხდარიყავით. ამ კოალიციაში ძალიან ბევრი სხვადასხვა შეხედულების პარტია არსებობს, რაც კარგია. საარჩევნო პერიოდმა და წინასაარჩევნო კამპანიამ დაგვანახა, რომ მიუხედავად ჩვენი სხვაობებისა, მოლაპარაკებების გზით, შეგვიძლია, იმ საერთო გამოსავლამდე მივიდეთ, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება.

ამ შემთხვევაში, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჩვენ ყველა კარგად ვიაზრებთ იმას, ქვეყანაში აუცილებელია, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზუსტი და სრულფასოვანი საპარლამენტო კონტროლი ხორციელდებოდეს. სხვაობები არის, მაგრამ გადაულახავ სხვაობას ვერ ვხედავ. კოალიციაში ამაზე საუბარი გვექნება. ამასთანავე, მოგეხსენებათ, უახლოეს მომავალში შეიქმნება სახელმწიფო კომისია, რომელიც ზოგადად, ქვეყნის კონსტიტუციურ მოწყობაზე იმსჯელებს. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ამ ჯგუფის მუშაობის ფარგლებში, სასურველ შედეგებსა და საერთო პოზიციას მივაღწევთ.

— საპრეზიდენტო რესპუბლიკაზე საუბრისას თუ განიხილება პრეზიდენტობის კანდიდატი და იქნება თუ არა ეს ისევ ირაკლი ალასანია?

— რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატს, ოქტომბერში გვაქვს არჩევნები და ლოგიკურია, ეს გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. როდესაც ვამბობ „ჩვენ“, ვგულისხმობ ჩვენს პარტიასაც და ჩვენს კოალიციასაც. რა თქმა უნდა, ეს იქნება კოალიციის ერთიანი გადაწყვეტილება და დარწმუნებული ვარ, გვეყოლება ღირსეული კანდიდატი, რომელიც არჩევნებში გაიმარჯვებს, თუმცა ამ თემაზე კოალიციაში მსჯელობა და კონსულტაციები ჯერ არ ყოფილა, მაგრამ ვიმსჯელებთ და მივალთ შეთანხმებამდე.

— შესაძლოა თუ არა, ეს იყოს ირაკლი ალასანია?

— მე არც გამოვრიცხავ და არც დავუშვებ, არ დავიწყებ იმაზე საუბარს, ეს ირაკლი ალასანია იქნება თუ ვინმე სხვა. მოგეხსენებათ, ამ თემაზე საუბარს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია მოჰყვა. ეს კოალიციის განსახილველი საკითხია და გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ირაკლი ალასანიამ თავდაცვის სამინისტრო, ხოლო „თავისუფალმა დემოკრატებმა“, შესაძლოა, კოალიცია დატოვოთ. შეგიძლიათ, ეს ინფორმაცია დაადასტუროთ ან უარყოთ?

— არც ერთ ამ ინფორმაციას არ ვადასტურებ. ირაკლი ალასანია „თავისუფალი დემოკრატების“ გამგეობის წევრია. მან პარტიის თავმჯდომარის პოსტი მაშინ დატოვა, როდესაც თავდაცვის მინისტრად დაინიშნა და ეს გადაწყვეტილება დაკავშირებული იყო იმასთან, რომ არ ექნებოდა დრო პარტიის საქმიანობისთვის, თუმცა ის რჩება ჩვენი პარტიის გამგეობის წევრად და პარტიის ლიდერად. „თავისუფალი დემოკრატებიც“ არ ვაპირებთ კოალიციის დატოვებას.

— დავით დარჩიაშვილმა განაცხადა, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კულუარებში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებებია მოსალოდნელი და ეს ინფორმაცია რუსმა პოლიტიკოსებმა მიაწოდეს. თქვენ თუ გსმენიათ ამის შესახებ და კონკრეტულად, ვისზე საუბრობდა დარჩიაშვილი?

— მე ვერაფერს გეტყვით ბატონი დავითის რუს კოლეგებთან ურთიერთობებზე. ალბათ, ეს მას უნდა ჰკითხოთ და არც ის ვიცი, რა ინფორმაციას აწვდიდნენ. სტრასბურგში საუბარი იმის თაობაზე, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტში, შესაძლოა, ცვლილება მოხდეს, არ მსმენია და ამაზე ვერაფერს გეტყვით.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებული 28 500 ოჯახიდან, ამ ეტაპზე, კომპენსაცია 6 970-ს ჩაერიცხა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, „კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებული 28 500 ოჯახიდან, ამ ეტაპზე, კომპენსაცია 6 970-ს ჩაერიცხა“. კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის თანხის ჩარიცხვასთან დაკავშირებული მონაცემები მედიის წარმომადგენლებს სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, თენგიზ შერგელაშვილმა გააცნო. მისი თქმით, ამ ეტაპზე გადარიცხულმა თანხის ოდენობამ 22 655 000 ლარი შეადგინა.

„დღეს დამატებით 850 ოჯახის სია გადაიგზავნა და მათ ანგარიშებზე 2 400 000 ლარის ოდენობის თანხა დაერიცხებათ“, — განაცხადა შერგელაშვილმა და დასძინა, რომ პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება და საბოლოო ჯამში, კომპენსაციების საერთო ოდენობა დაახლოებით, 95 მილიონ ლარს შეადგენს.

„პირველი“

შალვა რამიშვილი „იმედზე“ მიდის?

„დიდი მადლობა, რომ ამიტანეთ, გამიძელით, 2 წელი მიყურეთ... ეს ჩემი ბოლო ეთერია ამ არხზე. მივდივარ, რადგან მიმაჩნია, რომ აქ ჩემი თავი ამოვწურე“, — ასე დაემშვიდობა ტელეკომპანია „მაესტროს“ მაყურებელს შალვა რამიშვილი პირდაპირ ეთერში. ბოლო დროს, რამიშვილის ირგვლივ რამდენიმე ჭორი აგორდა — მამუკა ღლონტთან ურთიერთობის გაფუჭებიდან დაწყებული, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დირექტორად არარჩევით დასრულებული, თუმცა როცა „ვერსიამ“ წამყვანს არხიდან წასვლის რეალურ მიზეზებზე ჰკითხა, მან ყველა გავრცელებული ხმა უარყო.

შალვა რამიშვილი: „ვეძებ სხვა წინადადებებს, რადგან მიმაჩნია, რომ ამ არხზე თავი უკვე ამოვწურე. რაც შეეხება იმას, მაქვს თუ არა კონფლიქტი „მაესტროს“ ხელმძღვანელობასთან, ჩემი პასუხია — არა! მინდა, სხვაგან გამოვცადო ჩემი შესაძლებლობები. არაა გამორიცხული, ეს მოხდეს რომელიმე სხვა არხზე. ჩემს სახელთან რაცაა დაკავშირებული, რა პროექტებიც მაქვს და რა გადაცემების წამყვანიც ვარ, ისინი ჩემთან ერთად, სხვა არხზეც განხორციელდება. ეს იქნება არა მხოლოდ პოლიტიკური თოქშოუები, არამედ მაქვს ამბიცია, რომ ბევრნაირი გადაცემის წაყვანა შემიძლია!“

ცხადია, რამიშვილი „მაესტროდან“ გარანტიების გარეშე არ წამოვიდოდა, როგორ თავად ამბობს, უკვე მიიღო რამდენიმე შეთავაზება, რომელთა გახმაურებას, ჯერჯერობით, არ აპირებს: **„მაქვს რამდენიმე წინადადება, უბრალოდ, ამაზე ჩემი მხრიდან საუბარი ძალიან არაკორექტული იქნება, ვიდრე კონტრაქტს არ მოვაწერ ხელს. ჩემი გადაწყვეტილება არანაირად არაა დაკავშირებული ფინანსურ უკმაყოფილებასთან, ასეთი რამ, უბრალოდ, არასოდეს მომხდარა ისევე, როგორც არ ყოფილა დაპირისპირება „მაესტროს“ მფლობელებთან — გადავწყვიტე, ამჯერად, სხვაგან ვცადო საკუთარი შესაძლებლობები“.**

როგორც „ვერსიამ“ გაარკვია, შალვა რამიშვილი შესაძლებლობებს, ამჯერად, „იმედზე“ ცდის, რომელიც, სხვათა შორის, უკვე დააკომპლექტა „მაესტროსა“ და „მეცხრე არხის“ საკმაოდ დიდმა შემადგენლობამ. ასე რომ, ცოტა ხანში, გავრცელებული ხმების თანახმად, რამიშვილსაც „იმედის“ ეთერში ვიხილავთ.

ნინო კომახიძე

ავთანდილ დემეტრაშვილს კონსტიტუციონალიზმის ცენტრის შენობიდან აგდებენ?!

მე-3 გვერდიდან

„ვერსიამ“ კი პასუხი განათლების მინისტრის, **გიორგი მარგველაშვილისგან** მიიღო, რომელიც ინფორმაციასა და მისი სამინისტროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გვიდასტურებს, მაგრამ პოლიტიკურ მოტივაციას გამორიცხავს: **„შენობა მერიის ბალანსზეა და ჩვენ მას არავის ვედავებით, მაგრამ, ზოგადად, მე რომ მკითხოთ, რა თქმა უნდა, მირჩევნია, ეს ფართი დაცალონ. იმ შენობაში განათლების სამინისტროს რაღაც ცენტრი მართლაც ფუნქციონირებდა, მაგრამ არასდროს არავინ გამიგდია და გამისახლებია! გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, ჩემს სამინისტროში კვლავ ათასობით ადამიანი მუშაობს და იკითხეთ, ვინმე თუ გამიშვია სამსახურიდან და, თქვენ ამბობთ, რომ მაინცდამაინც, ავთანდილ დემეტრაშვილს მივადექი გასასახლებლად?! ყველაფერს თავისი პოლიტიკური მოტივაცია აქვს, მაგრამ დამიჯერეთ, ამას არათუ გამოვრიცხავ, არამედ ჩემს საქმიანობაში პოლიტიკური მოტივაცია ზოგადად არ არის!**

მე და ბატონ ავთო დემეტრაშვილს გვქონდა შეხვედრა, დეტალურად გავიარეთ ეს საკითხი და ძალიან საწყენია, თუ ის ახლა ასეთ განცხადებებს აკეთებს — მას ჯერ კიდევ წინა წელს ვუთხარი, რომ არ ვაპირებ, შევინახო კონსტიტუციონალიზმის ცენტრი, რომელიც სრულიად ხელოვნურადაა მიბმული განათლების სამინისტროსთან! შესაბამისად, 2013 წლის ბიუჯეტში ამ ცენტრის დაფინანსება გათვალისწინებული საერთოდ არ არის. ეს ცენტრი, უბრალოდ, აღარ არსებობს და გაუქმებული ცენტრის თანამშრომლებს ხელფასს არ გადავუხდი. რომ იცოდეთ, ეს ერთადერთი პროექტი არაა, რომლის დაფინანსებაც შევწყვიტეთ — ასე მოხდა საზაფხულო დასაქმების პროექტის დაფინანსების შემთხვევაშიც, რადგან მირჩევნია, ფული მივცე სტუდენტებსა და მასწავლებლებს, ვიდრე ამ ტიპის პროექტებში ვიხადო! ბატონ ავთოსთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, მეგონა, იმ დასკვნამდე მივედით, რომ კი, ბატონო, ეს ცენტრი არსებობდეს, უბრალოდ, უფრო სწორი და ლოგიკური იქნება, ის განათლების სამინისტროს კი არა, პარლამენტის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ან ისეთი მნიშვნელოვანი ორგანოს ბალანსზე იყოს, როგორიც საკონსტიტუციო სასამართლოა!“

ყველა ეს ორგანო კი ავთანდილ დემეტრაშვილს ცენტრის არსებობაზე უარს ეუბნება. შესაბამისად, მეტი მოტივი რჩება პოლიტიკური ინსინუაციებისთვისაც — დემეტრაშვილი „რესპუბლიკელების“ ხელით, რომლის ლიდერებიც, სხვათა შორის, გამოცდილი კონსტიტუციონალისტის აღზრდილები არიან, განათლების სამინისტრომ, ხარჯების დაზოგვის მიზნით, თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა, თამაში კი ახლა უკვე შიდაკოალიციურ კულუარებში გრძელდება!

სოზარ სუბარმა ივანიშვილის პარტია დაჭოვა

რუსუდან შელია
პოლიტიკა

რაფომ ამბობს უარს ციხეების მონიფორინგის საბჭოში ჟურნალისტების შეყვანაზე სასჯელაღსრულების მინისტრი, მართლა აინფიცირებდნენ თუ არა, წინა ხელისუფლების დროს პატიმრებს შიდსისა და სხვა ვირუსებით და რა ცვლილებები იგეგმება სამედიცინო კუთხით საპატიმროებში

რა შეიცვალა სასჯელაღსრულების სისტემაში არჩევნების შემდეგ, რატომ არ გამორიცხავს მსჯავრდებულთა სუიციდის ფაქტებს, რამდენად დაცულია პატიმრის ჯანმრთელობა, რა მიზეზით არ იქნებიან მედიის წარმომადგენლები მონიტორინგის ახალ საბჭოში და რატომ თქვა უარი სოზარ ზუბარმა პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკურ მდივნობაზე? „ვერსიის“ კითხვებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი პასუხობს.

— მას შემდეგ, რაც სასჯელაღსრულების სამინისტრო ჩავიბარე, საპატიმროებში მსჯავრდებულებთან ურთიერთობა ადამიანური გახდა. გარწმუნებთ, პატიმართა სამარცხვინო წამება, რაც წინა ხელისუფლების რეჟიმმა დაამკვიდრა, ერთხელ და სამუდამოდ, დავიწყებას მიეცემა! უმოწყალო ცემისგან პატიმრების უმეტესობას ცხვირის ძგიდე დამტვრეული ჰქონდა, ასევე, ხერხემლისა და ფეხებსშუა დარტყმებისგან სხეულის სხვა ნაწილების სერიოზული პრობლემები აღენიშნებოდათ. მოგეხსენებათ, შექმნილია კომისია, რომელიც დასნეულებულ პატიმრებს ციხეებიდან ათავისუფლებს. წინა ხელისუფლების დროს, ცხრა წლის განმავლობაში, 11 მძიმე ავადმყოფი პატიმარი გაათავისუფლეს, ბოლო ორი წელი კი, არავინ გათავისუფლებულა. ჩვენ, კომისიის შექმნიდან ორი თვის განმავლობაში კი, 27 მსჯავრდებული გავათავისუფლეთ, მათ შორის, 14 — ერთ სხდომაზე.

— ეს გასაგებია, ბატონო სოზარ, მაგრამ დაკავებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერი კეთდება?

— სტატისტიკას გაგაცნობთ: ოქტომბერში, სამოქალაქო სექტორში, 733 პატიმარი გადავიყვანეთ, რაზეც 159 ათასი ლარი დაიხარჯა. ნოემბერში — 1140 პატიმარი, დახარჯული თანხის ოდენობამ 278 ათასი ლარი შეადგინა. დეკემბერში კი, 740 პატიმრის მკურნალობაზე, 160 ათასი ლარი დავხარჯეთ. იმედია, ეს თანხა ნელ-ნელა დაიკლებს, რადგან ამინისტიით, პატიმართა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამასთან, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე პატიმრებს ათავისუფლებს. არ ვამბობ, რომ პატიმრების ჯანმრთელობა სრულად უზრუნველყოფილია, თუმცა ამ მიმართულებით სერიოზული წინსვლა გვაქვს.

— „ნიუ ჰოსპიტალთან“ კონტრაქტი სკანდალურად შეწყვიტეთ — ბადრაგმა ექიმის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ვერ შეძლო. ციხეში სამედიცინო მომსახურების პრობლემა როგორ გადაწყდა?

— „ნიუ ჰოსპიტალი“ ჩვენი ყველაზე მსხვილი პროვაიდერი იყო, თუმცა კონტრაქტის შეწყვეტის სურვილი თავად გამოთქვა. რაც შეეხება ბადრაგის მიერ ექიმის ვერდაცვას, ამის მიზეზი ის გახდა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დისციპლინის დაცვა გართულდა — ე.წ. ციხის კადრების შემდეგ, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა პატიმრები ბოლომდე „მიუშვეს“, რამაც უმართავი მდგომარეობა გამოიწვია. დისციპლინის ერთბაშად აღდგენა ადვილი არ აღმოჩნდა, რამაც პრობლემები გამოიწვია: საპატიმროებში ჩხუბი, ამასთან, პატიმრებმა საავადმყოფო, პრაქტიკულად, დალეწეს. შევეცადეთ, სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელობა დაგვერწმუნებინა, ყველა პრობლემას ერთ კვირაში მოვაგვარებდით და მსგავს ფაქტებს სისტემური ხასიათი არ ექნებოდა. გამონაკლისისგან ხომ არავინაა დაზღვეული?! თანაც, უახლოეს დღეებში ახალი პროექტის ამუშავებას ვიწყებთ, რომელიც ციხის შიგნით ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტებს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს. საკმაოდ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, მივედით დასკვნამდე, რომ სჯობდა, სასწრაფო დახმარების კომპანიებთან დაგვედო ხელშეკრულება, რომლებიც მუდმივად იმორიგეევებენ ციხის შიგნით. ამ გადაწყვეტილებას რამდენიმე ფაქტორი დაედო საფუძვლად: ექიმების შტატები არ გვყოფნის, ღამის მორიგე ექიმები, პრაქტიკულად, არ გვყავს, გამოძახების შემთხვევაში, სწრაფი რეაგირება რთულია, რადგან, მაგალითად, ქსნისა და რუსთავის ციხე შორსაა და, შესაძლოა, ექიმმა დაიგვიანოს. შტატების დამატება სერიოზულ დაფინანსებას მოითხოვს, თანაც ეს პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს, რაც ხანგრძლივი პროცედურაა. შესაბამისად, სასწრაფო დახმარების მანქანა საპატიმრო დაწესებულებების ყველა ეზოში იქნება, რომელსაც ექიმიც ეყოლება, ექთანიც და მინიმალური საოპერაციო დანადგარებიც ექნება. დაავადებული პატიმრის ქალაქში გაყვანასაც, თუკი ამის საჭიროება გახდა, სასწრაფო დახმარების ბრიგადა უზრუნველყოფს, რომელსაც ბადრაგს გავაყოლებთ. ეს არის გზა, რომელიც ორჯერ იაფი დაგვიჯდება. პარალელურად, ციხის საავადმყოფოს სამედიცინო აპარატურით აღჭურვაზეც ვზრუნავთ — მოგეხსენებათ, მხოლოდ კედლები დაგვხვდა, პერსონალის უმრავლესობა გადამზადებას საჭიროებს. როცა ბოლომდე ჩამოვყალიბდებით, კონკრეტულად, რა გვჭირდება, ვგეგმავ, მთავრობას აპარატურის სწრაფი შესყიდვის თხოვნით მივმართო. ამასთან, ახალ ტუბდისპანსერში, სადაც მკურნალობის მაღალ ხარისხს უზრუნველვყოფთ, ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმრებს მკურნალობის სრული კურსის გავლის შესაძლებლობა მიეცემათ.

— თქვენი მრჩეველი ლალი მოროშკინა აცხადებდა, რომ წინა ხელისუფლების დროს, პატიმრებს სხვადასხვა ვენერიული თუ ვირუსული დაავადებებით სპეციალურად აინფიცირებდნენ და ამ საქმის გამოძიება მოხდებოდა. საქმე უკვე აღძრულია?

— ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე გამოძიება უკვე დაწყებულია. შესაბამისად, თუ ძველი თანამშრომლებისგან პატიმრის წამების ან ღირსების შემლახავ მოპყრობასთან დაკავშირებით, ინფორმაციას ვიღებთ, პროკურატურაში ვგზავნით, სადაც სხვა საქმესთან ერთიანდება. ლალის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, არაერთი მოარული ხმა არსებობს, თუმცა ძველი თანამშრომლების მიერ პატიმრების სპეციალურად დაინფიცირების კონკრეტული ფაქტები არ გვაქვს.

— მას შემდეგ, რაც მინისტრი გახდით, საზოგადოების კრიტიკა არაერთხელ დაგატყდათ, პატიმრების პროტესტზე რომ აღარაფერი ვთქვათ. აღიარებთ, რომ თემურ კორტავას თვითმკვლელობის აცილება შესაძლებელი იყო...

— სუიციდის ფაქტებს ციხეში ვერც მომავალში გამოვრიცხავთ. თვითმკვლელობისგან საპატიმროები კი არა, მილიარდერთა საზოგადოებაც არაა დაზღვეული, რომელსაც მაღალი ხარისხის მკურნალობისთვის ყველანაირი შესაძლებლობა აქვს. დიახ, კორტავას გარდაცვალების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო — ექიმმა პატიმრის უსაფრთხოების დაცვა ითხოვა, რის შემდეგაც, ის სამართოო საკანში გადაიყვანეს, სადაც მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, თანამშრომელმა, რომელსაც კამერისთვის თვალყურის დევნება ევალებოდა, შეცდომა დაუშვა და კორტავამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა მოახერხა. ყველაფერი ვიდეოკამერებზეც დაფიქსირდა. წარმოიდგინეთ, ათი წუთი ჰქონდათ, ადამიანი რომ გადაერჩინათ. სხვათა შორის, სუიციდის რამდენიმე მცდელობა ამ დღეებშიც გვქონდა — ახალი წლის შემდეგ, თვითმკვლელობა ორმა პატიმარმა სცადა, თუმცა ორივე შემთხვევაში, სწრაფი რეაგირება მოვახდინეთ. ვიმეორებ, ამისგან დაზღვეული არც ერთი სახელმწიფო არაა. პატიმარს შეიძლება, ინსულტმაც „დაარტყას“ ან გული გაუჩერდეს... უბრალოდ, ჩვენი მოვალეობაა, მსგავსი შემთხვევები მინიმუმამდე დავიყვანოთ.

რაც შეეხება რუსთავში პატიმრების მხრიდან ბუნტის მცდელობას, მათ ახალი დირექტორის დანიშვნა გააპროტესტეს, რომელიც ყოფილი პოლიციელია. ითქვა, რომ მან ერთ-ერთ პატიმარს შეურაცხყოფა მიაყენა, რაც საბოლოოდ, ვერ დადასტურდა, თუმცა არ გამოვრიცხავ, სიტყვიერი მუქარა რეალურად ყოფილიყო.

— ესე იგი, პატიმართა პროტესტის სამართლიანობას აღიარებთ?

— იცით, თავისთავად კარგი ფაქტია, ციხის დირექტორის ერთ მუქარაზე, ასეთი ამბავი რომ ატყდა. მახსოვს, როცა სახალხო დამცველი ვიყავი, მონიტორინგის კომისიამ აღმოაჩინა, რომ ქუთაისის მეორე დაწესებულებაში 250 პატიმარი სასტიკად იყო ნაცემი, თუმცა ისე იყვნენ დაშინებულნი, რომ ხმა ერთსაც არ ამოუღია... მედიასა თუ საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაციები აბსოლუტურად გაბუქებული იყო. ამბობდნენ, თითქოს ციხეში სპეცრაზმი შევიყვანეთ, ხალხს ვხოცავდით, ყველგან სისხლის გუბეები იდგა და „კარცერები“ გავავსეთ. „კარცერში“ ორი პატიმარი, მართლაც, ჩავიყვანეთ, მაგრამ პატრიარქის თხოვნით, 15 დღის შემდეგ, ამოვიყვანეთ. ისეთი წარმოდგენა არ შეიქმნას, რომ სპეცრაზმს გავაუქმებთ, რადგან აღარ გვჭირდება. პირიქით, თუ საჭირო გახდება, ციხეებში სპეცრაზმი აუცილებლად შევა. საერთოდ, ვინც ციხის თანამშრომლებს შეურაცხყოფას მიაყენებს, უმკაცრესად დაისჯება. სხვათა შორის, მაშინ მონიტორინგის ჯგუფმა სერიოზული დახმარება გამიწია — როცა გარეთ ყვიროდნენ, ციხეში საშინელება ხდებაო, საბჭოს წევრები შედიოდნენ და თავად ნახულობდნენ, რომ სინამდვილეში, არაფერი ხდებოდა. ეს მე რომ მეთქვა, არავინ დამიჯერებდა, მათ კი, საზოგადოების დამშვიდება მოახერხეს.

— თქვენი გადაწყვეტილებით, მონიტორინგის საბჭოს ახალ შემადგენლობაში მედიის წარმომადგენლები აღარ იქნებიან. რატომ გადაწყვიტეთ, ჯგუფი მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დააკომპლექტოთ. საპატიმროებიდან ინფორმაციის გამოტანას ერიდებით?

— მონიტორინგის ეს ჯგუფი, გიორგი ტუღუშმა ფორსმაჟორულ ვითარებაში, ორი თვის ვადით შექმნა. საერთოდ, მონიტორინგის საბჭო საკმაოდ სერიოზული საკითხია, რომელიც, ვფიქრობ, მომავალშიც უნდა გაგრძელდეს, თუმცა გარკვეული სტანდარტებიც უნდა დავიცვათ. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ მინისტრი საბჭოს სიას არ უნდა ადგენდეს, რასაც ვეთანხმები, ამიტომ აღნიშნულ საკითხს უჩა ნანუაშვილთან ერთად გავივლით. გასაგებია ამ თემის ირგვლივ აგორებული კრიტიკაც, მაგრამ ვფიქრობ, ციხეების მონიტორინგი პროფესიონალებს უნდა მივანდოთ. შეიძლება, ადამიანი მწვადის შეწვაში იყოს პროფესიონალი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საუკეთესო მონიტორი იქნება. მედიის წარმომადგენლებზე უარი იმ მოტივით განვაცხადეთ, რომ შერჩევის პრინციპზე ვერ ჩამოვყალიბდით. თუ ციხეში ერთ ჟურნალისტს უშვებ, მეორეც მოითხოვს, რატომ ის და არა — მეო? რით უნდა განვსაზღვროთ მედიის წარმომადგენლების საბჭოში გაწევრიანება — გაზეთის ტირაჟით? საქართველოში არსებული ყველა მედიასაშუალების წარმომადგენელი საბჭოში რომ გავაერთიანოთ, 500-კაციანი ჯგუფი უნდა შევქმნათ, რაც სტანდარტში არ ჯდება. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტებს საშუალებას მივცემთ, გარკვეული საკითხები გააშუქონ, თავად შეისწავლონ და ა.შ.

რაც შეეხება ციხეებიდან ინფორმაციის გატანას, პირიქით, ეს ნამდვილად მაწყობს.

— გამინისტრებამდე, პარტია ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს პოლიტიკური მდივანი იყავით. პარტია დატოვეთ თუ მინისტრის პორტფელთან ერთად, პარტიის შიდა პროცესებშიც ჩართული ხართ?

— ვფიქრობ, პარტიის პოლიტიკური მდივნობა ჩემ თანამდებობასთან შეუთავსებელია. შესაბამისად, პარტია მინისტრად დანიშვნის დღესვე დავტოვე.

— თუმცა კოალიციაში ისევ რჩებით და, ალბათ, იცით, იგეგმება თუ არა მთავრობაში საკადრო ცვლილებები, რაზეც დიდი ხანია კულუარებში საუბრობენ?

— დღეს ცვლილებებზე არავინ ფიქრობს, თუმცა, შესაძლოა, ხვალ-ზეგ, მთავრობის რომელიმე წევრის დათხოვნა დაიგეგმოს. ისე, ხმა, რომელიც რამდენიმე ადამიანზე დადის, სიმართლეს არ შეესაბამება.

28 იანვრის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად ციხეები 3 961-მა ადამიანქმა დატოვა

ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის ძალაში შესვლისთანავე, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ მსჯავრდებულთა საქმეები გადაგზავნა სასამართლოებში. საქმეების განხილვის შედეგად, მსჯავრდებულები ეტაპობრივად დატოვებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებს.

2013 წლის 28 იანვარს, ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან გათავისუფლდა 112 ბრალდებული/მსჯავრდებული.

2013 წლის 28 იანვრის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები დატოვა სულ 3 961-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა, მათ შორის 175-მა პოლიტპატიმარმა, 134-მა მდედრობითი სქესის სრულწლოვანმა (№2 დაწესებულება — 1, №3 დაწესებულება — 3, №5 დაწესებულება — 130) და 6-მა მამრობითი სქესის არასრულწლოვანმა (№8 დაწესებულება — 1, №17 დაწესებულება — 4, №18 დაწესებულება — 1) ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ციხეებში უკანონოდ დამონტაჟებული ფარული მოსასმენი და ვიდეოჩამწერი აპარატურა აღმოაჩინეს

როგორც ბრიფინგზე შსს-ს პრესს-პიკერმა ნინო გიორგობიანმა განაცხადა, სამართალდამცველებმა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უკანონოდ დამონტაჟებული ფარული მოსასმენი და ვიდეოჩამწერი აპარატურა აღმოაჩინეს:

„ფარული მოსასმენი და ვიდეო ჩამწერი აპარატურა სამსახურებრივი უფლებამოსილებისა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარი პროკურატურის, ასევე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად აღმოაჩინეს“.

გიორგობიანის თქმით, გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ **„საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, 2006-2010 წლების პერიოდში, მშენებლობისა და სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს, უკანონოდ დამონტაჟდა ფარული მოსასმენი და ვიდეოჩამწერი აპარატურა, შესაბამისად, დანაშაული სისტემურად ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. დაწესებულებებში ჩატარებული ჩხრეკისა და დათვალიერების პროცესში, უკანონოდ დამონტაჟებული ფარული მოსასმენი და ვიდეოჩამწერი აპარატურის გარდა, გამომძიებლებმა სპეციალურ სათავსოს — ე.წ. პულტის ოთახს მიაკვლიეს“.**

სახალხო დამცველი, ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებებთან დაკავშირებით, არსებულ დარღვევებზე საუბრობს

ჟურნალისტებს უჩა ნანუაშვილმა განუცხადა, რომ სახალხო დამცველის აპარატი, უახლოეს მომავალში, მაღალჩინოსნების დაკავებებთან დაკავშირებით, სპეციალურ დასკვნებს გამოაქვეყნებს.

სახალხო დამცველმა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის საქმეზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბევრი დარღვევა იკვეთება:

„ჩვენი მხრიდან მომზადებულია და მალე გამოქვეყნდება სპეციალური დასკვნები, რომელიც ეხება გახმაურებულ დაკავებებს, მათ შორის, გუნავას, ახალაიასა და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებს“.

„ჯი-ეიჩ-ენი“

რატომაა ეროვნული ბანკი პოლიტიზირებული და რა ეკონომიკურ საფრთხეზე საუბრობს ბანკის ყოფილი თანამშრომელი

ნოდარ ხადურსა და გიორგი კვირიკაშვილს მუშაობაში ხელს გიორგი ქადაგიძე უშლის?!

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ თანამშრომლებს არ ხვდება. 2008 წლის ივლისში, როდესაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობას დავით ამაღლობელი ასრულებდა, ბანკიდან 50-ზე მეტი ადამიანი უკანონოდ გაათავისუფლეს. ყოფილმა თანამშრომლებმა ჯერ სასამართლოს მიმართეს, მაგრამ სამი ინსტანციის სასამართლომ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, დავით ონოფრიშვილსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს მიწერეს. რას აპირებენ და რატომ ითხოვენ დაჟინებით, გიორგი ქადაგიძესთან შეხვედრას, ეროვნული ბანკიდან გათავისუფლებული თანამშრომლების სახელით, „ვერსიას“ დავით ბაღათურია ესაუბრება.

დავით ბაღათურია აცხადებს, რომ ამ ეტაპზე, მათი საქმის სასამართლოში გასაჩივრებას აზრი არ აქვს, რადგან ამ სისტემაში იგივე მოსამართლეები არიან, რომლებმაც წლების წინ, უკანონოდ გათავისუფლებული თანამშრომლების სარჩელი არ დააკმაყოფილეს:

„ხომ ხედავთ, რა ხდება? პროკურატურა ითხოვს ამა თუ იმ პირის დაკავებას, სასამართლო დარბაზიდან კი მათ, გირაოს სანაცვლოდ, ათავისუფლებენ. არც კი ვიცით, მაგალითად, რას მიუსჯიან ბაჩო ახალაიას, რადგან არც ერთი პროცესი არ გამართულა. ნახეთ, როგორი გადაწყვეტილება მიიღო საქალაქო სასამართლომ „ქართუ ბანკის“ გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით. პროცესში, მოწმის სახით, ბანკის 100-ზე მეტი კლიენტის ჩართვა მოითხოვეს, რაც საქმეს მნიშვნელოვნად გააჭიანურებს, რადგან ეს ადამიანები სათითაოდ უნდა დაკითხონ. ერთი შეხედვით, ყინული კი დაიძრა, მაგრამ სამსახურში ჩვენი აღდგენის საკითხი, გაურკვეველი ვადით ღიად რჩება. წერილობით მივმართეთ პარლამენტის თავმჯდომარეს, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარესა და პრემიერ-მინისტრს, მათგან პასუხს ველოდებით. რაც შეეხება გიორგი ქადაგიძეს, ჩვენთან შეხვედრას გაურბის. ამ პერიოდში, ეროვნულმა ბანკმა ადგილმდებარეობის შეცვლაც მოასწრო და იუსტიციის სახლში გადავიდა. სამწუხაროდ, ადგილი აქვს ჩვენს სრულ იგნორირებას და აქვე რიტორიკულ კითხვასაც დავსვამ, ღია კომუნიკაციების ეპოქაში, ვინ უშლის ხელს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს გიორგი ქადაგიძეს, თავის ყოფილ თანამშრომლებს შეხვდეს და ესაუბროს? პრინციპში, ასეთი დამოკიდებულება სულაც არ გვიკვირს, რადგან ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი დავით ამაღლობელიც ზუსტად ასე იქცეოდა, როდესაც 2008 წელს, უკანონოდ გაგვათავისუფლა სამსახურიდან. არადა, მას, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, თანამშრომლების დათხოვნის უფლება არ ჰქონდა“.

დავით ბაღათურია გვიამბობს, რომ 50-ზე მეტი თანამშრომელი, რეორგანიზაციის მიზეზით გაუშვეს სამსახურიდან, მაგრამ იმ პერიოდში, ეროვნულ ბანკში ორი ახალი სამსახური შეიქმნა და, შესაბამისად, შტატები არ უნდა შემცირებულიყო:

„ყველაზე მეტად იმან აღგვაშფოთა, რომ ორშაბათს, სამსახურში მისული თანამშრომლები, შენობაში არ შეგვიშვეს, რადგან შესასვლელი პოლიციის კორდონით იყო გადაკეტილი, გათავისუფლების შესახებ ბრძანებები კი ორი კვირის შემდეგ, სახლებში ფოსტით მოგვიტანეს. უამრავი იურიდიული ლაფსუსი გაიპარა, მაგრამ საქმის მასალებიდან იკვეთება, რომ ეს გადაწყვეტილება, პოლიტიკურად მოტივირებული იყო, ჩვენ პოლიტიკურად არასაიმედო ადამიანებად ჩაგვთვალეს, გამოთავისუფლებული ვაკანსიები კი პოლიტიკურად ანგაჟირებული კადრებით შეავსეს. ასე იმიტომ ვფიქრობთ, რომ 2008 წლის ივლისში, ეროვნული ბანკიდან ისეთი თანამშრომლები დაგვითხოვეს, რომლებმაც ატესტაცია წარმატებით გავიარეთ. გამოცდილი კადრები ქუჩაში გაყარეს, არადა სწორედ მათი მუშაობის პერიოდში განხორციელდა წარმატებული საბანკო და სავალუტო რეფორმა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა ავტორიტეტულ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში“.

დავით ბაღათურია „ვერსიასთან“ საუბრისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი მეტისმეტად პოლიტიზირებული უწყებაა. რაც მთავარია, ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი უწყებები, მაგალითად, საქართველოს ეროვნულ ბანკი, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები ერთმანეთთან მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ. დავით ბაღათურია ამბობს, რომ გიორგი ქადაგიძეს, ნოდარ ხადურსა (ფინანსთა მინისტრი) და გიორგი კვირიკაშვილს (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი) შორის კოჰაბიტაცია ვერ შედგა:

„დამაფიქრებელია, როდესაც ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი, ახალი მთავრობის მოსვლის შემდგომ განვითარებულ საბიუჯეტო კრიზისსა და ეკონომიკურ ვარდნაზე საუბრობს, მაგრამ ერთ კვირაში, იგივეს უკვე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, გიორგი ქადაგიძეც ახმოვანებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის მთავარი ბანკი პოლიტიზირებულია. შესაბამისად, გიორგი ქადაგიძე ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური იდეოლოგიის ფინანსური გამომხატველია. არასასურველი პროცესების შესაჩერებლად, ეროვნულ ბანკს სერიოზული ბერკეტები გააჩნია და გამორიცხული არ არის, ამის გამო, ქვეყანაში ინფლაციისა და, რაც უფრო უარესია, დეფლაციის საშიშროება გაჩნდეს“.

დავით ბაღათურია, ეროვნული ბანკიდან გათავისუფლებული თანამშრომლების მორალურ, პროფესიულ რეაბილიტაციასა და სამართლიანობის აღდგენას ითხოვს. ყოფილ თანამშრომლებს სურვილი აქვთ, ეროვნულ ბანკს დაკარგული ეროვნულობა დაუბრუნონ. მართალია, პარლამენტის თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრისგან პასუხს ელიან, მაგრამ უმოქმედოდ ყოფნას არ აპირებენ. ისინი უახლოეს მომავალში გამართავენ პრესკონფერენციას და კიდევ ერთხელ, საჯაროდ მიმართავენ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, გიორგი ქადაგიძეს, რათა მათი შეხვედრა შედგეს.

საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტს 6 თებერვალს „დაუვიწყარ დღეს“ ჰპირდება

მანანა ნოზაძე

მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში უკანასკნელი ანგარიშით წარდგება. პრეზიდენტის რანგში, ახალი პარლამენტის წინაშე მას, სავარაუდოდ, 6 თებერვალს მოუწევს პლენარულ სხდომაზე გამოსვლა. თანაც, ეს გამოსვლა შედგება იმ პარლამენტში, სადაც მისი პარტია ნაციონალური მოძრაობა უმცირესობაშია. For.ge დაინტერესდა, როგორ დახვდება ამ მოწვევის პარლამენტი სააკაშვილის რიგით მე-10 გამოსვლას. იქნება თუ არა ე.წ. ჩამჭრელი და მამხილებელი შეკითხვები ან ფოტომასალები, ბოლომდე გაუძლებს თუ არა პრეზიდენტი მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას, თუ შარშანდლის მსგავსად, ისევ ტალახში დაზელვით დაემუქრება ვინმეს და დარბაზიდან სულმოუთქმელად გავარდება?!

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ბერძენიშვილის აზრით, სააკაშვილს გუნდრუკის მკმეველები არც ახლა აკლია უმცირესობის სახით, მაგრამ ამჯერად, პარლამენტში სხვა ძალები არიან გაბატონებულნი, ამიტომ ის მზად უნდა იყოს სერიოზული და მწვავე კითხვებისთვის, თუმცა, იმის გამო, რომ საქართველოს პრეზიდენტის საქციელის წინასწარ გამოცნობა შეუძლებელია, დეპუტატი დარწმუნებული არ არის, რომ მათ მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმატით განვითარდება მოვლენები. ამას კი ერთი მარტივი ახსნა აქვს — უბრალოდ, პრეზიდენტი შეიძლება პარლამენტიდან გაიქცეს. ის, რომ ბოლო ხანს სააკაშვილი ველარ არის საჯარო გამოსვლებში ძლიერი, ამას ლევან ბერძენიშვილი ადასტურებს. პარლამენტარისთვის ამის ნათელი მაგალითი ევროსაბჭოში სააკაშვილის საკმაოდ სუსტი გამოსვლა გახლდათ. დეპუტატი დარწმუნებულია, რომ, ალბათ, წლევანდელი გამოსვლაც ტყუილის გარეშე ვერ ჩაივლის და პრეზიდენტი ამ პარლამენტშიც იცრუებს, მაგრამ დეპუტატები მზად არიან, მოისმინონ, გააკრიტიკონ და სათანადო კითხვები დაუსვან მას. ხოლო, თუ იგი მაინც გაიქცევა, ესეც ნიშანი იქნება, რომ მას არავისთან და არაფერზე სალაპარაკო არ აქვს.

„დებატები, რა თქმა უნდა, შედგება. სხვანაირად ვერ წარმომიდგენია, საქართველოს პარლამენტში ყველა საკითხთან დაკავშირებით, დებატები იმართება. ჩვენ არ ვართ ის პარლამენტი, რომელიც უმცირესობას საშუალებას არ აძლევს, ხმა ამოიღოს. ჩვენთან ყოველ ოთხშაბათს იმართება დებატები. ახლაც საშუალება ექნებათ, ილაპარაკონ. რაც შეეხება კონკრეტულ კითხვებს, ეს დამოკიდებულია იმაზე, რასაც სააკაშვილი იტყვის, რადგან მასთან პრეტენზიები არსებობს, თუნდაც მმართველობის სტილის, დანაპირებისა და მისი პოლიტიკური კურსის ჩავარდნის თვალსაზრისით, ამიტომ ეს ყველაფერი ქართველმა ხალხმა გააფორმა მისი კურსის მარცხით“, — აცხადებს ლევან ბერძენიშვილი. მისივე თქმით, ეს კაცი ვერ გაერკვა და კიდევ ჰგონია, რომ ქართველი ხალხი უბრალოდ შეცდა, თორემ ნამდვილად ის იყო ასარჩევი, რადგან რუსულიც სხვებზე უკეთ იცის, ფრანგულიც, ინგლისურიც და, საერთოდ, ყველაფერში ერკვევა და ცხოვრებაში არაფერი შეშლია.

ლევან ბერძენიშვილს ისიც ახსენდება, რომ, როცა სააკაშვილს ჰკითხეს, რა იყო მის პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე დიდი შეცდომა, ამ კითხვას ასეთნაირად უპასუხა — რომ ჩამოვთვალო, ბევრიაო. ამის მიუხედავად, მაინც ვერ დაასახელა ერთი შეცდომაც კი, რადგან ზოგადად, მიაჩნია, რომ ნაკლი არ აქვს. ამასთან, ლევან ბერძენიშვილის შეფასებით, საქართველოს პრეზიდენტი თავისებური, სპეციფიკური ადამიანია, რომელიც პირველი და მეორე კლასელის დონეზე დარჩა და ვერ განვითარდა საკუთარი თავის კრიტიკის მიმართულებით. სხვა მხრივ კი, იგი განვითარებული კაცია. **„მოგეხსენებათ, ეს ორი თავისებურება ახასიათებს — თვითკრიტიკა საერთოდ არ აქვს და უზრდელია“,** — მიიჩნევს ლევან ბერძენიშვილი.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილი მოხარულია, რომ ვაიმმართველის უკანასკნელ მობრძანებას ესწრება საქართველოს პარლამენტში, რადგან მისი გაპრეზიდენტებიდან მოყოლებული, სააკაშვილის ყველა გამოსვლას ესწრებოდა. დეპუტატის თქმით, როგორც წესი, სააკაშვილი საგაზაფხულო სესიის პირველ დღეებში უნდა წარდგეს საქართველოს პარლამენტში წლიური ანგარიშის ჩაბარების მიზნით, თუმცა აღნიშნული დათქმა — „პირველი დღეები“ ყოველთვის თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. ზოგჯერ. ეს „პირველი დღეები“ საქართველოს პრეზიდენტისთვის თებერვლის პირველ დღეებად არ აღიქმებოდა, ზოგჯერ კი, მარტშიც გადადიოდა, რაც გაუმართლებელი იყო. თუმცა, ამჯერად, პარლამენტის წინაშე პრეზიდენტის დროულ გამოცხადებას გია ცაგარეიშვილი, სავარაუდოდ, საკონსტიტუციო ცვლილებებს უკავშირებს. კერძოდ, „ნაცმოძრაობას“ ძალიან ბევრი დეპუტატი ტოვებს და ისინი ან ინარჩუნებენ მიუმხრობელი დეპუტატის სტატუსს ან შედიან სხვადასხვა ფრაქციაში, ოღონდ არა „ქართული ოცნების“, არამედ დამოუკიდებელი დეპუტატებით დაკომპლექტებულ ფრაქციაში. ამიტომ, დეპუტატების გამყარების თვალსაზრისით და იმისთვის, რომ ორი საკონსტიტუციო ცვლილების მისაღებად ხმების საჭირო კრიტიკული რაოდენობა არ გაჩნდეს, პრეზიდენტი ჩქარობს და თებერვლის დასაწყისში მიდის პარლამენტში.

„ვვარაუდობ, იგი ფიქრობს, პარლამენტში მგზნებარე გამოსვლით უმცირესობაში შემავალ ფრაქციებს საბოლოო დაშლისგან გადაარჩენს. დაახლოებით, ერთი კვირის წინ, იმ ორ პატარა ფრაქციაში, რომელსაც ბატონი ლონდარიძე და ბობოხიძე თავკაცობენ, ნაციონალური მოძრაობის დიდი ფრაქციიდან ხელოვნურად გადაიყვანეს თითო-თითო დეპუტატი და ეს პატარა ფრაქციები შვიდ წევრამდე გაზარდეს. მოგეხსენებათ, თუ ექვსი წევრი არ არის ფრაქციაში, ის ავტომატურად, დაშლილად ითვლება, თუკი უახლოესი ბიუროს სხდომამდე ამ ფრაქციამ ვერ იპოვა სხვა წევრი, გასული წევრის სანაცვლოდ, ამიტომ დეპუტატები ხელოვნურად გადაიყვანეს, გაამყარეს ეს ფრაქციები და დაშლას გადაარჩინეს. ისინი შიშობენ, რომ შესაძლებელია, ამ ორი პატარა ფრაქციიდანაც კი დეპუტატები გამოვიდნენ და მხარი დაუჭირონ საკონსტიტუციო ცვლილებებს ან არ გამოვიდნენ და ისე დაუჭირონ მხარი“, — განმარტავს გიორგი ცაგარეიშვილი და პრეზიდენტის ამ გათვლას მცდარად მიიჩნევს. ამასთან, პროგნოზირებს, რომ არავისთვის იქნება გასაკვირი, სააკაშვილს მძიმე დახვედრას თუ მოუწყობს „ქართული ოცნება“. რა შინაარსის შეკითხვები იქნება, ჯერჯერობით, უმრავლესობის დეპუტატი ვერ აკონკრეტებს.

რაც შეეხება დებატებს, რეგლამენტით შეიძლება დებატები გაიმართოს, თუმცა ესეც არ არის იმპერატიული ნორმა და, შესაძლოა, დებატები ის არც შედგეს. ამის მაგალითად გია ცაგარეიშვილს 2005-06 წლების შემთხვევები ახსენდება, როცა სააკაშვილი გაიქცა დარბაზიდან, ფაქტობრივად, მიატოვა იმჟამინდელი ოპოზიცია და დებატები ვერ შედგა. დღესაც, დეპუტატი აცხადებს, რომ დებატებს მაშინ აქვს აზრი, თუ სააკაშვილი დარბაზში იქნება. ამდენად, თუ დარბაზში დარჩენას გაბედავს, გორის სინდრომი არ შეეყრება და არ გაიქცევა, მაშინ დებატები შედგება.

„ბოლო დებატების დროსაც იგი გაიჭრა დარბაზიდან, ვერ აიტანა ჩემი და ჯონდის გამოსვლა. რა ჟესტიკულაცია, რა სიტყვები ჰქონდა, ჩემს მიერ გადაცემულ ფურცლებს იქნევდა, ბატონ ბაღათურიას ტალახში ჩაფვლითა და დაზელვით ემუქრებოდა. ახლა კი, მას აბსოლუტურად განსხვავებული ვითარება ხვდება და საკმაოდ საინტერესო იქნება. ჩვენ მას ისე დავხვდებით, როგორც ეს შეეფერება „ქართულ ოცნებას“ და რისი ღირსიც არის ბატონი სააკაშვილი. ერთ რამეში გარწმუნებთ, რომ ეს მისთვის იქნება დაუვიწყარი დღე, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება. ამ უკანასკნელი გამოსვლის დღეს, დასასრულს ჰპოვებს ის ყველაფერი, როგორ იქცეოდა ის ამ ცხრა წლის განმავლობაში. ყველაფერზე პასუხი მოეთხოვება და მოურიდებლად გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებას მის ნამოქმედარზე“, — აცხადებს გია ცაგარეიშვილი.

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

ექსკლუზიური ინტერვიუ „ზედაზენის“ დირექტორთან, ვასილ სულხანიშვილთან

„ამ კომპანიის მიღწევა ჩვენი გუნდის თავდაუზოგავი შრომის შედეგია, ცეზარ ჩოჩელი კი არა, ამერიკაში საქართველო არ იციან წესიერად!“

„ვერსიის“ წინა ნომერში დაბეჭდილი სტატიის გამო, რომელიც მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის, ცეზარ ჩოჩელის დაკავებასა და მის ბიზნესინტერესებს ეხებოდა, სააქციო საზოგადოება „ქართული ლუდის კომპანია ზედაზენის“ დირექტორი ვასილ სულხანიშვილი დაგვიკავშირდა. სტატიაში, „ვერსიის“ წყარო საუბრობს იმ საგადასახადო აფერაზე, რომლის საშუალებითაც, თითქოს „ზედაზენს“ საკუთარი პროდუქცია რუსეთის ბაზარზე გააქვს. „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, „ზედაზენის“ დირექტორმა ვასილ სულხანიშვილმა, წყაროს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო, მაგრამ ინტერვიუ ცეზარ ჩოჩელის ფაქტორით დავიწყეთ.

— ბატონო ვასილ, ლუდსახარში „ზედაზენი“ ცეზარ და იაგო ჩოჩელებმა დააფუძნეს?

— ჩვენი კომპანიის დამფუძნებელი და 70%-იანი წილის მფლობელი შპს „შპალია“, 20%-ს ფლობს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ და 10%-ს — ფარმაცევტული კომპანია „პე ეს პე“. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე საკმაოდ დიდი და სერიოზული კონკურენციაა, რადგან მულტინაციონალური კომპანიებიც არიან წარმოდგენილები — ფრანგული და თურქული კომპანიების სახით და იმპორტირებული პროდუქციაც უხვადაა, ჩვენთვის გასული წელი წარმატებული იყო. კარგი შედეგები გვქონდა როგორც „ზედაზენის“ ლუდის, ასევე — ლიმონათის გაყიდვის მხრივ, წელსაც ვამატებთ ასორტიმენტს, რათა გავძლიერდეთ და თამამად ვთქვათ, რომ „ზედაზენი“, როგორც ბრენდი, შედგა. რაც შეეხება ქარხნის განვითარებას, „ქართული ლუდის კომპანია“ 2011 წელს დაფუძნდა, დაფუძნებიდან 7 თვის განმავლობაში, ქარხანა აშენდა, 2011 წლის 15 თებერვალს პირველი ლუდი მოვხარშეთ, ხოლო 2011 წლის 4 აპრილს, კომპანია ოფიციალურად გავხსენით. აპრილიდან 20 მაისამდე, ISO სერტიფიკატი და „ჰასპი“ მივიღეთ, რომელთა მიღება ასეთ მოკლე დროში, თითქმის წარმოუდგენელია. ეს არის ხარისხისა და ტექნიკური კონტროლის სერტიფიკატები, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მხრივ, ჩვენთან ყველაფერი წესრიგშია. მეტიც, ქარხანაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გერმანული, ჩეხური ტექნიკა-დანადგარები გვაქვს დამონტაჟებული და რაც მთავარია, ჩვენი ქარხანა პირველია, სადაც გახსნის დღიდან, ელექტრონული მარკირების სისტემა დავნერგეთ. ამის საშუალებით, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც გადასახადებს ან პროდუქციის რეალიზაციას ეხება, პირდაპირ ფინანსთა სამინისტროში აისახება.

— ელექტრონული მარკირების სისტემა მაშინ დანერგეთ, როდესაც შემოსავლების სამსახურში ამ სისტემაზე მხოლოდ მსჯელობდნენ?

— დიახ, ასეა. საკუთარი ინიციატივით მოვითხოვეთ და დაჩქარებული წესით, გაცილებით ადრე დავნერგეთ. ამ სისტემაში რამე ტიპის პრობლემა რომ შეიქმნას, მთლიანად ტექნოლოგიური ხაზი გაჩერდება და ამიტომ, წარმოუდგენელია, ვინმემ პროდუქცია გააპაროს ან რამე დაარღვიოს. გარდა ამისა, დამონტაჟებული გვაქვს კამერები, რომლებიც სულ ჩართულია და 24-საათიან რეჟიმში იწერს ყველაფერს. ჩვენი მიზანია, წარმოების პროცესი სრულიად გამჭვირვალე და ნათელი იყოს.

— „ვერსიაში“ ჯერ კიდევ შარშან ვწერდით, რომ რუსეთის ბაზარი ექსკლუზიურად „ზედაზენისთვის გაიხსნა, მაგრამ ახლა მეუბნებით, რომ „ზედაზენი“ იყო პირველი, ვინც ამის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა, თორემ 6-წლიანი ემბარგოს მიუხედავად, რუსეთის ბაზარზე სხვა კომპანიების პროდუქციაც გადიოდა, რომელ კომპანიებს გულისხმობთ?

— თქვენ თუ იმას იტყვით, რომ რუსეთის ბაზარი ექსკლუზიურად „ზედაზენისთვის“ გაიხსნა, მაშინ ჩავთვალოთ, ყველაზე მაგარი კომპანია ვყოფილვართ მსოფლიოში! პირდაპირ გეუბნებით, ვიდრე „ზედაზენი“ გაიტანდა საკუთარ პროდუქციას რუსეთის ბაზარზე, ჩვენი კონკურენტები იქ ჩვეულებრივად შედიოდნენ. ამაში მარტივად დარწმუნდებით, თუკი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საიტზე შებრძანდებით და ჩამოტვირთავთ ინფორმაციას არაალკოჰოლური სასმელის ექსპორტის შესახებ. ჩვენი ქარხანა არც კი არსებობდა, მიწაზე ერთი ბარიც კი არ იყო დარტყმული, როდესაც ჩვენი კონკურენტი კომპანიები რუსეთის ბაზარზე შედიოდნენ.

— რუსეთის გარდა, კიდევ რომელ ქვეყნებში ახორციელებთ „ზედაზენის“ პროდუქციის ექსპორტს?

— ყაზახეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, ბელორუსში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, საბერძნეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ახლა ვმუშაობთ, რომ ყირგიზეთსა და ტაჯიკეთშიც შევიდეთ. გარდა ამისა, ვაკმაყოფილებთ ყველა ნორმატივს, რომელიც ამერიკასა და ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედებს, სხვაგვარად, ამ ბაზრებზე პროდუქციას ვერ შევიტანდით. ვერც კი წარმოიდგენთ, რა რთულია ნებისმიერი ქვეყნის ბაზრის გახსნა, რადგან ექსპორტამდე, ჯერ პროდუქციით უნდა დაინტერესოთ მომხმარებელი, რათა იმ ბაზარზე ან კონკრეტულ სუპერმარკეტში, კონკრეტული პროდუქცია ჩააჩოჩოთ თაროზე და თქვენი დადოთ. ამის შემდეგ, საკუთარ პროდუქციაზე ლეგენდა უნდა შექმნათ და მომხმარებელს ისე უნდა შეაყვაროთ, რომ მხოლოდ თქვენი პროდუქტი შეიძინოს.

— გულწრფელად მაინტერესებს, „ზედაზენის“ დაარსებიდან დღემდე, ცეზარ ჩოჩელის ფაქტორი არაფერში დაგხმარებიათ, არც საერთაშორისო სტანდარტების ტექნიკა-დანადგარების შეძენის და არც პროდუქციის ექსპორტის დროს?

— მეც იგივე კითხვას დაგისვამთ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საბერძნეთში, ბელორუსში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში ცეზარ ჩოჩელს იცნობენ? გიმეორებთ, ამ კომპანიის მიღწევა ჩვენი გუნდის თავდაუზოგავი შრომის შედეგია, ცეზარ ჩოჩელი კი არა, ამერიკაში საქართველო არ იციან წესიერად! „ზედაზენის“ ინტერესებიდან გამომდინარე ვამბობ, კომპანიაში ვიწვევ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც კონსულტაციას გაგვიწევს ან რჩევით დაგვეხმარება — სწორად ვაკეთებთ საქმეს თუ არა. პირიქით, ეს ჩვენს ინტერესებში შედის, რადგან რაც შეიძლება, მეტი სამუშაო ადგილები შევქმნათ. ამჟამად, ჩვენს ქარხანაში დასაქმებულ თანამშრომელთა 50%-ზე მეტი, იძულებით გადაადგილებულია, ძირითადად, გორიდან და წეროვანიდან, ამიტომ, გარკვეულწილად, „ზედაზენი“ სოციალური პროექტია.

— უკაცრავად, მაგრამ „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, სომხეთიდან, ადგილობრივი კომპანია „სპაიკას“ საშუალებით, საქართველოში ცარიელი მანქანები შემოდის, მაგრამ თქვენი ქარხნის ტერიტორიაზე, „ზედაზენის“ პროდუქციით იტვირთება და ასე ხვდება დაუბეგრავი პროდუქტი რუსეთის ბაზარზე, ასეა?

— თუ შეგიძლიათ, თვითონ ამიხსენით ამ სქემის არსი და ლოგიკა, რადგან ვერ ვხვდები, რატომ უნდა შემოვიდეს ცარიელი მანქანა სომხეთიდან?! ყველაფერი მარტივად ხდება, პირველ რიგში, ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული რუსულ კომპანიებთან — „მირ ნაპიტკოვი“, „კოლუმბი“ და სხვებთანაც, რომლებსაც თვითონ, ჩვენი ჩარევის გარეშე, გააქვთ „ზედაზენის“ პროდუქცია რუსეთში. მარტივი მაგალითი განვიხილოთ, დავუშვათ, თქვენი წყარო მართალია და სომხეთიდან ცარიელი მანქანები შემოგვყავს, გამოდის, ჩემი პროდუქციის თვითღირებულებას შეგნებულად ვაძვირებ, არადა, ჩვენი მოგების მარჯა დაბალია. ეს მანქანა, რომელიც სომხეთიდან საქართველოში ჩამოდის, გარკვეული თანხა ხომ ჯდება? ახლა ამას, საქართველოდან გატანის თანხაც დაუმატეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი პროდუქციის თვითღირებულებაში უნდა ასახოთ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ საქართველოში, ექსპორტი დამატებითი ღირებულების გადასახადისგან, ასევე სხვა გადასახადებისგანაც თავისუფალია და მართლა ვერ ვხვდები, რა საჭიროა ასეთი „კომბინაციები“, როდესაც თავისუფლად შეგიძლია, ექსპორტი განახორციელო! რაც მთავარია, უკვე გითხარით, რომ ქარხანაში ელექტრონული მარკირების სისტემა მოქმედებს, შესაბამისად, ყველა პროდუქცია აღწერილი და დათვლილია. რაც შეეხება სომხურ კომპანია „სპაიკას“, რომელიც იმ სტატიაში ახსენეთ, არ ვიცი, რა კავშირშია ჩვენთან. ესაა ტრანსპორტის საერთაშორისო კომპანია, ისეთივე, როგორიცაა მაგალითად, „მაერსკი“. შესაძლოა, რომელიმე მომწოდებელმა ერთხელ ან ორჯერ მოგვაწოდა ნედლეული „სპაიკას“, ან თუნდაც „მაერსკის“ საშუალებით, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მეტიც, ტრანსპორტირებაში ჩვენ საერთოდ არ ვერევით, პროდუქციას ქარხნის ეზოდან ვყიდით და „მირ ნაპიტკოვი“ ან „კოლუმბი“ ახორციელებენ ტრანსპორტირებას.

— ამბობთ, რომ კომპანიის მოგების მარჯა დაბალია, მაგრამ საინტერესოა, რის ხარჯზე?

— პროდუქციის ხარისხიდან გამომდინარე, რადგან ჩვენ ვიყენებთ გერმანული კომპანია „დიოლერის“ ნედლეულს. არომატიზატორები, რომელსაც ვყიდულობთ, ნატურალურ არომატებზეა დაფუძნებული, რაც იმას ნიშნავს, რომ იდენტურ ნედლეულში, რომელიც პირობითად, 1 ლარი ღირს, ჩვენ 7 ლარი გვიჯდება. სხვაობა დიდია, მაგრამ იმის გამო, რომ სურვილი გვაქვს, ხარისხიანი პროდუქცია გამოვუშვათ, ძვირადღირებულ ნედლეულს ვიძენთ, სამაგიეროდ, მოგების მარჯას ვიმცირებთ. ხარისხიანი პროდუქციის წარმოება ჩვენი კრედოა, ამიტომ ხარისხს არასოდეს გავაფუჭებთ. სწორედ ხარისხის საფუძველზე იყო, არის და იქნება „ზედაზენი“, ერთ-ერთი წარმატებული კომპანია.

„ვითხოვთ სიცოცხლის უფლებასა და კოჰაბიტაციას“

მერაბ ბერიძე

უკვე მერამდენე თვეა, ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელ გზაზე, ყოფილი „ზაკვოს“ შენობაში დევნილები და სოციალურად დაუცველები არიან შესულები. ისინი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას მოითხოვენ. აღნიშნული შენობა „თი-ბი-სის“ აქვს შესყიდული და ბანკის ხელმძღვანელობა ტერიტორიის დატოვებას ითხოვს. ამ დროს, დუმან სახელისუფლებო მესვეურები, ვისაც ქუჩაში დარჩენილი ადამიანების პრობლემების გადაწყვეტა ევალება.



„ვითხოვთ სიცოცხლის უფლებას“, „ნუ გაგვყრით ქუჩაში, წასასვლელი არსად გვაქვს“, „ვითხოვთ კოჰაბიტაციას“, — ასეთი შინაარსის პლაკატებია გამოკრული ყოფილი რუსული სამხედრო შტაბის რკინის ღობეზე. ერთ დროს „ზაკვოს“ კუთვნილი შენობა, სავალალო მდგომარეობაშია. შიგნით შესვლა არცაა საჭირო, დასკვნებს გარედანაც ადვილად გამოიტანთ. იქვე, გზის პირას, სოციალურად დაუცველებს კარავიც აქვთ გაშლილი და ერთად ელიან ამა ქვეყნის ძლიერთა გადაწყვეტილებებს, თუმცა „კავკასიელ“ დავით აქუბარდიას გარდა, დღემდე ვერავის ყურადღება დაიმსახურეს.

ჩვენ სხვა რა შეგვიძლია, მოვუსმინოთ მაინც ამ შეჭირვებულ ადამიანებს. გალიდან დევნილი დიანა ზუხბაია, ომის შემდეგ, შვილის სამკურნალოდ კიევში გაემგზავრა. 20-წლიანი იძულებითი განშორების შემდეგ სამშობლოს დაუბრუნდა და ჭერს ითხოვს:

„ომის დროს, შიშისა და ნერვიულობისგან, ავადმყოფი ბავშვი გავაჩინე. ქმარშვილიანად, სამკურნალოდ, კიევში გავემგზავრეთ, სადაც ოცი წელია ვცხოვრობთ. 2011 წლის 16 ივნისს ბავშვი გარდამეცვალა. სამშობლოში დაბრუნება და მისი ჩამოსვენება მინდა. ამაზე საგარეო საქმეთა სამინისტრო დახმარებას დამპირდა. ბინა არ მაქვს და სად უნდა ჩამოვასვენო-მეთქი. მაშინ, თქვენ ბინის ამბავი მოაგვარეთ და მერე ბავშვის გადმოსვენებაში დაგეხმარებითო. დევნილთა სამინისტრო მეუბნება, ექვსი თვით, ქირის ფულით დაგაკმაყოფილებთო. ჯერ არაფერს მაძლევენ. ისიც არ ვიცი, ორას ლარად ბინას ვნახავ თუ არა. ალბათ, ისევ აქ მომიწევს ყოფნა. ბოლო ექვს თვეში ბევრი განცხადება შევიტანე ხელისუფლების ორგანოებში. ორი თვეა, რაც აქ შესახლებულ ხალხს შევუერთდი. დევნილთა სამინისტროში ამ ადამიანებმა მითხრეს, ჩვენთან წამოდი, ჩვენც მაგ მდგომარეობაში ვართო. შევეცოდე და შემიფარეს იმ ადგილზე, რომელიც არც მათ ეკუთვნით. აქ სინათლე, გაზი, წყალი არ არის. რა ვქნა, დროებით, თავს ვაფარებთ. არავინ მყავს, რომ მივეკედლო''.

სოციალურად დაუცველი გიორგი მარჯანიძე თვრამეტი წელი ქირით ცხოვრობდა. მისი თქმით, ბინა, თავის დროზე, დედის ავადმყოფობის გამო გაყიდეს, რომ სიცოცხლე გადაერჩინათ:

„ახლაც ეს არის ჩვენი მთავარი დევიზი — გადავარჩინოთ სიცოცხლე. ჯანდაცვის სამინისტროში, მერიაში, გამგეობებში რომ დავდიოდი, გავიცანი დევნილები და მითხრეს, ჩვენც ამ შენობაში ვართ და წამოდიო. პირობები გაუსაძლისია. არანაირი საშუალება არ არის, რომ ჩვენი ჯანმრთელობა დაცული იყოს. კორპუსში ღია შახტებია, სადაც ბავშვები შეიძლება ჩავარდნენ. სიბნელეში, შესაძლებელია დიდებიც ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ელემენტარულად, კანალიზაცია აქ არ მუშაობს. მაგრამ აქცია ამის გამო არ გვაქვს. მოვიდნენ შესაბამისი სამსახურები, ვისაც ჩვენზე პასუხისმგებლობა ევალება, ჯანდაცვის სამინისტრო, მერია და ალტერნატიული გზით დაგვაკმაყოფილონ. სამწუხაროდ, ამ სტრუქტურებიდან დღემდე არც ერთი წარმომადგენელი აქ მოსულა“.

გიორგის არც იმის სჯერა, რომ ბინის დასაქირავებლად ორას ლარს გადაუხდიან: **„ვიცი, ამას იტყვიან და არ მომცემენ, ამიტომ არ ვარ თანახმა აღნიშნულ წინადადებაზე. ორასი ლარის გადახდა მართლაც რომ სურდეთ, 18 წელია ამ მდგომარეობაში ვარ და მომხედავდნენ. დღემდე არავინ დაინტერესებულა ჩემი ბედით. აგერ, ქალბატონი, ორი თვეა ამაზე განცხადება აქვს დაწერილი და არაფერი მიუციათ. ალტერნატიული ბინით დაკმაყოფილებას ვითხოვთ, აღარ გვინდა, ფუჭ დაპირებებს დავუჯეროთ. ამ დროს, დავით აქუბარდიას გარდა, ჩვენთან არავინ მოსულა; გაუსაძლის ყოფას ახლოდან რომ გაცნობოდნენ. თუ ასე გააგრძელებენ, უკიდურეს ზომებს მივმართავთ. ამაში ბევრი რამ იგულისხმება და დღეს მათ არ დავასახელებთ''.**

შენობის მფლობელ „თი-ბი-სი“ ბანკთან პრეტენზიები არ აქვთ, მაგრამ ელიან, რომ ამხელა ორგანიზაცია თვითონაც აქტიურად ჩაერთვება საკითხის მოგვარებაში:

„მთავრობასთან ერთად გამოიძიონ ჩვენი მდგომარეობა თუ უნდათ, მალე დავტოვოთ ეს შენობა. თუ არა და, აქედან ცოცხალი თავით გასვლას არ ვაპირებთ. მოიყვანონ მერიის, ჯანდაცვის წარმომადგენლები, ვისაც ჩვენი პრობლემების გადაწყვეტა ევალება. ამბობენ, რომ მთავრობას სახლების ასაშენებლად საშუალება არ აქვს. აქ უამრავი უმუშევარი მამაკაცი და ქალია. მოგვიტანონ, რაც საჭიროა, მუშებად დავდგებით და ჩვენი ხელით ავაშენებთ საცხოვრებელს. პოლიტიკას არ ვეხებით. ეს რომ გვინდოდეს, გადავკეტავდით გზებს, ჩავლეწავდით ფანჯრებს, შევიჭრებოდით სამინისტროებში და ა.შ. ეს შენობა უპატრონოდ იყო მიტოვებული და შემოვედით. არაფერი დაგვიზიანებია. ამიტომ, მთავრობაში ერთმა მხარემაც და მეორემაც, კეთილი ინებონ, მოვიდნენ და ყურადღება მოგვაქციონ. მარტო „კავკასია“ რატომ უნდა მოდიოდეს? საჭმელიც კი მოგვიტანეს, რაზეც დიდ მადლობას ვუხდით“.

სოციალურად დაუცველმა ლიანა ჯობავამ 13 დეკემბერს, როგორც უსახლკარომ, ჯანდაცვის სამინისტროში განცხადება დაწერა ბინით ან ქირით დაკმაყოფილებაზე.

რაიმე პასუხი არ მიუღია: **„ვიცი, სოციალურად დაუცველებს ექვსი თვით ქირის ფულის მიცემას დაპირდნენ. ჩემ შემთხვევაში, ესეც არ ყოფილა. ჯერ ერთ თვეში მოდიო, მითხრეს და მერე, კიდევ დრო გვჭირდებაო. ვარ აგერ და ველოდები. მეხუთე სართულზე, გაუსაძლის მდგომარეობაში ვცხოვრობ. ვითხოვ ფართით დაკმაყოფილებას, მაგრამ ამათი გადამკიდე, მხოლოდ ღმერთის იმედი მაქვს“.**

ლალი როდონაია ადრე, აჭარის ათ ნომერში, ქირით ცხოვრობდა. ფული ვერ გადაიხადა ოთხი თვის და „ხაზეინმა“ გამოაგდო:

„სამი თვეა, ბავშვებით, აქ ვცხოვრობ. სოციალური დახმარებაც შემიწყვიტეს იმის გამო, რომ ბინის გადამისამართება გავაკეთე. აგენტი რომ მოვიდა, გოგო და ბიჭი გასულები იყვნენ და ადგილზე ვერ დახვდნენ. ამის გამო, ისინი ვერ დამიფიქსირეს და სოციალურიც მომიხსნეს. როგორ შეიძლებოდა ამის გაკეთება? აქ არიან ომის ინვალიდები, ფეხმძიმე ქალბატონი, ძუძუმწოვარა ბავშვები; 100-მდე ოჯახი ვართ. ხალხი ყოველდღიურად გვემატება. ვითხოვთ სიცოცხლის უფლებას, მეტი სურვილი არ გაგვაჩნია. გინდ სპეცრაზმი მოვიდეს, გინდ პოლიცია, ამ შენობას ცოცხალი თავით არ დავტოვებთ. მაინც ქუჩაში უნდა დავრჩეთ და ყველანაირ ზომას აქვე მივმართავთ, გზას გადავკეტავთ და ა.შ“.

ამ ფონზე, „თიბისი ბანკი“ იმედს გამოთქვამს, რომ ყოფილი „ზაკვოს“ შენობაში შესახლებული პირების პრობლემა მალე მოგვარდება. ამასთან დაკავშირებით ბანკი განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ამიერკავკასიის სამხედრო შტაბის ყოფილი შენობა, რომელიც ვაკე-საბურთალოს გზაზე (უნივერსიტეტის ქ. №2) მდებარეობს, „თიბისი ბანკმა“ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ აუქციონზე, 2012 წლის გაზაფხულზე შეიძინა და ის წარმოადგენს ბანკის საკუთრებას. აღნიშნული შენობა ცოტა ხნის წინ, თვითნებურად დაიკავეს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა პირებმა, რასთან დაკავშირებითაც „თიბისი ბანკმა“ თავიდანვე აცნობა შესაბამის სტრუქტურებს და სთხოვა, შენობაში განთავსებული ადამიანების პრობლემებისადმი სათანადო ყურადღების დათმობა. „თიბისი ბანკი“ გაგებით ეკიდება შენობაში შემოჭრილი ადამიანების მძიმე მდგომარეობას, თუმცა იმის გამო, რომ უახლოეს მომავალში ადგილზე დაგეგმილია გარკვეული სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების დაწყება, თავს ვალდებულად ვთვლით, წინასწარ ვაცნობოთ მათ ამის შესახებ. ცხადია, რომ რეკონსტრუქციის დაწყება მათ სერიოზულ დისკომფორტს შეუქმნის და, რაც მთავარია, სამშენებლო პროცესმა, შესაძლოა, გარკვეული რისკები წარმოშვას შენობაში მყოფი ადამიანების უსაფრთხოებისთვის. სწორედ ამიტომ, ბანკმა წინასწარ მიაწოდა მათ ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების დაწყების შესახებ და სთხოვა შენობის გათავისუფლება.

იმედს გამოვთქვამთ, უახლოეს მომავალში, შესაძლებელი გახდება აღნიშნულ შენობაში განთავსებული პირების პრობლემის მოგვარება, მათთვის ზემოხსენებული დისკომფორტის თავიდან აცილება და ბანკის მიერ დაგეგმილი სარეკონსტრუქციო პროექტის განხორციელება“.

ბანკმა შენობა კანონიერად იყიდა და თავისას ითხოვს. ხელმძღვანელები იმასაც კარგად აცნობიერებენ, რომ ადამიანები გაყიდულ შენობაში კარგი ცხოვრების გამო არ არიან შესულები. გაუგებარია, სახელმწიფო ორგანოებისგან (ცენტრალური თუ ადგილობრივი) რატომ ვერ დაიმსახურეს დევნილებმა და სოციალურად დაუცველებმა ყურადღება. თვეების განმავლობაში, ასეთ გაუსაძლის პირობებში რომ იცხოვრებ, ე.ი. ყველა სხვა არჩევანი დახშული გაქვს. ეს ადამიანები ამ ქვეყნის ისეთივე სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან, როგორც ყველა დანარჩენები. უბრალოდ, ბოლო ორი ათწლეულის ბედუკუღმართობის გამო, მათ ცხოვრებისგან ყველაზე მეტი მოხვდათ და დღემდე ვერ მოახერხეს წელში გამართვა. მათზე ზრუნვა, ოპტიმალური გამოსავლის მოძებნა, მთავრობის, მერიის პირდაპირი ვალდებულებაა და არა წყალობა. როგორც ჩანს, ამ აქსიომის გასიგრძეგანებისთვის კიდევ ბევრი წყლის ჩავლა იქნება საჭირო. ამ დროს, ადამიანები ცდილობენ, გადარჩნენ და იცოცხლონ. ნუთუ ამას არ იმსახურებენ?

შეწყალების კომისიაში პრეზიდენტმა დეპუტატები არ შეიყვანა

შეწყალების საკითხთა კომისია ახალი შემადგენლობით დაკომპლექტდა. პრეზიდენტმა შესაბამისი ბრძანება უკვე გამოსცა.

კომისიას კვლავ ელენე თევდორაძე უხელმძღვანელებს, შემადგენლობაში კი შედიან: დრამატურგი ლაშა ბუღაძე, პრეზიდენტის მრჩეველი ნინო კალანდაძე, პრეზიდენტის მრჩეველი ვან ბაიბურთი, პრეზიდენტის მრჩეველი მუბარის კარაევი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი მრჩეველი გიორგი გოდაბრელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგი ზურაბ კიკნაძე, გაზეთ „24 საათის“ მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი, მწერალი გივი შაჰნაზარი, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი დიმიტრი ძაგნიძე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი კახაბერ ანჯაფარიძე, მიტროპოლიტი თეოდორე.

ამასთან, ჩამონათვალში მითითებული არ არის სახალხო დამცველი, თუმცა არსებული ინფორმაციით, კომისიის დებულება ავტომატურად ითვალისწინებს კომისიაში ომბუდსმენის შეყვანას. პრეზიდენტის ბრძანება საკანონმდებლო მაცნეში უკვე გამოქვეყნდა. წინა კომისიისგან განსხვავებით, ახალ შემადგენლობაში არ არიან მინისტრები და დეპუტატები.

შეწყალების სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელ ელენე თევდორაძისთვის უცნობია, რატომ არ შეიყვანა პრეზიდენტმა კომისიაში დეპუტატები. მისი თქმით, რადგან კომისიის შემადგენლობაში პარლამენტის წევრების ყოფნის საკითხი ამოღებულია, ეს ნიშნავს, რომ კომისიის მუშაობაში ვერც ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი ჩაერთვება.

„პრეზიდენტმა გადაწყვიტა, კომისიაში არ იყვნენ დეპუტატები, არც ოპოზიციიდან და არც — უმრავლესობიდან. რაკი მან ეს გადაწყვეტილება მიიღო, ეს ნიშნავს, რომ კომისიაში ვერც ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი შევა. რაც შეეხება კომისიის წინა შემადგენლობაში მთავრობის წარმომადგენლების ყოფნას, ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც თავის დროზე, კომისიაში დეპუტატის რანგში შევიდნენ და მოგვიანებით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაინაცვლეს“, — განმარტავს ელენე თევდორაძე, რომელიც განახლებული შემადგენლობის კომისიის სხდომის ჩატარებას უახლოეს ერთ კვირაში გეგმავს.

სახალხო დამცველის, უჩა ნანუაშვილის განცხადებით, შეწყალების კომისიის ახალ შემადგენლობაში დეპუტატებიც უნდა იყვნენ წარმოდგენილნი, რადგან საქმეებზე, რომელსაც შეწყალების კომისია განიხილავს, მაქსიმალური კონტროლი უნდა განხორციელდეს ხელისუფლების სხვადასხვა შტოსა და საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან.

„რაღაც პარიტეტი უნდა იყოს დაცული და კომისიაში შედიოდნენ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები ისევე, როგორც საზოგადოების წარმომადგენლები. საქმეები, რომელსაც კომისია განიხილავს, შესწავლილი უნდა იქნეს მაქსიმალურად კონტროლის ქვეშ“, — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

„ვერსიანიუსი“

„გაზპრომმა“ უკრაინა 7 მილიარდი დოლარით დააჯარიმა

„გაზპრომმა“ უკრაინისგან 7 მილიარდი დოლარი მოითხოვა გაზის შეძენის ვალდებულებების დარღვევის გამო. ამის შესახებ The Financial Times წერს. მოთხოვნა კიევს ვიქტორ იანუკოვიჩს დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე წარედგინა. „გაზპრომის“ მონაცემებით, იმპორტირებული გაზი იმაზე ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე უკრაინას მიმდინარე შეთანხმების მიხედვით უნდა მიეღო. ცნობისთვის: კიევთან მიმართებაში მოქმედებს პრინციპი „აიღე ან გადაიხადე“, რომლის მიხედვითად გადახდილი უნდა იქნას მთელი დაკონტრაქტებული გაზი და არა მხოლოდ ფაქტობრივად მიწოდებული.

უკრაინული მონოპოლისტი „ნაფტოგაზი“ დასახელებული თანხის გადახდას არ აპირებს. კომპანიას იმედი აქვს, რომ საქმეს საერთაშორისო არბიტრაჟზე გაიტანს. ვიქტორ იანუკოვიჩი დავოსში ანგლო-ჰოლანდიური გაზისა და ნავთობკომპანიასთან **Royal Dutch Shell**-თან კონტრაქტის გაფორმების მიზნით გაემგზავრა. ეს კომპანია უკრაინაში ფიქლის გაზის მოპოვების სფეროში 10 მილიარდი ევროს ინვესტირებას გეგმავს. მოპოვებამ, შესაძლოა, წელიწადში 20 მილიარდი კუბური მეტრი შეადგინოს.

შედარებისთვის: 2012 წელს უკრაინამ რუსეთიდან 33 მილიარდი კუბმეტრი გაზის იმპორტი განახორციელა, რაც 2011 წლის მაჩვენებელზე ერთი მეოთხედით ნაკლებია. წელს იმპორტის მაჩვენებელი, შესაძლოა, 20 მილიარდ კუბმეტრამდე შემცირდეს.

„გაზპრომისა“ და „ნაფტოგაზის“ კონტრაქტებში აღნიშნულია, რომ მიწოდებული გაზის მოცულობამ ყოველწლიურად 52 მილიარდი კუბმეტრი უნდა შეადგინოს. 2012 წელს „გაზპრომში“ აღნიშნავდნენ, რომ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია მიწოდებების შესაძლო შემცირება, რის შემთხვევაშიც, უკრაინულ მხარეს ჯარიმა არ დაეკისრება, მაგრამ იმპორტმა 41 მილიარდი კუბმეტრი მაინც უნდა შეადგინოს.

commersant.ge

მამუკა არეშიძე: „ერთ თვეში, შესაძლოა, საქართველოსთვის სიტუაცია რადიკალურად შეიცვალოს“

ეკა მომცელიძე
„ჯი-ეიჩ-ენი“

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, მოსკოვში თავის ახლანდელი ვიზიტის დეტალებზე, რუსეთის საექსპერტო საზოგადოებასთან შეხვედრასა და აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის „მხარის“ სტატუსის მინიჭების შესაძლებლობაზე საუბრობს. იგი ასევე აცხადებს, რომ მოცემულ მომენტში, საქართველოსთვის უკეთესი იქნება, დროის გაყვანას თუ შეეცდება, ვინაიდან სულ რაღაც ერთ თვეში, შესაძლოა, სიტუაცია საქართველოსთვის რადიკალურად შეიცვალოს და გეოპოლიტიკურად, სხვანაირი საერთო სიტუაციური სურათი შეიქმნას.

— აფხაზი და ოსი სეპარატისტები დაჟინებით მოითხოვენ ჟენევის მოლაპარაკებებზე მათთვის „დელეგაციებამდე“ სტატუსის ამაღლებას და მათ „მხარედ“ დაფიქსირებას. რამდენად ხელსაყრელია ამის გაკეთება საქართველოსთვის?

— ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მათი მხრიდან აქტიურად საუბრობდნენ თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმებაზე, იყო ეს დაჟინებული მოთხოვნა. იმ დროს გამოვთქვი მოსაზრება — თუ მხარეებად დაფიქსირდებიან აფხაზეთი და ოსეთი, შეიძლება, ხელი მოეწეროს ამ დოკუმენტს, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. აქედან გამომდინარე, სხვა რამეზე მინდა მიგითითოთ: არ არის გამორიცხული, ჩვენ გვაწყობდეს დროის გაყვანა. გეოპოლიტიკური რეალობა იცვლება, აქედან გამომდინარე, შესაძლოა, დაახლოებით ერთ თვეში, სხვანაირი საერთო სიტუაციური სურათი მივიღოთ.

— მაგალითად, რას გულისხმობთ?

— საქმე ისაა, რომ საფრთხეების ხარისხი შეიცვალა და ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა მოსკოვში ვიზიტმა. არსებობს სერიოზული საფრთხე, რომელსაც ჰქვია რადიკალური ისლამი და საერთოდ, პოლიტიკური ისლამის შემოტევა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე. მიუხედავად იმისა, რომ პრინციპში, ვეთანხმები იდეას აფხაზეთისა და ოსეთის მხარეებად მოხსენიების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ მართლა არ იქნებიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, მაინც მიმაჩნია, რომ დროის გაწელვა ღირს. ცოტა ხანში, შეიძლება, სხვა ტიპის რეალობა დადგეს და რუსეთის მოთხოვნები, ამ მიმართულებით, ასეთი კატეგორიული აღარ იყოს. დღეს მდგომარეობა ისეა, საქართველოს აქვს გარკვეული კოზირები ხელში და ისინი სწორად უნდა გამოვიყენოთ.

— რა კოზირები?

— გაჩნდა საერთო საფრთხე პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთი ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსა და რუსეთისთვის. დღეს ძალიან აქტუალური გახდა პოლიტიკური ისლამიდან მომდინარე საფრთხე. მაგალითად, ჩემი რუსი კოლეგები, რომლებთანაც მოსკოვში ვლაპარაკობდი, სხვა საკითხებთან ერთად, განსაკუთრებით, მწვავედ აღიქვამდნენ, რომ 2005-2006 წლებში სულ 100 კაცი იყო აფხაზეთის მუსულმანურ მრევლში, დღეს კი 10 000 კაცია. ეს მათთვის ბევრად პრობლემატური იყო, ვიდრე ვთქვათ, საომარი მოქმედებების განახლება თბილისსა და სოხუმს შორის.

აქედან გამომდინარე, დაკვირვებით უნდა მივადევნოთ თვალი პროცესების განვითარებას და, შესაბამისად, უნდა შევეცადოთ, მომგებიან მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, რომელიც ინიციატივის გამოვლენის საშუალებას მოგვცემს.

— როგორც ვიცით, მოსკოვში განხორციელებული ვიზიტის დროს, შეხვედრები გქონდათ რუსეთის საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან. რა თქვეს ისეთი, რაც შეიძლება, ქართული საზოგადოებისთვის საინტერესო აღმოჩნდეს და რისი გახმაურებაც, ამ ეტაპზე, შეგიძლიათ?

— რუსეთში, ძირითადად, ვხვდებოდი ჩემს კოლეგებს ანუ საექსპერტო თანამეგობრობის წარმომადგენლებს, თან, სხვადასხვა მიმართულების — ლიბერალებიც იყვნენ, დღევანდელი ხელისუფლების ოპოზიციონერებიც და მისი თავგადაკლული მხარდამჭერებიც.

ამ სპექტრში, ერთი ძირითადი აზრი ძალიან აქტუალურია — რუსეთის რეალობაში სახელმწიფოს დეზინტეგრაციული პროცესები. მეტად შეშფოთებულნი არიან იმ პოზიციით, რომელსაც ავლენს დღეს თათრეთისა და ბაშკირეთის საზოგადოებები — ეს ანტიცენტრისტული განწყობაა. თათრეთი და ბაშკირეთი ჩრდილოეთ კავკასია არ არის, განსაკუთრებით თათრეთი — ესაა მდიდარი, ეკონომიკურად დამოუკიდებელი, ვგულისხმობ საბიუჯეტო თვალსაზრისით, რუსეთის ერთადერთი არადოტაციური რესპუბლიკა. ის საკმაოდ მდიდარია არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ადამიანური რესურსის თვალსაზრისითაც. ამ რესპუბლიკასთან კონფრონტაცია მოსკოვს არანაირად არ აწყობს. შვიდი წელია, მოსკოვის საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ თათრეთის კონსტიტუციიდან ამოღებული იყოს ფრაზა თათრეთის სუვერენიტეტთან დაკავშირებით და ვერაფერს მიაღწია.

დღეს თათრეთი სულ უფრო მეტ დისტანცირებას ახდენს მოსკოვისგან. ასევე ძალიან სერიოზული გავლენა მოიპოვა ამ რესპუბლიკაში, როგორც მეზობელ ბაშკირეთში, რადიკალურმა ისლამმა. ჩრდილო კავკასიას, პლუს, ეს ორი რესპუბლიკა, სერიოზულ პრობლემას ქმნის რუსეთისთვის.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში დეზინტეგრაციულ პროცესებს არა მხოლოდ ნაციონალური რესპუბლიკები ამჟღავნებენ, არამედ რეგიონებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ იჩაგრებიან ისინი, რომლებსაც მიჩნიათ, რომ მატერიალური რესურსის მიღების დიდი საშუალება აქვთ და მათი წიაღისეულის ექსპლოატაციის შედეგად, მოსკოვი იღებს უზარმაზარ შემოსავალს, მათ კი არაფერი რჩებათ. აქედან გამომდინარე, განწყობა — რატომ უნდა ვიყოთ ისეთი ქვეყნის შემადგენლობაში, რომელიც შემოსავალს გვპარავს — ჩნდება იქ. ეს თემები ბევრად მნიშვნელოვანი იყო ჩემი რუსი კოლეგებისთვის ვიდრე, ვთქვათ, ქართულ-აფხაზური თუ ქართულ-ოსური ურთიერთობები.

გარდა ამისა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი ორიენტირებულია ევრაზიული ახალი კავშირის შექმნაზე და გაღიზიანებული უყურებს იგივე პროცესს, ოღონდ თურქეთის მხრიდან. თურქეთიც ქმნის იგივე კავშირს, იგივე დასახელებით. ასე რომ, პრინციპში, რუსეთი თავს კომფორტულად ვერ გრძნობს დღეს თავისი საზღვრების სიახლოვეს.

თურქულ-ევრაზიულ და რუსულ-ევრაზიულ სივრცეში საქართველო მოიაზრება და აქედან გამომდინარე, საქართველოს აქვს გვერდიდან მაყურებლის ფუნქცია. მას შეუძლია, თვალყური ადევნოს, როგორ ებრძვიან ისინი ერთმანეთს. სამხრეთ კავკასიისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის. შეგვიძლია, სერიოზული რესურსი დავაგროვოთ ამ დაპირისპირებული ძალების ბრძოლის კონტექსტში და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ და რუსეთს გვყავს ერთი სერიოზული მტერი, რომელმაც ბევრი სხვა საკითხი გადაფარა — ვგულისხმობ პოლიტიკურ ისლამს. აქედან გამომდინარე, შანსი იმისა, რომ რაღაცაზე მოვილაპარაკოთ, უფრო იზრდება და პერსპექტიული ხდება. ეს გამოსჭვიოდა ამ სხვადასხვა ტიპის სპექტრის ექსპერტებთან საუბრისას.

— გაქვთ ინფორმაცია, რა მოსაზრებები გამოთქვეს რუსმა ექსპერტებმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში?

— ამას ვერ ვიტყვი, სამაგიეროდ, შემიძლია ვთქვა — ყველა თემას, რომელსაც დღის წესრიგში დავაყენებთ, პერსპექტივა გააჩნია და როდესაც ვაყენებთ საკითხს, მეორე მხარე კი წინააღმდეგობას არ გვიწევს, ეს უკვე კარგია.

ვერსიანიუსი

აზერბაიჯანული მხარე, საზღვრის დელიმიტაციის საკითხზე მუშაობის გაგრძელების მიზნით, საქართველოსგან მოწვევას ელის

როგორც **Azeri-Press Agency** იუწყება, ამის შესახებ აზერბაიჯანის მიწისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ღარიბ მამედოვმა განაცხადა.

„საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი 480 კილომეტრს შეადგენს. 300 კილომეტრი უკვე შეთანხმებულია. 180 კმ. სიგრძის მონაკვეთი განიხილებოდა კომისიის დონეზე. ამ ეტაპზე, ველით ქართული მხარის მიწვევას, შესაბამისი დიპლომატიური არხების საშუალებით. როცა მიპატიჟებას მივიღებთ, კომისიის დონეზე მოლაპარაკებები გაიმართება“. მამედოვის თქმით, უახლოეს პერიოდში აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის საზღვრის დემარკაციის პროცესი დაიწყება. აზერბაიჯანის პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულება, ამის თაობაზე, უკვე არსებობს.

„„პირველი“

თბილისში ჟურნალისტიკის რუსულ-ქართული სკოლა იხსნება

ერთი კვირის განმავლობაში, წამყვანი რუსული მასმედიის — საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის“, რადიო „მაიაკის“, ჟურნალ „რუსკი რეპორტიორის“, გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“, საინფორმაციო-ანალიტიკურ პორტალ „ვესტნიკ კავკაზას“ ჟურნალისტები თავიანთი ქართველი კოლეგებისთვის ჩაატარებენ ტრენინგებსა და მასტერ-კლასებს უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებასა და მულტიმედიური კონტინგენტის შექმნაში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტისა („მგიმო“) და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალისტები, ქართველ ექსპერტებთან ერთად, წაიკითხავენ ერთობლივ ლექციებს მასმედიის თანამედროვე ტენდენციებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ, აგრეთვე წარმოადგენენ თავიანთ ხედვას სამხრეთ კავკასიის რეგიონის მომავლის შესახებ, მრგვალი მაგიდის ფარგლებში, სახელწოდებით — „სამხრეთი კავკასია 2020: რეგიონის განვითარების პერსპექტიული სცენარები“.

სკოლაში სწავლების შემაჯამებელ დღეს, გამოცხადდება კონკურსის პირობები ესეს შესაქმნელად, რომლის შედეგადაც, სამხრეთ კავკასიის, მათ შორის, საქართველოს საუკეთესო ჟურნალისტები 2013 წლის ბოლოს შეძლებენ, მონაწილეობა მიიღონ სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდა ჟურნალისტთა რეგიონულ სკოლაში, ქალაქ სოჭში.

ჟურნალისტიკის რუსულ-ქართული სკოლის მუშაობის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცემათ სპეციალური სერტიფიკატები.

ორგანიზატორები იწვევენ ქართული მასმედიის ახალგაზრდა წარმომადგენლებს (ასაკი 20-დან 35 წლამდე, მასმედიაში მუშაობის გამოცდილებით), მონაწილეობა მიიღონ სკოლის მუშაობაში 4-დან 8 თებერვლამდე, სასტუმრო „ამბასადორის“ (თბილისი, შავთელის ქ.13) საკონფერენციო დარბაზში, აგრეთვე ინტერნეტ-პორტალის **«For.ge»** პრესცენტრში. სამუშაო ენა — რუსული.

ჟურნალისტიკის რუსულ-ქართულ სკოლაში მონაწილეობისთვის განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2013 წლის 1 თებერვალი.

ორგანიზატორები არიან რუსეთის პოლიტოლოგიური ცენტრი „ჩრდილოეთი — სამხრეთი“ და არაკომერციული ორგანიზაცია „კავკასიური თანამშრომლობა“.

„მედიანიუსი“

„ჩემი მეუღლის სიკვდილი სასწრაფოს მთვრალი ექიმის არასწორად დასმულმა დიაგნოზმა გამოიწვია და მერე მკურნალმა ექიმმაც დაამატა“

ნელი თორდია

ამბავი, რომელმაც 60 წლის იური ციცქიშვილის სიცოცხლე შეიწირა, 2011 წლის 14 ივლისის დილას დაიწყო. მეუღლის, თამარ კოტეტიშვილის მონაყოლიდან ირკვევა, რომ იური ციცქიშვილი შეუძლოდ გახდა, წნევა 250-ზე აუვარდა და მეტყველება წაერთვა. შეშინებულმა ოჯახის წევრებმა სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს, რომელმაც ავადმყოფთან მისვლა 35 წუთით დაიგვიანა.

გარდაცვლილი პაციენტის მეუღლე ქმრის სიკვდილში ექიმებს ადანაშაულებს

იმის გამო, რომ ბრიგადის მოსვლისას ავადმყოფს უკვე ტრემორი (კანკალი) ჰქონდა დაწყებული და ფონენდოსკოპის გამოყენება შეუძლებელი იყო, ექიმი წნევას პულსითა და ტონომეტრით სინჯავდა და ავადმყოფის მეუღლეს ამშვიდებდა, რომ წნევაა 110, ნორმის ფარგლებშია და იური ციცქიშვილს მხოლოდ ნერვიული სტრესი აქვს.

„ხელ-ფეხის წართმევას მხოლოდ ჰიპერტონიული კრიზი იწვევს, სასწრაფოს ექიმი სოფო ბზეკალავა კი მიმტკიცებს, რომ ასეთი რეაქცია ნერვულმა სტრესმა გამოიწვია. კამათის დროს, მე და ჩემმა ქალიშვილმა შევამჩნიეთ, რომ სასწრაფოს ექიმი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ალკოჰოლის სუნი ასდიოდა. ბზეკალავა დაჟინებით მიმეორებდა, რომ ავადმყოფს აქვს კარგი წნევა, გლაზგოს შკალით მისი მდგომარეობა ფასდება 12 ქულით (ანუ ნორმალურად) და დიაგნოზის დასადგენად, საჭიროა ტომოგრაფია. 40-წუთიანი დავისა და ტომოგრაფიის აუცილებლობაზე ლექციის წაკითხვის შემდეგ, ბზეკალავამ ჩემი მეუღლე კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში გადაიყვანა, სადაც ტომოგრაფიის აპარატი საერთოდ არა აქვთ. ფაქტობრივად, ჩემი მეუღლის გარდაცვალება სასწრაფოს მთვრალი ექიმის არასწორად დასმულმა დიაგნოზმა გამოიწვია და მკურნალმა ექიმმაც დაამატა“, — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბარში თამარ კოტეტიშვილი.

კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში შეყვანისას, ავადმყოფს უფიქსირდება წნევა არა 110, არამედ — 220 და გლაზგოს შკალის მიხედვით, მდგომარეობა ფასდება 6 ქულით (ანუ უმძიმესად), რაც სასწრაფოს ექიმის დიაგნოზს აცამტვერებს: **„ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა მძიმეა, იმყოფება ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციაზე, ვლინდება თავის ტვინის საპროექციო მიდამოების მედიალური ჰემატომა მარცხნივ პარკუჭებში გასვლით, თავის ტვინის შეშუპება, ამ ეტაპზე ოპერაციული ჩარევა მიზანშეწონილი არაა. პაციენტი იმყოფება დინამიკური დაკვირვების ქვეშ“.**

სასწრაფოს ექიმის მიერ „გალაითებული“ დიაგნოზის წყალობით, იური ციცქიშვილი ვერ ხვდება 10 ქულის ქვემოთ მყოფი ავადმყოფებისთვის არსებულ უფასო, გადაუდებელი დახმარების პროგრამაში. თამარ კოტეტიშვილს აფრთხილებენ, რომ პაციენტის სადაზღვევო ბარათით ვერ ისარგებლებს, რადგან მისი მეუღლის სადაზღვევო კომპანიასა და კლინიკას შორის არსებობს 70 000-ლარიანი დავალიანება.

„14 ივლისს, კლინიკის დირექტორმა, ზურაბ ხელაძემ თავის კაბინეტში ყვირილი ამიტეხა. თუ არ მოაგვარებ სადაზღვევოსთან სიტუაციას, ხვალ, 12 საათზე, შენს ავადმყოფზე ხელებს ვიბანო. რა პრეტენზიები გაქვს, შენი ქმარი დღეს თუ არა ხვალ მაინც მოკვდება, აქამდეც ნახევრადმკვდარი მოიყვანეს და რა მნიშვნელობა აქვს, ერთი დღით მეტს იცოცხლებს თუ ნაკლებსო. მას შემდეგ, რაც ხმაური ავტეხე და საქმეში ტელევიზია ჩავრეე, კლინიკამ სადაზღვევო კომპანიას ხელწერილი დაადებინა, რომ მკურნალობის ხარჯებს დაფარავდნენ და ჩემი მომაკვდავი ქმარი საავადმყოფოში „დიდსულოვნად“ დატოვა“, — აცხადებს კოტეტიშვილი.

სადაზღვევოსთან პრობლემების იძულებით მოგვარების შემდეგ, მკურნალობა ბრმად და ზერელედ გაგრძელდა, რის შედეგადაც, ავადმყოფს განუვითარდა ბრონქოპნევმონია, ჰომოლიზური სტაფილოკოკი, კანდიდა და ორგანიზმის ტემპერატურამ მოიმატა 38 გრადუსამდე. საერთო მდგომარეობის დამძიმების მიუხედავად, კლინიკა ქირურგიული ჩარევის გადაწყვეტილებას იღებს და იური ციცქიშვილს 20 ივლისს უკეთებს ტრეპანაციას (თავის ტვინიდან სისხლის ამოღება). თამარ კოტეტიშვილი კლინიკის გადაწყვეტილებას სადაზღვევო კომპანიისგან მეტი თანხის მიღების სურვილს უკავშირებს და აცხადებს, რომ ოპერაციის გაკეთების სურვილმა კლინიკის ხელმძღვანელობას პაციენტის ოჯახისთვის ორმხრივი ბრონქოპნევმონიისა და მაღალი სიცხის შესახებ ინფორმაციის დამალვისკენ უბიძგა, ვინაიდან მაღალი ტემპერატურის დროს არათუ სერიოზული ოპერაცია, კბილის ამოღებაც არაა მიზანშეწონილი. კლინიკის მიერ წარმოებული დოკუმენტაციის მიხედვით, იური ციცქიშვილი ოპერაციიდან ორი დღის შემდეგ იღუპება, თუმცა თამარ კოტეტიშვილს კლინიკის მიერ დაფიქსირებული სიკვდილის დადგომის დროც აეჭვებს.

„22 ივლისის 21 საათსა 20 წთ-ზე აფიქსირებენ ბიოლოგიურ სიკვდილს. იმავე დღეს, 19 საათზე პაციენტს ჩაუტარდა ტრანსფუზია (სისხლის გადასხმა), რომელიც დამთავრდა 20 საათზე. სამედიცინო დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ტრანსფუზიიდან ერთი საათის შემდეგაც, ორი საათის შემდეგაც და სამი საათის შემდეგაც პაციენტს გადასარევი წნევა და პულსი ჰქონდა და დაუხმარებლად სუნთქავდა ანუ 2 საათისა და 40 წუთის მკვდარ ადამიანს წნევა 100-60 ჰქონია და მშვენივრად სუნთქავდა. სინამდვილეში, 21 ივლისს, როცა ჩემი მეუღლე გადაჰყავდათ ტომოგრაფიაზე, ხელი კარში მოაყოლეს და რომ გავუსწორე, მივხვდი, უკვე გარდაცვლილი იყო. საძილე არტერიაზე არანაირი რეაქცია არ ჰქონდა, გალურჯებული იყო და გვამური ლაქებიც ეტყობოდა. მაშინ ვიყვირე, კაცი მკვდარია და რაღას აწვალებთ, სულის ამოხდა მაინც გეცლიათ-თქო. არსებობს ადამიანი, ირმა კენჭაძე, რომელიც ადასტურებს, რომ ჩემი მეუღლე გარდაიცვალა ოპერაციის დღეს და არა 22 ივლისს. მე ეს ჩანაწერები მაქვს და აუცილებლად წარვადგენ სასამართლოზე“, — აცხადებს თამარ კოტეტიშვილი.

მეუღლის დაკრძალვის შემდეგ, თამარ კოტეტიშვილმა ექიმების პასუხისმგებლობის დადგომის მიზნით, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსა და ჯანდაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიმართა. **„ჩემი მიზანი იყო, დამნაშავე ექიმებისთვის სამედიცინო საქმიანობის უფლება შემეჩერებინა, რადგან ჩემსავით სხვა ოჯახებიც არ გაემწარებინათ“,** — ამბობს „ვერსიასთან“ საუბარში თამარ კოტეტიშვილი და სააგენტოს მიერ აღმოჩენილი დარღვევების შთამბეჭდავ ნუსხას გვიჩვენებს, საიდანაც მხოლოდ რამდენიმეს შემოგთავაზებთ:

„სსიპ „საგანგებო და გადაუდებელი მართვის სააგენტოს“ ექიმის, სოფო ბზეკალავას მიერ „სამედიცინო ბარათი ნაწარმოებია არასრულყოფილად. ბზეკალავას, ასევე ჰოსპიტალიზაციის მენეჯერის მიერ არ იქნა გათვალისწინებული პაციენტის მდგომარეობისთვის საჭირო გამოკვლევების აუცილებლობა და არ იქნა მოძიებული ისეთი დაწესებულება, სადაც პაციენტს გაეწეოდა სრულყოფილი სამედიცინო მომსახურეობა. ექიმ ბზეკალავას მიერ არ იქნა გათვალისწინებული „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები. შპს „კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში“ პაციენტის იური ციცქიშვილის სამედიცინო დოკუმენტაცია ნაწარმოებია ხარვეზებით. დოკუმენტაციის მიხედვით ვერ დგინდება, როდის და რა სამედიცინო დახმარება უტარდებოდა პაციენტს. ოპერაციის პროტოკოლში არ არის აღნიშნული ოპერაციის დაწყებისა და დამთავრების დრო და ა.შ.“ აღმოჩენილი დარღვევების გათვალისწინებით სამედიცინო რეგულირების სააგენტომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიმართა რეკომენდაციით „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ ექიმ სოფიო ბზეკალავას და შპს „კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის“ ექიმების — ეკატერინე ქარცივაძისა და თამაზ კერძევაძის პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე. საბოლოოდ, ბზეკალავასა და ქარცივაძეს ერთი თვით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების ვადა, თუმცა ყველაფერი ამით არ დასრულებულა. იური ციცქიშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 2012 წლის 5 მარტს სოფიო ბზეკალავა არაფხიზელ მდგომარეობაში სხვა ავადმყოფთანაც გამოცხადდა, რასაც ავადმყოფის ოჯახის წევრების მხრიდან საპატრულო სამსახურის გამოძახება, სკანდალი და ბზეკალავას სამსახურიდან გათავისუფლება მოჰყვა.

გარდაცვლილი პაციენტის ოჯახისთვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე სასამართლო იმსჯელებს, ჩვენ კი სასწრაფო დახმარების ექიმს დავუკავშირდით და შევეცადეთ, დაზარალებულის მიერ დაფიქსირებული ფაქტი გადაგვემოწმებინა. „ვერსიის“ კითხვებმა სოფიო ბზეკალავა იმდენად გააღიზიანა, რომ სასამართლოში ჩივლით დაგვემუქრა.

— ჯერ ერთი, ამას მე ნუ მეკითხებით და მეორეც, ეს არ არის სატელეფონო საუბარი.

— მაშინ შევხვდეთ და ისე ვისაუბროთ.

— არაფერი შესახვედრი არაა. კოტეტიშვილი ჩივის და იჩივლოს. რა ვქნა ახლა.

— ჩემი ინფორმაციით, პაციენტთან არაფხიზელ მდგომარეობაში სხვა დროსაც მისულხართ, რის გამოც, სამსახურიდან გაგათავისუფლეს.

— ამაზე არ არის ახლა საუბარი. ვინ მოგცათ ამის უფლება, რომ მეკითხებით. მაშინ თქვენ მომეცით თქვენი მონაცემები და მე გავარკვევ, რა მიზნები გაქვთ და რა გნებავთ. ყველაფერს გავარკვევთ სასამართლოზე. დიდი მადლობა.

ექიმს სასამართლოში წარმატება ვუსურვეთ და სოფიო ბზეკალავას სამსახურიდან გამოშვების მიზეზის გასარკვევად, „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" ადმინისტრაციას დავუკავშირდით. ადმინისტრაციული სამსახურის კადრების სპეციალისტმა, თამარ ბოტკოველმა დაგვიდასტურა, რომ ბზეკალავა 1977 წლიდან 2012 წლის მარტამდე მათთან მუშაობდა, თუმცა მისი სამსახურიდან წასვლის მიზეზების დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა.

წერილი დასაბეჭდად იყო მზად, როცა სოფიო ბზეკალავას ადვოკატის სახელით უცნობი მამაკაცი დაგვიკავშირდა. სამართლებრივ საკითხებში ჩვენი „გათვითცნობიერებისა“ და დიდაქტიკური საუბრების მოსმენის შემდეგ, ჩვენ საკუთარი პოზიციის გაზეთში დაფიქსირება შევთავაზეთ, თუმცა ეს არ ისურვა.

ვერსიანიუსი

„ბრიტანეთის ავიახაზები“ საქართველოში ფრენებს აპრილიდან წყვეტს

ავიაკომპანია „ბრიტანეთის ავიახაზები“ საქართველოში ფრენებს 1 აპრილიდან დროებით წყვეტს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ბრიტანეთის ავიახაზების“ საქართველოს წარმომადგენლობის მენეჯერმა, ირაკლი გორდელმა განუცხადა.

მისივე თქმით, ეს გადაწყვეტილება მხოლოდ კომერციულ მიზეზებს უკავშირდება: **„ეს გადაწყვეტილება ამ თვის დასაწყისში მივიღეთ და 1 აპრილიდან, დროებით ვწყვეტთ ფრენებს საქართველოში. მიზეზი კომერციულია ანუ თბილისი არ არის მომგებიანი“.**

„ბრიტანეთის ავიახაზები“ საქართველოში ფრენებს 2012 წლიდან ახორციელებდა.

„ინტერპრესნიუსი“

პარლამენტის ძველი შენობის რეაბილიტაციაზე 1,5 მილიონი ლარი დაიხარჯება

პარლამენტის აპარატმა შესაბამისი ტენდერი უკვე გამოაცხადა. სატენდერო პირობების მიხედვით, შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირ 8-ში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლის შენობის მოწყობის სამუშაოები. ტენდერზე წინადადებების მიღება 14 თებერვალს დაიწყება.

ტენდერის პირობების მიხედვით, სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყებიდან 3 თვეში უნდა დასრულდეს. შეგახსენებთ: საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ტელეკომპანია „იმედის“ 2012 წლის 3 დეკემბრის ეთერში აცხადებდა, რომ პარლამენტისთვის 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სულ 60 მილიონი ლარია განსაზღვრული, მათ შორისაა რეაბილიტაციის ხარჯები.

შეგახსენებთ: საკონსტიტუციო ინიციატივა პარლამენტის თბილისში დაბრუნების შესახებ პარლამენტში დეპუტატების სახელით შევიდა და მას ხელს 80-მდე პარლამენტარი აწერს. უმრავლესობამ საკანონმდებლო ორგანოს თბილისში დაბრუნებაზე მუშაობა უკვე დაიწყო, „ქართულ ოცნებას“ კონსტიტუციაში ცვლილების შესატანად, მინიმუმ, 101 დეპუტატის მხარდაჭერა სჭირდება.

ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი პარლამენტის დედაქალაქში დაბრუნების წინააღმდეგია. მიხეილ სააკაშვილის თქმით, „პარლამენტის ქუთაისიდან გადატანის იდეა მისი მკვლელობის, ჩამკვდარ ქალაქად ქცევის გამოცხადებული ქრონიკაა“.

commersant.ge

„არ მესმის, რა გაუჭირდა ბატონ რობერტ სტურუას, რომ ქართულ საზოგადოებას სოციალური ქსელის საშუალებით ელაპარაკება?“

თამარ ლომსაძე

„რუსთაველის თეატრიდან ერთადერთი მიზეზით წამოვედი — უსამართლობას ვერაფრით შევეგუებოდი“, — ასე დაიწყო „ვერსიასთან“ საუბარი ქალბატონმა მარინა საღარაძემ, რომელმაც გვერდი ვერ აუარა თეატრში განხორციელებულ ცვლილებებს, საზოგადოებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახური თეატრის მმართველ ზაალ ჩიქობავასთან ერთად დატოვა. ამას მოყვა საკმაოდ მწვავე განცხადებები, გაჩნდა დაპირისპირებული მხარეები, თუმცა ქალბატონი მარინა აღნიშნავს, რომ ეს პროცესი რუსთაველის თეატრში ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაიწყო და ახლა სწორედ უკუღმართი პოლიტიკის შედეგებს ვიმკით.

— შესაძლოა, ბევრს გაუჩნდეს კითხვა — რა დროს თეატრის პრობლემებსა და ხელოვნებაზე საუბარია, როცა ამხელა ტკივილი მაქვს, მაგრამ არ მქონდა უფლება, სხვაგვარად მოვქცეულიყავი. თეატრალურ ინტრიგებში არც მე და არც მამა არასოდეს ვერეოდით, ინტერვიუს კი იმიტომ დავთანხმდი, რომ ერთხელ და სამუდამოდ, ყველა წერტილი დავსვა იქ, სადაც საჭიროა.

— წერტილი უკვე დასვით, როცა თეატრის დატოვების შესახებ განცხადება გააკეთეთ. სხვათა შორის, ამბობენ, რომ მიზეზი არა სოლიდარობა, არამედ ის უთანხმოება იყო, რომელიც თქვენსა და რობერტ სტურუას შორის წლების წინ დაიწყო...

— საერთოდ, ძალიან მომთმენი ადამიანი ვარ, მაგრამ ვერასოდეს ავიტან უსამართლობას. ვგულისხმობ ზეწოლას, რაც ბატონ ზაალზე ხორციელდებოდა, ამიტომ გამოვხატე პროტესტი.

რაც შეეხება წარსულს, მაშინ მსახიობებთან ფორმდებოდა სამთვიანი ხელშეკრულებები და ახლაც იგივე ხდება. იმ პერიოდში უამრავ მსახიობს დაატოვებინეს თეატრი, მათ შორის — იზა გიგოშვილს, აკაკი ხიდაშელს, ლია გუდაძეს, გოგი თურქიშვილს... არადა, არსებობდა მთავრობის დადგენილება — ოპერის, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები არ უნდა დაქვემდებარებოდა საშტატო შემცირებას, მაგრამ ეს მაინც გააკეთეს... და ამ ყველაფერს საოცარი ციინიზმი ახლდა — თეატრში დილით მოსული ადამიანი, ყოველგვარი გაფრთხილებისა და ახსნა-განმარტების გარეშე იგებდა, რომ იქ აღარ მუშაობს.

— მათ შორის თქვენც, და ეს არაა პირადი უთანხმოება რობერტ სტურუასთან?

— არასოდეს, არანაირი პირადი უთანხმოება არ გვქონია. რეჟისორისა და მსახიობის ურთიერთობა სიყვარულს ჰგავს, ან გიყვარს ან — არა. პირადად, არანაირი პრეტენზია არ მაქვს, ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა რომ არ შედგა, მით უმეტეს, მაშინ ახალგაზრდა რეჟისორ გოჩა კაპანაძის საკმაოდ წარმატებულ სპექტაკლებში ვიყავი დაკავებული, მაგრამ სწორედ „მარიამ სტიუარტის“ პრემიერის შემდეგ, იძულებული გავხდი, თეატრი დამეტოვებინა.

— ახლაც, მხოლოდ უსამართლობამ გაიძულათ ამ ნაბიჯის გადადგმა?

— არ მაქვს უფლება, ვინმე განვსაჯო. ჩემზე ზეწოლა არ ხორციელდებოდა, რასაც ვერ ვიტყვი ბატონ ზაალზე, როცა იბარებ ადამიანს და ეუბნები, რომ წასვლაზე განცხადება დაწეროს, ამას ზეწოლა ჰქვია და სხვა არაფერი. ურთიერთშეუთანხმებლობაზე ლამაზი განმარტებებით კი, საქმის არსს ვერ დაფარავ, არ გამოვა!

„ფეისბუქზე“ დადებული კომენტარებიდან აშკარა იყო ბატონი რობერტის პოზიცია — იგი თეატრში დიქტატურის დასამყარებლად მოდიოდა, რასაც ვერ შევეგუებოდი. დაუფარავად გამოაცხადა, რომ ყველას გაშვებას აპირებდა და შემდეგ აიყვანდა დასს. არადა, არსებული 62-კაციანი დასი მთლიანად მისი დაკომპლექტებულია, თავის დროზე.

— მაგრამ ესაა დასი, რომელმაც სტურუას თეატრიდან წასვლის შემდეგ, იქ მოღვაწეობა მაინც გააგრძელა...

— ბატონი რობერტის წასვლას დიდი რეზონანსი ჰქონდა. მაშინ ზაალ ჩიქობავამ შესთავაზა ხელშეკრულების გაფორმება, რომლის მიხედვითაც, წელიწადში ორჯერ უნდა დაედგა სპექტაკლი და გაეგრძელებინა მოღვაწეობა, როგორც რეჟისორს, მაგრამ უარი თქვა, ამიტომ მისი განაწყენება მსახიობებზე, ჩემთვის გაუგებარია. ყველამ გააპროტესტა მისი წასვლა და არ მესმის, სხვა რა უნდა ექნათ? ასევე გაუგებარია დაჟინებული მოთხოვნა — წასულიყო ზაალ ჩიქობავა, ხოლო მმართველისა და სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობები აუცილებლად შეეთავსებინა რობერტ სტურუას.

— ფიქრობთ, ვერ გაართმევს თავს?

— ძალიან მძიმე ტვირთია თეატრის მართვა და მისი სამხატვრო ხელმძღვანელობა, მაგრამ ეს ჩემი განსჯის საგანი არ არის... სიმართლე გითხრათ, მეგონა, ბატონი ზაალი და ბატონი რობერტი თანამშრომლობას შეძლებდნენ, მაგრამ ამან „წითელ კომისრებად“ მონათლა თეატრის მმართველები და პოლიტიკური სარჩული დაუდო ყველაფერს, არადა, რუსთაველის თეატრი პოლიტიკურ პროცესებში არასოდეს ერთვებოდა.

— განზე დგომაც არ გამოსდიოდა — თავის დროზე, სტურუა თეატრიდან პოლიტიკური სარჩულით წავიდა, 90-იან წლებში მსახიობები სწორედ პოლიტიკური შეხედულებების გამო გაათავისუფლეს...

— ჩემი აზრით, დიდი შეცდომაა ხელოვანი ადამიანის პოლიტიკაში ჩარევა. მისი ფუნქციაა, ზნეობრივი ფასეულობები დაამკვიდროს საზოგადოებაში და პოლიტიკურ პროცესებს საქმით გამოეხმაუროს. ვერავინ იტყვის, რომ გურამ საღარაძეს მოქალაქეობრივი პოზიცია არ ჰქონდა, მაგრამ ილიას, ვაჟას, აკაკის სიტყვებით ცდილობდა, შეეხსენებინა საზოგადოებისთვის, რომ ჩვენში უნდა ვეძიოთ იმ პრობლემების მიზეზი, რომლის წინაშეც დაუსრულებლად დგას ჩვენი ქვეყანა. ბატონი რობერტის „ყვარყვარე“, „რიჩარდ III“, „მეფე ლირი“... ის გენიალური სპექტაკლებია, რომელთა საშუალებითაც, იგი ზოგადსაკაცობრიო და ამავე დროს, იმ პერიოდის პოლიტიკურ პრობლემებზე ამახვილებდა ყურადღებას... რაც შეეხება 90-იან წლებში მსახიობების გათავისუფლებას, შესაძლოა, მათ თავისი პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდათ, მაგრამ ამას თეატრის შემოქმედებით პროცესზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია. ეს ადამიანები კი ზუსტად, პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს და მიზეზად შიდაგანაწესის დარღვევა მოუდეს. იგივე მოხდა ზაალ ჩიქობავას შემთხვევაშიც. ძალიან მიყვარს ბატონი გოგი ქავთარაძე, მამაჩემის უახლოესი მეგობარია, მაგრამ არ მესმის, რატომ აკეთებს ისეთ განცხადებებს, რომელზეც კომენტარის გაკეთება, უბრალოდ, შეუძლებელია — არც უარყოფს, რომ ბატონი ზაალი პოლიტიკური ნიშნითაა გათავისუფლებული. ეს სრულიად ახალი და ჩემთვის გაუგებარი ტენდენციაა.

— ვიღაც ყოველთვის რჩება ნაწყენი, მით უმეტეს, როდესაც თეატრში თაობათა ცვლა ხდება.

— თაობათა ცვლა კარგა ხანია მოხდა რუსთაველის თეატრში, თუმცა ამის მიუხედავად, ყველაზე დიდი წარმატება დღევანდელ რეპერტუარში, სწორედ „მოხუც ჯამბაზებს“ ჰქონდა. გოჩა კაპანაძეს რომ არ დაეგა ეს სპექტაკლი, მედეა ჩახავას, ზინა კვერენჩხილაძეს, გურამ საღარაძეს, კახი კავსაძეს, ჯემალ ღაღანიძეს... ვერც იხილავდა სცენაზე ახალგაზრდა თაობა. 90-იან წლებში გიზო ჟორდანიამ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში რამოდენიმე არაჩვეულებრივი სპექტაკლი დადგა („სამანიშვილის დედინაცვალი“, „ანა ფრანკის დღიური“, „ჰამლეტი“...), იმავე პერიოდში გოჩა კაპანაძის „ბერნარდა ალბას სახლი“ და „მარიამ სტიუარტი“ დაიდგა. სპექტაკლებს დიდი წარმატება ხვდა და როგორც ჩანს, ამან გამოიწვია გაღიზიანება, ამიტომ ისინი ნელ-ნელა მოიხსნა რეპერტუარიდან.

— რა მიზეზით?

— თეატრში ამაზე არ საუბრობენ, დიქტატურა იმიტომაა დიქტატურა, რომ მიზეზს ვერ შეეკითხები. ასე უნდა ადამიანს და მორჩა! მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ რობერტ სტურუა უდიდესი რეჟისორია, ვგიჟდები მის სპექტაკლებზე და რაც უნდა მოხდეს, ისინი ქართული კულტურის ისტორიაში შევა როგორც უდიდესი მონაპოვარი, მაგრამ რაც ხდება დღეს, არც ერთ ჩარჩოში აღარ ჯდება: გასაგებია, დღეს, ძალიან პოპულარულია „ფეისბუქი“, მაგრამ რა გაუჭირდა რობერტ სტურუას, რომ ქართულ საზოგადოებას სოციალური ქსელის საშუალებით ელაპარაკება? სწორედ იქ, თავის კომენტარებში გააკრიტიკა „ოლივერი“ და არ მესმის, რა დაუშავა ამ სპექტაკლმა? დიახ, 40 წლის წინ, ლონდონში დაიდგა ის პირველად, მაგრამ ეს კლასიკაა. შესაძლოა, მიუზიკლების დადგმა არ არის რუსთაველის თეატრის პირდაპირი დანიშნულება, მაგრამ სპექტაკლის ხარისხი სრულად შეესაბამებოდა თეატრის მოთხოვნას, რომ არაფერი ვთქვათ ბავშვების ბედნიერ სახეებზე. მათ თეატრის ინტრიგები არ აინტერესებდათ, უბრალოდ, უხაროდათ და მონდომებით უკრავდნენ ტაშს.

ასევე გაუგებარია, რატომ გადაეკიდა თეატრის პიარისა და მარკეტინგის სამსახურსაც, როცა იქ მომუშავე ახალგაზრდებმა ბევრი საქმე გააკეთეს. მხოლოდ სპექტაკლებით არ შემოვიფარგლებოდით. რუსთაველის თეატრმა კარი გაუღო საზოგადოებას, მოეწყო გამოფენები, შედგა ვაშინგტონში არსებული „სინეტიკის“ თეატრის გასტროლები და ეს ყველაფერი ურთულეს წელიწადნახევარში. ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო გამოფენა, რომელიც მიეძღვნა 1937 წელს, რუსთაველის თეატრის რეპრესირებულ მსახიობებს. გავიხსენეთ სანდრო ახმეტელი და მისი დასის ახალგაზრდა მსახიობები, ვინც სტალინის დაუნდობელ რეჟიმს შეეწირა. მის ძეგლებს კი დღეს სიხარულით აღადგენენ, რაზეც ადამიანი შეიძლება, ჭკუიდან შეიშალოს... იყო სხვა პროექტებიც, ზოგი წარმატებული, ზოგი — ნაკლებად, მაგრამ ეს არაა ასეთი გესლიანი შეფასებების კეთების საფუძველი.

— ისე, თეატრებში, სამხატვრო ხელმძღვანელს განუზომელი უფლებები ყოველთვის ჰქონდა, რამდენად სწორია ასეთი პოლიტიკა?

— ეს ძალიან ფაქიზი თემაა და არ უნდა გადავვარდეთ ერთი უკიდურესობიდან მეორეში. გგონიათ, ბატონი რობერტი ბოლომდე ცდება, როდესაც დიქტატურაზე საუბრობს? თუმცა ჩემთვის სიტყვა — დიქტატურაა მიუღებელი. თეატრში მხოლოდ სამხატვრო ხელმძღვანელი განსაზღვრავს შემოქმედებით პოლიტიკას, რაც მისი პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ ეს არ აძლევს უფლებას, მსახიობებს, როგორც საკუთარ მონებს, ისე მოექცეს. ბევრს საუბრობენ კანონზე თეატრის შესახებ და მინდა, ვთხოვო მათ, ვინც ამაზე იმუშავებს — არ დაივიწყონ, რომ მმართველებისა და სამხატვრო ხელმძღვანელების გარდა, არსებობენ მსახიობები, რომელთა გარეშეც თეატრი, უბრალოდ, აღარ იარსებებს და ამიტომ მათი უფლებები განსაზღვრული უნდა იყოს. ზაალ ჩიქობავაც ამიტომ წავიდა, რათა არ დაზარალებულიყო თეატრი და მაყურებელი.

— მაშინაც თეატრსა და მაყურებელზე ფიქრობდა, როდესაც დარბაზი ტელეპროექტებისთვის გააქირავა?

— არ მესმის, რატომ არ უნდა ხორციელდებოდეს თეატრში კომერციული პროექტები, რის გამოც დაუსრულებლად გვსაყვედურობდნენ და აბსოლუტურად უსამართლოდ. რითაა „ცეკვავენ ვარსკვლავები“ უინტერესო ან მაყურებლისთვის ან თეატრისთვის? ასეთი პროექტებით შემოდიოდა თანხა, რაც აუცილებელი იყო თეატრის გამართული არსებობისთვის. სულ ესაა, და ტყუილია, თითქოს, მცირე დარბაზში ქორწილები იმართებოდა. მოსკოვის დიდ თეატრში სკამებს იღებენ, მეჯლისებს მართავენ და გაუგებარია, რატომ არ შეიძლებოდა, მცირე დარბაზში მსახიობების იუბილეები გაგვეკეთებინა მაშინ, როცა მაშინდელმა დირექტორმა, ბატონმა გია თევზაძემ ქალაქგარეთ რუსთაველის თეატრის სახელობის ღორის ფერმა გახსნა. რას ვიზამთ, ყველას თავისი ხედვა აქვს თეატრისთვის საჭირო თანხის მოძიებაზე. ვიღაცას ღორის ფერმა აინტერესებდა, ჩვენ კი — „ცეკვავენ ვარსკვლავები“. ახლა რომ ტირიან რუსთაველის თეატრის ძველ დიდებაზე, ამაზე ერთადერთ პასუხი მაქვს — მაშინ თეატრს ჰყავდა ლეგენდები, მათ შექმნეს მყარი საძირკველი, დღეს კი თეატრალური განათლების პრობლემაა.

— თეატრალური უნივერსიტეტი, ფიქრობთ, ვერ ასრულებს თავის ფუნქციას?

— იქ ფაქტობრივად, კათედრებია განადგურებული, ბავშვები საერთოდ ვერ ხვდებიან, სად სწავლობენ და რა უნდა ისწავლონ. ამ პრობლემებზე ყველა უნდა დაფიქრდეს, სხვაგვარად ქართული თეატრი დაიღუპება. ასე რომ, მხოლოდ რეჟისორებში, სამხატვრო ხელმძღვანელებში, მმართველებსა და მათ მიღებაგათავისუფლებაში არ არის საქმე.

— შემოთავაზების შემთხვევაში, დაბრუნდებით თეატრში?

— დარწმუნებული ვარ, არც შემომთავაზებენ. ერთი ვიცი მხოლოდ — ვალი მაქვს მამაჩემის წინაშე და მინდა, მისი საუკეთესო ჩანაწერები დისკად გამოვცე. საინტერესო პროექტების განხორციელებას ვაპირებ, განსაკუთრებით, ეს მხატვრულ კითხვას ეხება, განვაგრძობ პედაგოგიურ მოღვაწეობას... იცით, მამა მეუბნებოდა, თუნდაც გეგონოს, რომ გამოსავალი აღარ ჩანს, არასოდეს დაკარგო საკუთარი თავის რწმენა და ყველაფერი დალაგდება... ბრძენი და ძლიერი ადამიანი იყო. თეატრსა და მსახიობებს ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. ვიცი, ისინი არსებულ პრობლემებზე მაღლა დადგებიან, მე კი მოუთმენლად დაველოდები რობერტ სტურუას ახალ შედევრს.

— დაესწრებით სპექტაკლს?

— რა თქმა უნდა, იმ თეატრში, სადაც საღარაძეებმა თითქმის საუკუნის განმავლობაში იმსახურეს, მე ყოველთვის მონინებითა და ამაყად შევაღებ კარს. რას ვიზამთ, ალბათ, ძალაუფლება ძალიან ტკბილია, მთავარია, დაუსრულებელი ქიშპობით სული არ დავკარგოთ და უკვდავი „კავკასიური ცარცის წრის“ არ იყოს, „სიკეთე, სიკეთე, სიკეთე ვთესოთ!“

ვერსიანიუსი

გიგი უგულავა პარლამენტს ინიციატივით მიმართავს

მიკროავტობუსების მძღოლების წინაშე არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით, დედაქალაქის მერია გაფიცულებსა და კომპანიას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში ჩაერთო, — ამის შესახებ მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ირაკლი აბესაძემ განაცხადა.

მისი თქმით, დედაქალაქის მერი წერილობით მიმართავს პარლამენტს ინიციატივით, რომელიც გულისხმობს მძღოლებისათვის ყოველთვიურად ფიქსირებული გადასახადის დაწესებას, არაუმეტეს 10 ლარისა. საქმე ეხება იმ გადასახადს, რომელსაც მძღოლები, როგორც ინდმეწარმეები იხდიან.

„ამ ინიციატივის გაზიარების შემდეგ, ეს მნიშვნელოვანი მატერიალური შეღავათი იქნება მძღოლებისთვის“, — აღნიშნა ირაკლი აბესაძემ.

მისივე თქმით, აქამდე, მძღოლებისთვის ფიქსირებული გადასახადი არ იყო დაწესებული და ისინი გადასახადებს შემოსავლების მიხედვით, პროცენტულად იხდიდნენ, თუმცა მძღოლების მთავარი მოთხოვნაა ყოველდღიური გეგმის შემცირება.

თბილისის მიკროავტობუსების მძღოლები უკვე მეხუთე დღეა გაფიცულები არიან.

„ინტერპრესნიუსი“

შეწყალების კომისიისთვის ხელახლა მიმართვის ვადა მცირდება

შეწყალების კომისიისგან შეწყალების შუამდგომლობაზე უარის მიღების შემთხვევაში, ხელახალი მიმართვის ვადა მცირდება და სამი თვით განისაზღვრება. აქამდე მოქმედი წესით, შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში, კომისიისთვის განმეორებითი თხოვნის წარდგენა პირს უარის თაობაზე კომისიის გადაწყვეტილების მიღების დღიდან ექვსი თვის შემდეგ შეეძლო.

ამ კუთხით „შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ პრეზიდენტის ბრძანებულებაში ცვლილებები შევიდა და ჩაიწერა, რომ შეწყალების შუამდგომლობის (თხოვნის) დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, კომისიაზე განსახილველად განმეორებითი თხოვნა შეიძლება შეტანილი იყოს შუამდგომლობის (თხოვნის) დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების მიღების დღიდან სამი თვის შემდეგ.

„ინტერპრესნიუსი“

„სამხრეთის დერეფანში“ ალტერნატიული ნაბიჯების ხმა ისმის

ზურაბ გამრეკელი

ბოლო პერიოდში, „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ (TANAP) ხელშეკრულების აზერბაიჯანული და თურქული მხარეების მიერ რატიფიცირების მიუხედავად, ანკარაში გაჩნდა ეჭვი აზერბაიჯანიდან თურქეთში ბუნებრივი აირის დროულად ტრანსპორტირებაზე.



რა უდევს საფუძვლად ანკარას ეჭვებს

საქმე ისაა, რომ ამ დღეებში, თურქეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, თურქეთს რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და ირანიდან გაზსადენებით მიღებული ბუნებრივი აირის გარდა, დამატებით უნდა 6 მლრდ კუბმეტრი თხევადი აირის შესყიდვა. ამასთან, ქვეყანა აპირებს გათხევადებული გაზის მიმღები ტერმინალის მშენებლობას. ეს მაშინ, როცა თურქეთში უკვე ფუნქციონირებს 12 მლრდ კუბმეტრის წლიური წარმადობის ორი ასეთი ტერმინალი, სადაც თხევადი აირი ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან შედის. სავარაუდოდ, პრესაში გაჟონილი ეს ინფორმაცია აზერბაიჯანელებზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ისახავდა მიზნად, რათა თურქებმა ბაქო აიძულონ, „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ ექსპლოატაციასა და სატრანზიტო ტარიფში მათთვის ხელსაყრელი პირობები მიიღოს.

2012 წლის მიწურულს, აზერბაიჯანს არა მარტო თურქებთან, არამედ დასავლელ პარტნიორებთანაც დაეძაბა ურთიერთობა. ორიოდე კვირის წინ, კომპანია BP-მ „როსნეფტთან“ გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი, რის გამოც, ბრიტანულ გიგანტს აზერბაიჯანულ მხარესთან ისევ (ყველას ახსოვს შარშან ოქტომბერში პრეზიდენტ ი. ალიევის მხრივ „აზერი-ჩირაღი-გიუნეშლიზე“ BP-ის ოპერირებით მოქმედი აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის კრიტიკა) პრობლემები გაუჩნდა, არადა ლონდონში ბაქოსთან დაძაბულობას უფრთხიან, ვინაიდან ბრიტანელები მონაწილეობენ აზერბაიჯანის „შაჰ-დენიზი 2“-ის 28 მლრდ დოლარის ღირებულების პროექტის განხორციელებაში.

„სოკარის“ ანონიმურ წარმომადგენელს მიაჩნია, რომ „როსნეფტთან“ BP-ს კავშირი კრემლს საშუალებას აძლევს, ბრიტანელების გამოყენებით, კასპიის ენერგომატარებლების მოპოვება-ტრანსპორტირებაზე არაპირდაპირი გავლენა იქონიოს. ამ მომენტში BP-ს აქვს „როსნეფტის“ აქციების 20% და მალე, მისი 2 წარმომადგენელი რუსული კომპანიის დირექტორთა საბჭოში გაწევრიანდება. ამასთან, BP-ში ერთი რუსი დირექტორიც უნდა დაინიშნოს. აზერბაიჯანში მიაჩნიათ, რომ მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარება აზერბაიჯანისთვის არა მარტო ენერგეტიკული, არამედ უკვე ეროვნული და პოლიტიკური უსაფრთხოების პრობლემაც არის. მიზეზი მარტივია – ბაქო და მოსკოვი ევროპის გაზმომარაგებაში კონკურენტები არიან და აზერბაიჯანის ენერგეტიკის სექტორის უმთავრესი ინვესტორის – BP-ის რუსულ მხარესთან ნებისმიერი გარიგება აზერბაიჯანში სწორედ ამ პრიზმით აღიქმება.

საქმე ისაა, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ, აზერბაიჯანის ხელისუფლება შეშფოთებით აკვირდება მოსკოვის პოზიციების განუხრელ განმტკიცებას, და, შესაბამისად, ბაქოს მოკავშირე – თურქეთის გავლენის შესუსტებას სამხრეთ კავკასიაში. იმ ცხელ ზაფხულში, ბაქოს დასამშვიდებლად BP-ის მაშინდელი პრეზიდენტი რობერტ დადლიც კი ჩამოვიდა და ილჰამ ალიევს ადრე დაგეგმილი პროექტებისადმი BP-ის ერთგულება აღუთქვა. მაგრამ BP-ს ინტერესები აქვს რუსეთშიც, ამიტომ, მას საკმაოდ სახიფათო თამაშის წარმართვა უხდება, ანუ „სოკარის“ ეჭვებს საფუძველი აქვს. საკმარისია, გავიხსენოთ თუნდაც, 2012 წლის მიწურულს, BP-ისგან და AAP-ისგან ანუ „ტე-ენ-კა BP“-ის აქციონერთაგან, „როსნეფტისთვის“ ამ კომპანიის აქციების 100%-ის მიყიდვის ფაქტი.

ალიევი თურქეთის დაყოლიებას დავოსის ფორუმზე ცდილობს

რუსეთისა და დასავლური ენერგოკომპანიების ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კვალობაზე, მკვეთრად გააქტიურდა ბაქო. აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი დავოსში „გაზ-დე-ფრანსის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, კომპანიის პრეზიდენტს, ჟაკ სირელის შეხვდა. შეხვედრაზე ისაუბრეს „აბშერონისა“ და „შაჰ-დენიზის“ საბადოების ათვისებაში თანამშრომლობასა და აზერბაიჯანის მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარებაზე.

ბოლოს და ბოლოს, აზერბაიჯანელებმა ბრიტანელებთანაც გამონახეს საერთო ენა. „სოკარმა“ და BP-მ ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ (TANAP) პროექტში 12%-ის აზერბაიჯანული კომპანიის მიერ BP-ისთვის დათმობის შესახებ. კომპანია BP-Azerbaijan-ში ეს ინფორმაცია დაადასტურეს, თუმცა იქვე დაამატეს, რომ სხვადასხვა საკითხებზე შეთანხმება ორმა კომპანიამ ჯერ კიდევ შარშან, დეკემბერში გააფორმა, მაგრამ მაშინ წილის დათმობაზე საუბარი არ იყო.

გასული წლის ბოლოს, ბაქოში BP-ს პრეზიდენტის რობერტ დადლის ვიზიტის დროს, BP-სა და „სოკარს“ შორის მიღწეული შეთანხმებით, „სოკარი“ დააფუძნებს კომპანიას „შაჰდენიზის“ გაზის ევროპაში ტრანსპორტირების მიზნით. BP-სთან 2012 წლის 18 დეკემბერს „სოკარის“ მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, საქართველოზე გამავალი „სამხრეთკავკასიური გაზსადენის“ სიმძლავრე, წლიურად, 25 მლრდ კუბმეტრამდე უნდა გაიზარდოს. ეს ნიშნავს, რომ ამ გაზსადენით, არა მარტო „შაჰდენიზის“, არამედ სხვა საბადოების გაზის ტრანსპორტირებაც უნდა მოხდეს. სავარაუდოდ, 9 მლრდ კუბმეტრით ამ გაზსადენის გაფართოება 25 მლრდ დოლარი დაჯდება, ხოლო მთლიანად „შაჰდენზი 2“, „ტანაპი“, „სამხრეთკავკასიური გაზსადენის“ გაფართოება და ევროპაში გაზის შეტანა (საინვესტიციო გადაწყვეტილება „ტრანსადრიატიკულ გაზსადენსა“ და „ნაბუქო-უესტს“ შორის, გეგმით, 2013 წლის ივნისისთვის მიიღება) 40 მლრდ დოლარამდე დაჯდება.

საინტერესოა, რომ ა/წლის 18 იანვარს გერმანული კომპანია RWE-ის მიერ „ნაბუქოში“ თავისი წილის გაყიდვაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, „ნაბუქოს“ კონსორციუმმა გადაწყვიტა არა თვითლიკვიდაცია, არამედ აქციების პაკეტის ნახევრის „შაჰ-დენიზის“ აქციონერთათვის (SOCAR, BP, Statoil და Total) მიყიდვა. ამით მისი აქციონერთა რიცხვი მალე, სავარაუდოდ, 9-10-მდე გაიზრდება. „ნაბუქოსა“ და „შაჰ-დენიზის“ აქციონერებმა ქ. ვენაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას თანამშრომლობაზე, დაფინანსებასა და ერთობლივ ფლობაზე, რაც „შაჰ-დენიზის“ აირის ევროპაში ტრანსპორტირების საბოლოო მარშრუტის არჩევამდე, „ნაბუქო-უესტის“ პროექტის დამუშავების გაგრძელებას ნიშნავს. ეს შეთანხმება ასევე ითვალისწინებს გაზსადენში პოტენციური ინვესტორებისთვის 50%-იანი წილის გადაცემას, პროექტის „შაჰ-დენიზის“ აირის ტრანსპორტირების ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში.

ამრიგად, ამ ეტაპზე, სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებენ აზერბაიჯანული გაზის როგორც ევროპაში ტრანსპორტირების („ტრანსადრიატიკული“ და „ნაბუქო-უესტის“ გაზსადენები), ისე თურქეთზე გამავალი, „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ (TANAP) პროექტები. მეტიც, BP-ს მიერ TANAP-ში წილის შეძენა და „შაჰ-დენიზის“ აქციონერების მიერ „ნაბუქოს“ კონსორციუმში აქციების პაკეტის ნახევრის შესაძლო ყიდვა, ნიშნავს ამ პროექტების რეალური განხორციელების სტადიაზე გადასვლას. საქმე ისაა, რომ დღემდე, „შაჰ-დენიზის“ კონსორციუმის აქციონერებს (SOCAR, BP, Statoil და Total) არ ჰქონდათ ევროპულ ბაზრებზე წვდომა. ამიერიდან, მათ გეოპოლიტიკური ინტერესის გვერდით უჩნდებათ ეკონომიკური სტიმულიც, რათა აზერბაიჯანში მოპოვებული აირი სწორედ დასავლეთის მიმართულებით, ევროპის ბაზრებზე საქართველოს გავლით გაიტანონ.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ევროპაში „შაჰ-დენზის“ გაზის შესატანი მარშრუტის შერჩევა, შესაძლოა, წლევანდელ ივნისში ვერ მოხდეს, როგორც აქამდე იყო მიჩნეული. წინადადებების მიღება კონსორციუმის მიერ დასრულდება 1 აპრილისთვის. ივნისის ბოლომდე კონსორციუმი გაარკვევს ტრანსპორტირების მარშრუტს, თუმცა აზერბაიჯანელ ექსპერტს, ილჰამ შაბანს მიაჩნია, რომ, შესაძლოა, ეს თარიღი გადაიწიოს კიდეც, ვინაიდან „ნაბუქო-უესტმა“ სატენდერო წინადადებები მხოლოდ იანვარში წარმოადგინა მაშინ, როცა „ტრანსადრიატიკული გაზსადენის“ (TAP) კონსორციუმმა ასეთი წინადადებები შარშან, აგვისტოში შეიტანა. ამიტომ, არაა გამორიცხული, გადაწყვეტილების მიღება მარშრუტზე 2013 წლის ბოლოსთვის გადაიდოს.

უნდა თუ არა ანკარას მოსკოვისგან ენერგეტიკული დამოუკიდებლობა

სპეციალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარების მიუხედავად, თურქეთს ადრე ხელმოწერილი კონტრაქტებით მისაღები გაზი 2020 წლამდე თავისუფლად უნდა ეყოს. არსებული „ცისფერი ნაკადი“ და „პროგრესი“, იგივე „ტრანსბალკანური გაზსადენი“ (16+14=30 მლრდ კუბმეტრი რუსული გაზი), რამდენადმე დაუტვირთავია – 2011 წელს ორივე მილით თურქეთში რუსეთიდან იმპორტმა 24 მლრდ კუბმეტრი შეადგინა. ერთი შეხედვით, ესაა მიზეზი, რატომაც თურქეთს სურს, შეამციროს გაზზე რუსეთისგან დამოკიდებულება და თხევად გაზზე გადავიდეს.

შარშან, დეკემბერში ვ. პუტინის თურქეთში ვიზიტის დროს, თურქულმა მხარემ დამატებით, 3 მლრდ კუბმეტრი აირი მოითხოვა. განხილული იქნა ასევე, ტრანზიტის შესაძლებლობაც – ანუ ვიზიტის დროს, საუბარი იყო ახალი კონტრაქტების გაფორმებასა და არა ძველების ფარგლებში მიწოდების ზრდაზე.

ამრიგად, სტატიის დასაწყისში მითითებული 6 მლრდ კუბმეტრი თხევადი გაზის თურქეთში პოტენციური იმპორტი და რუსეთიდან დამატებით მოთხოვნილი აირი, ჯამში, 9 მლრდ კუბმეტრს შეადგენს. რატომ ითხოვს ანკარა დამატებას? პასუხი ლოგიკურია – თურქეთს რუსეთში კი არ ეპარება ეჭვი, უბრალოდ, არ არის დარწმუნებული აზერბაიჯანული გაზის დროულად მიღებაში!

არადა, სწორედ აზერბაიჯანული „შაჰ-დენიზი 2“-ის 6 მლრდ კუბმეტრ დამატებით აირს განიხილავდა ანკარა 2018 წლისთვის, თავისი მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წყაროდ, რომელიც „ტრანსანატოლიური გაზსადენით“ (TANAP) უნდა მიეღო...

პრობლემა ისაა, რომ „შაჰ-დენიზის“ მეორე სტადიის დაწყების ვადებმა არაერთხელ გადაიწია, ხოლო პროექტისთვის გაანგარიშებული ინვესტიციები მუდმივად იზრდება.

ვერსიანიუსი

განათლების სამინისტრო მოსწავლეებისთვის კონკურსს აცხადებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოსწავლეებისთვის აცხადებს კონკურსს — „რა ვიცით ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ“.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ განათლების სამინისტროდან აცნობეს, წელს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავი აღინიშნება:

„მნიშვნელოვანია, რომ იუნესკომ 2013 წელი ექვთიმე თაყაიშვილის საიუბილეო წლად გამოაცხადა. ამ თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლებს ორი სახის კონკურსის ჩატარებას სთავაზობს: კონკურსს თემაზე: „რა ვიცით ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ“ და „ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიულ თემაზე შექმნილი ბლოგების“ კონკურსს“.

კონკურსების მიზანია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლის პოპულარიზაცია, მოსწავლეთა კვლევის, ინფორმაციაზე მუშაობის, შეფასებისა და კრიტიკული აზროვნების უნარების წახალისება. ასევე, გუნდური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარების განვითარების ხელშეწყობა. პროექტებში წარმოდგენილი მასალები შეიძლება ეხებოდეს როგორც საყოველთაოდ ცნობილ და ისტორიოგრაფიაში ფართოდ გაშუქებულ მოვლენებს, ასევე ნაკლებად ცნობილ ფაქტებსაც. კონკურსებში მონაწილეობა საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შეუძლიათ როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდურად. სამუშაოს შესასრულებლად მათ დაახლოებით 20 დღე ეძლევათ. თითოეული სკოლა სამინისტროს თითო გამარჯვებულ პროექტსა და ბლოგს (სურვილისამებრ) წარმოუდგენს. მათ სამინისტროში შექმნილი კომისია განიხილავს და 5-5 გამარჯვებულს გამოავლენს, რომლებიც დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდებიან.

„ინტერპრესნიუსი“

მუბარიზ აჰემდოღლუ: „საქართველოს პოლიტიკა პროსომხური გახდა“

აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი მუბარიზ აჰემდოღლუ, რომელიც პოლიტიკური ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელია, მიიჩნევს რომ მთიანი-ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში, საქართველოს პოლიტიკა პროსომხური გახდა, რის გამოც, აზერბაიჯანმა საპასუხო ზომები უნდა მიიღოს, – იტყობინება aze.az.

პოლიტოლოგს ზემოხსენებული მოსაზრების გასამყარებლად ორი მაგალითი მოჰყავს:

„საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაია ფანჯიკიძემ ლიტვაში ვიზიტისას, მხარი დაუჭირა აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას ანუ იმას, რომ ყარაბაღი აზერბაიჯანის ნაწილია, თუმცა საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ფანჯიკიძემ თავისი სიტყვები უარყო. საქართველოში პროსომხურად განწყობილმა წრეებმა ამისთვის მთელი კამპანია აწარმოეს. მეორე მაგალითი: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა შეიხ ულ ისლამ ფაშაზადესთან შეხვედრისას აღნიშნა, ყარაბაღი აზერბაიჯანის ისეთივე ნაწილია, როგორიც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთია საქართველოსი. მოგვიანებით კი, მისმა წარმომადგენელმა პატრიარქის სიტყვები უარყო. აღნიშნული ტენდენციები აჩვენებს, რომ ყარაბაღთან მიმართებაში საქართველოს პოლიტიკა პროსომხური გახდა. აზერბაიჯანმა საპასუხო ზომებს უნდა მიმართოს“.

„მედიანიუსი“

„რომპეტროლ საქართველო“ დინამიური განვითარების კურსს 2013 წელსაც შეინარჩუნებს

ანი დადიანი

„რომპეტროლ საქართველოს“ გენერალური დირექტორი ნურკენ მურზაგალიევი განვლილ 2012 წელს კომპანიისთვის განვითერებისა და ნაყოფიერი მუშაობის პერიოდად აფასებს. იგი „რომპეტროლ საქართველოს“ სწორედ 2012 წლის დასაწყისში, როტაციის შედეგად მენეჯმენტში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ ჩაუდგა სათავეში. ერთი წლის გადმოსახედიდან, ნურკენ მურზაგალიევი გასულ წელს აფასებს და 2013 წლის გეგმებზე საუბრობს.

— ბატონო ნურკენ, თქვენ კომპანია 2012 წლის დასაწყისში გადაიბარეთ. რა შედეგები აქვს კომპანიას ერთი წლის შემდეგ?

— გასული წელი კომპანიისთვის უთუოდ პოზიტიური და ნაყოფიერი იყო. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის ფაქტია, რომ გასული წლის განმავლობაში, კომპანია კვლავ სტაბილურად და დინამიურად ვითარდებოდა, რასაც ჩვენი ქსელის კორპორატიული მომხმარებლების 21-პროცენტიანი ზრდაც მოწმობს. გვახარებს ის ფაქტი, რომ გასული წლის განმავლობაში, კომპანიას მომხმარებლის მხრიდან არ მიუღია არც ერთი შენიშვნა საწვავის ხარისხის გამო.

ჩვენი საწვავის ხარისხი მიმდინარე წელს კიდევ უფრო ამაღლდა, რაც ჩვენი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის „პეტრომიდიას“ სრულ მოდერნიზაციას უკავშირდება. ამის შედეგად, „პეტრომიდიას“ წარმოება ერთმნიშვნელოვნად, ევრო 5 სტანდარტზე გადავიდა და არსებული წარმადობა 3,8 მილიონი ტონიდან 5 მილიონ ტონამდე გაზარდა. პროექტის ინვესტიციის მოცულობამ, საბოლოო ჯამში, 380 მილიონი დოლარი შეადგინა. სახსრებიდან 170 მილიონი დოლარი სისტემების ინტეგრირებისთვის დაიხარჯა, რამაც ქარხნის წლიური წარმადობა 1,5 მილიონი ტონა დიზელის წარმოება 2.5 მილიონ ტონამდე აიყვანა. ამასთან, კომპანიამ დანერგა ახალი პროექტები ნავთობპროდუქტების სატრანსპორტო ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურების სფეროში, კერძოდ, შავ ზღვაში ახალი ტერმინალის მშენებლობის სახით, რომელსაც სამჯერ მეტი გამტარობა ექნება. რაც შეეხება ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის საკითხებს, ამისთვის კომპანიამ უკვე გამოყო 50 მილიონ დოლარზე მეტი. ეს თანხა მთლიანად ეკოლოგიური პროგრამების დანერგვას, ასევე ბუნებრივი რესურსების დაცვის მიმართულებით, ევროპაში არსებულ მოთხოვნებსა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ყოფნას მოხმარდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლა ჩვენი საწვავი მთლიანად აკმაყოფილებს კიდევ უფრო მაღალ ევროპულ სტანდარტებს.

— გასული წლის განმავლობაში აქტიური განახლება მიმდინარეობდა ავტოგასამართ სადგურებზეც. დასრულდა თუ არა პროცესი და რა სახის რეკონსტრუქცია განხორცილდა?

— აგს-ების განახლება-ოპტიმიზაცია პრაქტიკულად დასრულებულია. განახლებულ სადგურებზე დამონტაჟდა ახალი გამშვები სვეტები და დაიწყო სადგურების სრული ავტომატიზაციის პროცესი, რომელიც მიმდინარე წელსაც გაგრძელდება მანამ, სანამ მთელ ქსელს არ მოიცავს. „რომპეტროლ საქართველოს“ მიზანია, მომხმარებელს ერთნაირი სერვისი შესთავაზოს საქართველოს ნებისმიერ წერტილში მდებარე ავტოგასამართ სადგურზე. ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ჩვენი ყველა სადგური ვიდეოკამერებით აღჭურვილი, თუმცა საბედნიეროდ, უნდა ითქვას, რომ მათ არავითარი ინცინდენტი არ დაუფიქსირებიათ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენი მოძრავი მობილური ლაბორატორია განაგრძობს საწვავის ხარისხის მუდმივ მონიტორინგს, ამიტომ ჩვენი საწვავის ხარისხი ყოველთვის შეესაბამება სტანდარტებს. ასე რომ, „რომპეტროლში“ ზუსტი ჩასხმა და მაღალხარისხიანი საწვავი გარანტირებულია.

— ფინანსური თვალსაზრისით, რამდენად მომგებიანი იყო 2012 „რომპეტროლისთვის“, რა მაჩვენებლებით დაასრულა წელი კომპანიამ?

— გაყიდვების მიმართულებით, „რომპეტროლი“ საქართველოს ბაზარზე, გასული წლების მსგავსად, კვლავ მოწინავე პოზიციებზე იყო. ჩვენი კომპანიის მიერ 2012 წელს ბიუჯეტში შეტანილმა თანხამ 90,033.360 ლარი შეადგინა, ხოლო შემოტანილი საწვავის ოდენობამ — 147 825 ტონა.

წელს ჩვენი ქსელის მომხმარებლებს სიურპრიზები ელით. ვგეგმავთ, გაყიდვაში სრულიად ახალი პროდუქტი დავნერგოთ, თუმცა ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით, უმჯობესია, მოგვიანებით ვისაუბროთ. ამასთანავე, კვლავ მაღალი მოთხოვნა რჩება „ეფიქსზე“, რომელიც შარშან მთელ მსოფლიოში განახლებული სარეკლამო იმიჯით წარდგა მომხმარებლის წინაშე. სარეკლამო კლიპში მომხიბლავი დიასახლისები ძრავას სარქველებს საგულდაგულოდ წმენდენ. კონცეფცია შემთხვევით არაა შერჩეული, ვინაიდან „ეფიქსი“ ძრავასთვის სწორედ იმასვე აკეთებს. ჩვენი მომხმარებლები 4 წელიწადში დარწმუნდნენ იმაში, რომ ზოგავენ ფულს და იცავენ ძრავას კოროზიისგან, როცა ასხამენ EFIX-ს, რადგანაც ეს საწვავი აუმჯობესებს ძრავას ფუნქციონირებას 13%-ით, ამცირებს საწვავის მოხმარებას, ამცირებს სარქველებისა და ცილინდრების დაბინძურებას.

— გასული წლის ბოლოსთვის საწვავი თქვენს ქსელში საუკეთესო ფასად იყო წარმოდგენული, არის თუ არა მოსალოდნელი საწვავის უფრო გაიაფება?

— პრემიუმ კლასის საწვავზე, ამჟამად, „რომპეტროლი“ მომხმარებელს ბაზარზე ყველაზე დაბალ ფასებს სთავაზობს, ვინაიდან ჩვენ ვინარჩუნებთ მომხმარებლისთვის მაქსიმალური კომფორტისა და საუკეთესო პირობების შექმნის კურსს. ჩვენთან EURO SUPER 8 თეთრით გაიაფდა და, ამჟამად, 2,25 ლარი ღირს, EFIX EURO PREMIUM-ს 6 თეთრი დააკლდა და მისი ფასი 2,16 ლარი გახდა, EURO REGULAR-ის ფასი 4 თეთრით შემცირდა და 2,05 ლარი შეადგინა, EFIX EURO DIESEL კი 7 თეთრით გაიაფდა და მისი შეძენა 2,22 ლარადაა შესაძლებელი. გაიაფდა EURO DIESEL-იც და მისი ფასი, ამჟამად, 5 თეთრით ნაკლებს, 2,08 ლარს შეადგენს. ვიმედოვნებთ, არაერთხელ მოგვეცემა საშუალება, მომხმარებელს ჩვენი პროდუქცია კიდევ უფრო მოსახერხებელი პირობებით შევთავაზოთ.

— რა გეგმები აქვს „რომპეტროლ საქართველოს“ 2013 წლისთვის?

— 2013 წელს ჩვენ კვლავ განვაგრძობთ ქსელის გაფართოებას და ვიმედოვნებთ, ავტოგასამართი სადგურების რაოდენობას სოლიდურად გავზრდით. ამასთან, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, განახლდება პერსონალისა და მენეჯერების ტრენინგების ციკლი. ჩვენს უმთავრეს საზრუნავს მუდმივად მომხმარებლების კმაყოფილება და მათთვის შესაფერისი კომფორტის შექმნა წარმოადგენს, შესაბამისად, ვეცდებით, ისინი სხვადასხვა სახალისო გათამაშებებითა და აქციებით გავანებივროთ.

კომპანია „რომპეტროლ საქართველო“ გილოცავთ ახალ წელს და ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ, რათა ყველას გქონდეთ საშუალება, იყიდოთ ახალი მანქანა და იაროთ ჩვენი საწვავით სავსე ავზით.

ექსპერტი

„სამხრეთის დერეფანში“ ალტერნატიული ნაბიჯების ხმა ისმის

თურქეთში ახლაც არ არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ საბადოს ათვისების გაცხადებული ვადები დაცული იქნება. თურქეთს, სავარაუდოდ, არ სჯერა აზერბაიჯანული მხარის მტკიცება მასზედ, რომ ახლანდელი 17 მლრდ კუბმეტრი გაზის (აქედან 10 მლრდ კუბმეტრი ექსპორტზე იგზავნება) ნაცვლად, 2025 წლისთვის იგეგმება მოპოვების, მინიმუმ, 40 მლრდ კუბმეტრამდე, ხოლო ექსპორტის – 30 მლრდ კუბმეტრამდე გაზრდა. გეოპოლიტიკურად, თურქეთისთვის ძირითად მომწოდებლად აზერბაიჯანის არსებობა ყველაზე მომგებიანია, ამიტომ თურქეთის სიფრთხილე და თხევადი გაზისა და რუსული იმპორტის საშუალებით, ზედმეტად „თავის დაზღვევა“ ცოტა უცნაურია.

ამჟამად, აზერბაიჯანულ გაზს თურქეთი ყიდულობს 350 დოლარად ათას კუბმეტრზე. ამავე დროს, ანკარას რუსული გაზი ათას კუბმეტრზე 400 დოლარი უჯდება, ირანული კიდევ უფრო ძვირი – 500 დოლარი. თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა, ტანერ ილდიზმა ამას წინათ განაცხადა, რომ გააუქმებს გაზმომარაგების კონტრაქტების — „აიღე ან გადაიხადეს“ პრინციპს აზერბაიჯანსა და ირანთან. მისი ინფორმაციით, თურქეთი იანვრის ბოლოდან, რუსეთთანაც ამ პრინციპის გარეშე გააგრძელებს ურთიერთობას.

რა დაუჯდება ევროკავშირს აზერბაიჯანული გაზი, ჯერ გაურკვეველია. თუ ის ევროპაში თურქეთის ფასს (350 დოლარი) პლუს სატრანსპორტო ხარჯი გაიყიდება, მაშინ ევროკავშირში ის 400 დოლარზე მეტი ეღირება. ეს საკმაოდ ძვირია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ TANAP-ის მშენებლობის ღირებულება, ბოლო შეფასებით, 7-დან 10 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. მით უმეტეს, რომ პროექტის სერიოზული განხილვა ახლახან დაიწყო (მას შემდეგ, რაც მის სასარგებლოდ უარი ითქვა ჩვეულებრივ და სუპერ დიდ „ნაბუქოზე“, და „ნაბუქო-უესტი“ შეიქმნა). სავარაუდოდ, აზერბაიჯანული გაზი ევროპაში, ადრე თუ გვიან, მაინც წავა, თუმცა ეს არ მოხდება მალე და იაფად. ხოლო ევროკავშირის „კასპიური კოზირი“ რუსეთთან ალბათ, დიდხანს დარჩება გამოუყენებელი...

აშშ „უპრეცედენტო შანსზე“ მიუთითებს

ამ „კოზირის“ გამოყენების დაჩქარების აუცილებლობაზე მითითებულია აშშ-ს სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მოხსენებაში. მასში ხაზგასმულია, რომ ახლანდელი კრიზისის პირობებში, რუსული „გაზპრომი“ იძულებულია, შეცვალოს შიდა ბაზრის პრიორიტეტები. მათ შორის, „გაზპრომმა“ შეაჩერა არქტიკაში შტოკმანის ფლაგმანი პროექტი. ის, ცვალებადი საბაზრო კონიუნქტურის გამო, იძულებულია, შეეგუოს ფასების რყევებსა და ევროპაში მიმდინარე ანტიმონოპოლიურ გამოძიებას. მოხსენების ავტორთა აზრით, ყველაფერი ეს აშშ-ს აძლევს „უპრეცედენტო შანსს“, ხელი შეუწყოს გაზმომარაგების დივერსიფიკაციას და შეასუსტოს რუსეთის დიქტატი ევროპის გაზის ბაზრებზე.

ამ მოხსენების გამოქვეყნებიდან ექვს დღეში, 2012 წლის 18 დეკემბერს, „ატლანტიკურმა საბჭომ“ ვაშინგტონში მოაწყო შეხვედრა მის ავტორებთან. შეხვედრაზე ხაზი გაესვა მოხსენების მნიშვნელობას „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტების განხორციელების დაჩქარებაში. აღინიშნა, რომ ამ დერეფნის არარსებობა ნატო-ს ქვეყნებს პოლიტიკურად და ეკონომიკურად, რუსეთსა და ირანზე დამოკიდებულს ხდის. ეს ფაქტორი ძირს უთხრის აშშ-ს ორმხრივ ურთიერთობებს და ასუსტებს მის მრავალმხრივ დიპლომატიურ და სამხედრო ძალისხმევას. ამავე დროს, ზოგიერთმა ამერიკელმა ექსპერტმა გამოყო „ნაბუქო-უესტის“ უპირატესობა „ტრანსადრიატიკულ გაზსადენთან“ შედარებით, რაც ახსნეს „ნაბუქო-უესტის“ მეტი თანხვედრით აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ინტერესებისადმი. ამერიკელთა აზრით, ამ პროექტს რეგიონში შემოაქვს საერთაშორისო კონკურენცია. ეს განსაკუთრებით, უნდა წაადგეს ბალკანურ ქვეყნებს – ბულგარეთსა და რუმინეთს, რაც აძლიერებს მათ პოზიციებს რუსეთთან გაზის საკითხებზე მოლაპარაკებებში. ამის ნაცვლად, „ტრანსადრიატიკული გაზსადენის“ პროექტს ნაკლები გავლენა ექნება, — მიიჩნევენ ამერიკელი ექსპერტები – მისი მოქმედების არეალი შემოსაზღვრულია მხოლოდ სამხრეთ ევროპით, რომელიც ისედაც საკმარისად მარაგდება ჩრდილოეთ აფრიკული წყაროებით.

დასკვნის მაგიერ...

ამრიგად, სამხრეთკავკასიური მარშრუტით კასპიისპირეთის ენერგორესურსების ტრანსპორტირების ხელშეწყობა საქართველოსთვის მნიშვნელოვანია როგორც გეოპოლიტიკური, ისე გეოეკონომიკური თვალსაზრისით. კერძოდ, ამ მარშრუტის ხელშეწყობა ემთხვევა ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროგრამას. ეს ჯერ ერთი, რუსული სახელმწიფო მონოპოლისტის – „გაზპრომისგან“ ევროკავშირის ენერგომომარაგების დივერსიფიცირებას ისახავს მიზნად. ამით საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა იზრდება. მეორეც, საქართველოზე გადის „დერეფნის“ ძირითადი შემავსებელი – „სამხრეთკავკასიური გაზსადენი“, რაც ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გარანტიც არის და მისი ბიუჯეტის შემოსავლის წყაროც, დატოვებული აირის ე.წ. მონეტიზაციის შედეგად. იმის გამო, რომ ტრანზიტის საფასურად ქვეყანა ბუნებრივ აირს იღებს უფასოდ და შეღავათიანად (გატარებული გაზის 5-5%-ის ოდენობით), რაც მეტი აირი იქნება გატარებული ამ გაზსადენით, მით მეტად გაიზრდება ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ხარისხი.

საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაზე სარჩელის განხილვა იწყება

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადვოკატმა ირმა ჭკადუამ განუცხადა, მოპასუხე მხარედ პროცესზე პარლამენტი იქნება:

„როგორც ცნობილია, ირმა ინაშვილის, სოსო მანჯავიძისა და დავით თარხან-მოურავის სახელით, 4 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მივმართეთ. მასში ანტიკონსტიტუციური მუხლის გაუქმებას მოვითხოვთ, რომლითაც პრეზიდენტს უფლებამოსილების ვადა გაუხანგრძლივდა. მოპასუხე მხარედ წარმოდგენილი იქნება პარლამენტი – თუ საკანონმდებლო ორგანო იტყვის, რომ სარჩელს არ ცნობს, ეს იქნება კატასტროფა, რითაც ის თავის სახეს გამოაჩენს“.

ჭკადუას განმარტებით, 2006 წელს კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილება უკანონოდ შევიდა, რადგან პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების გაგრძელების მანდატი ხალხს საკანონმდებლო ორგანოსთვის არ მიუცია.

უფრო კონკრეტულად, ინაშვილი, თარხან-მოურავი და მანჯავიძე სარჩელით კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-9 ნაწილის გაუქმებას ითხოვენ, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა მხოლოდ 5 წლის ვადით.

„ინტერპრესნიუსი“

ირაკლი ალასანიას ვიცე-პრემიერობიდან გადაყენებაზე BBC სტატიას აქვეყნებს

ირაკლი ალასანიას ვიცე-პრემიერობიდან გადაყენებასთან დაკავშირებით, BBC-ის რუსული სამსახური ვრცელ სტატიას აქვეყნებს. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ძველი ხელისუფლების დროს, მთავრობაში როტაციას თითქოსდა შეჩვეულ საქართველოს, ახალ მთავრობაში მომხდარ პირველსავე გადაყენებაზე მწვავე რეაქცია ჰქონდა.

„ხელისუფლების წარმომადგენლები ერთიმეორის მიყოლებით ირწმუნებიან, რომ პრემიერის გადაწყვეტილება ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებული ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გარკვეულ განხეთქილებად არ შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა თავდაცვის მინისტრისა და გაერო-ში საქართველოს ყოფილი მუდმივი წარმომადგენლისთვის ვიცე-პრემიერის უფლებამოსილების ჩამოშორება უკვე გახდა სპეკულაციებისა და კამათის საგანი, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე, კოალიციაში შესაძლო კრიზისთან დაკავშირებით. სპეკულაციებმა ახალი ძალით იფეთქა მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა განაცხადა, რომ ალასანიამ დაუშვა „პატარა შეცდომა“, როდესაც კოალიციის ინფორმირების გარეშე, რომლის შემადგენლობაშიც ალასანიას პარტია „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატებიც“ შედის, ვიწრო წრეში პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი კანდიდატურის შესაძლო წამოყენების განხილვა დაიწყო. ივანიშვილის განმარტებით, ალასანიას ასეთმა ქმედებამ რეგიონებში არასასურველი ჭორების გავრცელება გამოიწვია, რომლის თანახმადაც, უკვე გადაწყვეტილია, ვინ გახდება საქართველოს მომავალი პრეზიდენტი“, — წერს სტატიის ავტორი.

როგორც ჟურნალისტი აღნიშნავს, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის ოქტომბერში უნდა გაიმართოს, თუმცა ვინ იქნება „ქართული ოცნების“ კანდიდატი, უცნობია. ამავდროულად, ნინა ახმეტელი ბიძინა ივანიშვილის ნათქვამს იშველიებს, რომელმაც აღნიშნა, რომ უთანხმოების მიუხედავად, ალასანიასთან უწინდელ ურთიერთობას ინარჩუნებს და ვიცე-პრემიერის პოსტიდან გათავისუფლება მას საშუალებას მისცემს, თავდაცვის სამინისტროს მეტი ყურადღება დაუთმოს.

როგორც სტატიაშია ნათქვამი, ივანიშვილის განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე, შეიარაღებულ ძალებსა და თავდაცვის რეფორმაზე მეტი კონცენტრირების მიზეზი დაასახელა ირაკლი ალასანიამ.

„კოალიციის წარმომადგენლები არ მალავენ უთანხმოებას ქვეყნის მმართველობის მოდელებთან დაკავშირებით. პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, კოალიცია ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიისას, მკაფიო მხარდაჭერას უცხადებდა საპარლამენტო რესპუბლიკას, თუმცა ალასანიას პარტიას ამ საკითხზე განსხვავებული პოზიცია აქვს. ამის მიუხედავად, იგი აცხადებს, რომ პოზიციები შეჯერდება და კოალიცია ამ საკითხში ერთიან მიდგომას შეიმუშავებს“, — ნათქვამია სტატიაში.

პუბლიკაციაში ქვესათაურით – „ალასანიას დასჯა“, ავტორი ოპოზიციის მოსაზრებებზე წერს. მისი თქმით, ოპონენტები პრემიერის გადაწყვეტილებას ალასანიას დასჯად და ივანიშვილის მმართველობის ავტორიტარული სტილის დემონსტრირებად მიიჩნევენ. ამ საკითხზე სტატიაში მოყვანილია ნაციონალური მოძრაობის წევრის, გიორგი გაბაშვილის კომენტარი.

როგორც სტატიის ავტორი წერს, პრემიერის გადაწყვეტილებაზე ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებები აქვთ ექსპერტთა წრეებშიც. ჟურნალისტის თქმით, მაშინ, როდესაც ექსპერტთა ერთი ნაწილი ალასანიას „შეცდომაზე“ საუბრობს, გია ნოდია მიიჩნევს, რომ ალასანიასთვის უფლებამოსილების შემცირებით პრემიერ-მინისტრმა საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოახდინა. ამავდროულად, როგორც ჟურნალისტი აღნიშნავს, ივანიშვილი აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილის კურსს, ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების შესახებ, ეჭვქვეშ არ აყენებს.

„თუმცა, ივანიშვილის ღია განმარტებებმა ალასანიას გათავისუფლებაზე, ექსპერტების ნაწილს გაუჩინა ეჭვი, რომ „პროდასავლელი“ ალასანია წყრომის ობიექტი საქართველოს საგარეო კურსზე საკუთარი შეხედულებების გამო გახდა. ამგვარი მოსაზრებები კი თითიდან გამოწოვილად ეჩვენება პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს“, — ნათქვამია სტატიაში.

ავტორი ასევე წერს, რომ ივანიშვილი კრიტიკის ობიექტი რადიო „თავისუფლების“ სომხურ ბიუროსთან გაკეთებული განცხადების გამოც გახდა, რომელშიც აღნიშნა, რომ სომხეთი, რომელსაც როგორც რუსეთთან, ისე ნატო-ს წევრ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობა აქვს, საქართველოსთვის კარგი მაგალითია.

„ასეთმა „თეთრმა შურმა“ მეზობელი სახელმწიფოს მიმართ პოლიტოლოგებს გაუჩინა მოსაზრება საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შესაძლო ცვლილებასთან დაკავშირებით, თუმცა საქართველოს ხელისუფლებაში ირწმუნებიან, რომ ქვეყნის მისწრაფება ევროატლანტიკური სტრუქტურებისადმი უცვლელია“, — აღნიშნულია ნინა ახმეტელის სტატიაში.

„ინტერპრესნიუსი“

შრომითი კოდექსის ახალი პროექტი სამსახურიდან დათხოვნის წესს განსაზღვრავს

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, მხარე ვალდებულია, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს მეორე მხარე წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის წესით, — ამ ცვლილებას შრომის კოდექსის ახალი პროექტის 38-ე მუხლი ითვალისწინებს, რომელიც „საკანონმდებლო მაცნეში“ უკვე გამოქვეყნდა. ამავე მუხლით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელს უფლება აქვს, წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის ნაცვლად, დასაქმებულს გადაუხადოს არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება/კომპენსაცია 30 დღის ვადაში.

ასევე, ამავე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაასაბუთოს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

38-ე მუხლში, ასევე ვკითხულობთ: დასაქმებულს უფლება აქვს, 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის დასაბუთებული გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. გასაჩივრების ვადა აითვლება დასაქმებულისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცნობის მომენტიდან. თუ დამსაქმებელი ამ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, წერილობით არ დაასაბუთებს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, დასაქმებულს უფლება აქვს, 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. გასაჩივრების ვადა აითვლება ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის მომენტიდან. ამ შემთხვევაში, დავის ფაქტობრივ გარემოებებზე მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს. სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ურთიერთობა ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი.

ამასთან, დამსაქმებელს წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნისა და კომპენსაციის გადახდის ვალდებულება არ წარმოიშობა ამ კოდექსის 37-ე მუხლის, რომელიც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს შეეხება, პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ზ“, „თ“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას.

ახალ პროექტში, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები 37-ე მუხლის პირველი პუნქტით შემდეგნაირადაა განსაზღვრული: ა) ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რაც განაპირობებს წარმოებისთვის აუცილებელი სამუშაო ძალის შემცირებას; ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა; გ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება; დ) დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს დატოვება საკუთარი ინიციატივით; ე) მხარეთა შეთანხმება; ვ) დასაქმებულის კვალიფიკაციის ანდა პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა დაკავებულ თანამდებობასთან; ზ) დასაქმებულის მიერ მასზე შრომითი ხელშეკრულებით ან შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა, რაც შეუძლებელს ხდის შრომითი ურთიერთობის გაგრძელებას; თ) დასაქმებულის მიერ მასზე ინდივიდუალური ან კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ანდა შინაგანანესით გათვალისწინებული ვალდებულების სისტემატური დარღვევა, თუ დასაქმებულის მიმართ უკვე გამოყენებულია ინდივიდუალური ან კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ანდა შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა; ი) თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა — თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 60 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში, აჭარბებს 90 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს ამ კოდექსის 21-ე მუხლით განსაზღვრული შვებულება; კ) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს; ლ) დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის გარდაცვალება; მ) დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება.

მეორე პუნქტით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დაუშვებელია სხვა საფუძვლით, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებისა; ამ კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის შემთხვევაში; დასაქმებულის სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევის გამო ანდა დასაქმებულის მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდში; სასამართლოში ნაფიც მსაჯულად ყოფნის პერიოდში“.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

პაატა დავითაია: „ხელისუფლების ზოგი წარმომადგენელი ცდილობს, შეაგუოს საზოგადოება იმას, რომ აფხაზეთი და ოსეთი „მხარეა“

პარტია „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია, სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში აცხადებს, რომ დღეს საქართველოში რუსეთისადმი კეთილგანწყობილი პირები არიან დაკავებულნი აფხაზეთის თემატიკით და სწორედ ისინი ცდილობენ, საზოგადოება შეაგუონ იმას, რომ აფხაზეთი „მხარეა“ და მათ როგორც თანასწორს, ისე უნდა ვესაუბროთ. დავითაია ასევე აცხადებს, რომ ეს რუსული გეგმაა, რომელიც ამჟამად, საქართველოში ხორციელდება.

„ჟენევის მოლაპარაკების ფორმატის ცვლილებაზე უკვე დიდი ხანია მიდის საუბარი და ამას აფხაზური და ოსური დელეგაციების წევრები ყოველთვის ცდილობდნენ. ჟენევის მოლაპარაკებებს არასოდეს ვუყურებდი სერიოზულად, ვინაიდან არანაირი შედეგის მომტანი ეს მოლაპარაკებები არ არის. ერთადერთი მთავარი მიზანი რაც აქვთ სეპარატისტებს, ესაა დამოუკიდებლობის აღიარება საქართველოს მხრიდან და ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსი ამაღლდეს“, — აცხადებს დავითაია და დასძენს, რომ აფხაზი და ოსი სეპარატისტები „მხარედ“ არც დსთ-ს და არც გაერო-ს რეზოლუციებში დაფიქსირებულნი არ ყოფილან:

„დღეს საუბარი იმაზე, რომ ისინი „მხარედ“ ვაღიაროთ, კატეგორიულად მიუღებელია იმიტომ, რომ დსთ-ს ფორმატშიც კი, მოლაპარაკებების დროს ისინი არ იყვნენ აღიარებულნი მხარედ. ვსაუბრობ ოკუპაციამდე. გაერო-ს ფორმატშიც კი არ იყვნენ აღიარებულნი „მხარედ“ — იქ ეწერა მხარე — აფხაზეთი (საქართველო)“.

დავითაიას თქმით, სეპარატისტების „მხარედ“ აღიარება კატეგორიულად მიუღებელია: „მინდა განვაცხადო, რომ დღეს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ცდილობს, ამას შეაგუოს საზოგადოება. ჯერ ამბობს — მერე, რა, დავარქვათ მხარე საუბარში, თუ ეს არ იქნება სტატუსი!

მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ეს რუსული გეგმაა, შეაგუოს საზოგადოება და ამ გეგმის პირველი ეტაპი — შეაგუოს ყური: მოდი, ახლა იყოს „მხარე“, მერე იტყვიან, თუ ეს არის „მხარე“, მოდი, ახლა დოკუმენტში დავაფიქსიროთ, რომ ეს „მხარეა“. რა მნიშვნელობა აქვს, რა შეიცვლება?! — იქნება მეორე ნაბიჯი გადადგმული იმისკენ, რომ მომავალში, მოხდეს მათი, როგორც სუბიექტის აღიარება“. დღეისთვის ის ადამიანები, ვინც ამას აკეთებს და ამაზე საუბრობს, დავითაიას აზრით, ღიად ლობირებენ რუსულ პოზიციას საქართველოს ტერიტორიაზე.

„ასეთი ხალხის მიდგომებითა და მაიმუნობებით მოხდა, რომ საქართველომ ერთი მილიმეტრითაც ვერ წაიწია წინ ამ მიმართულებით და აფხაზებმა, ლამის, დამოუკიდებლობას მიაღწიეს. ომის პირველი დღიდან მიდის ტერმინების ომი.

სეპარატისტები, რა თქმა უნდა, შეეცდებიან, ჟენევის ფორმატი მიიყვანონ ისეთ სიტუაციამდე, რომ თავისთვის გამოიყენონ „მხარეებამდე“ ფორმატის აწევა, დელეგაციებად დაფიქსირება და ისე წარმოჩინება, თითქოს, რაღაც ხდება — სინამდვილეში, არაფერი ხდება! საქართველო ერთი ნაბიჯითაც არ წაიწევს წინ, დევნილები არ დაბრუნდებიან! და იქნება აქ ლაზღანდარობა ზოგიერთებისა, პირდაპირ ვამბობ ლაზღანდარობა, „მხარეებად“ აღიარებასთან დაკავშირებით და ილუზიას შექმნის, თითქოს რაღაც ხდება. სინამდვილეში, არაფერი მოხდება — გაძლიერდება სეპარატისტული მხარე, როგორც ყოველთვის ხდებოდა. მათ უკან დგას რუსეთი და დღეს, სამწუხაროდ, რუსეთისადმი კეთილგანწყობილი პირები არიან დაკავებულნი აფხაზეთის თემატიკით. აქედან გამომდინარე, იდეალური პირობებია შექმნილი ჟენევის ფორმატის შესაცვლელად“, — აცხადებს დავითაია და დასძენს, რომ სეპარატისტები საქართველოსგან მხოლოდ და მხოლოდ ერთს — მათი ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებას ელიან და ეს არავის უნდა დაავიწყდეს.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ამერიკული გამოცემა The Daily Beast აქვეყნებს ანა ნიმცოვას სტატიას სათაურით — „საქართველოს მამაცი პაციფისტი — პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი“. ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი, 2008 წლის საქართველოს ომის შემდეგ, პირველად ესაუბრა საკუთარ მტერს — რუსეთს, — ნათქვამია სტატიაში — საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევს დავოსში, მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის მისაღებში მიუახლოვდა. მათ რამდენიმე წუთი ისაუბრეს, თუმცა უცნობია, რაზე. ექსპერტებმა იმავე წუთს დაიწყეს სპეკულირება, რომ საქართველო რუსეთის ბანაკში გადაბარგების გზას ადგას. **„არავითარ შემთხვევაში,** — განაცხადა ივანიშვილმა მოგვიანებით ამის თაობაზე, — **მე ყოველთვის საქართველოს ბანაკში დავრჩები“.**

The Daily Beast — საქართველოს მამაცი პაციფისტი — პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი

საქართველოს ახალი ლიდერი განდეგილობით, მოულოდნელი განცხადებებითა და უცნაური გადაწყვეტილებებითაა ცნობილი: მან უფასოდ დაურიგა მანქანები საკუთარ თანასოფლელებს და 100 მილიონ დოლარზე მეტი გაიღო ყოველწლიური საქველმოქმედო საქმიანობისთვის, რომელიც 10 წლის განმავლობაში განხორციელდება. მთელი ცხოვრების განმავლობაში, ივანიშვილი აცხადებდა, რომ მას „ძალიან არ მოსწონდა პოლიტიკა“, თუმცა ერთი წლის წინ, მისმა მეუღლემ და უფროსმა შვილმა დაარწმუნეს, დარჩენილიყო საქართველოში, როცა საფრანგეთში უნდა გადაბარგებულიყო.

„საქართველო მხოლოდ იმიტომ არ დავტოვე, რომ არ შემეძლო, ქვეყნის მართვის უფლება მიმეცა ადამიანისთვის, რომელსაც ის არ უყვარს“, — ამბობს ივანიშვილი პრეზიდენტზე, რომელსაც საჯაროდ მოიხსენიებს როგორც „ნიჭიერ მატყუარას“, საქართველოს პროდუქტის ერთ დროს ყველაზე დიდ იმპორტიორთან – რუსეთთან ურთიერთობის არევისთვის. როგორც ივანიშვილი აცხადებს, სტრატეგიულ პრიორიტეტებად რჩება ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება ისევე, როგორც მშვიდობის დამყარება რუსეთთან.

„მიუხედავად იმისა, რომ ვხედავ, როგორ აღიზიანებს და აფრთხობს სააკაშვილსა და მის მეგობრებს, მაინც გავაგრძელებ რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებელი ნაბიჯების გადადგმას, — **დაპირებას იძლევა ივანიშვილი,** — **რუსეთთან, ჩვენს უდიდეს მეზობელთან, მეგობრული ურთიერთობა აუცილებელია ჩვენი ქვეყნის მშვიდობისა და ეკონომიკისთვის“,** — ამბობს ივანიშვილი.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, საქართველოს ორი მთავარი პოლიტიკური ფიგურა დღეისთვის ერთმანეთს უპირისპირდება. „ქართული ოცნების“ გამარჯვებულებმა დამარცხებული პრეზიდენტი (რომელიც პოსტზე შემოდგომამდე დარჩება) და მისი გარემოცვა მილიონობით სახელმწიფო დოლარის მოპარვასა და ასობით პოლიტიკური ოპონენტის დაპატიმრებაში დაადანაშაულა. ათასობით მომიტინგე ყოველდღე სააკაშვილის რეზიდენციასა და ქალაქის მოედანზე იკრიბება პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით. ამასობაში კი, სააკაშვილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას მიმართავს, დაადანაშაულოს ივანიშვილის მთავრობა „შერჩევითი სამართლისა“ და „პოლიტიკური ოპოზიციის გაჩუმების“ ძალისხმევისთვის.

ამერიკული გამოცემის სტატიის მიხედვით, ივანიშვილის მშობლიური სოფელი ჭორვილაც, სადაც მილიარდერმა გაარემონტა ყველა სახლი და წლების განმავლობაში, ეხმარება მრავალშვილიან ოჯახებსა და დაავადებულებს, დღეს დაღვრემილია. კვირის დასაწყისში, პატარა საცხობთან რამდენიმე მთვრალმა და უიმედო გლეხმა მოიყარა თავი. ბევრ მათგანს ჭუჭყიან ქუჩებში ძროხების გასეირნების მეტი, საქმე არ აქვს. **„ჩვენი სოფლელების მხოლოდ 5%-ს აქვს სამუშაო ივანიშვილის კერძო საკუთრებაში ან მშენებლობაზე“,** — განმარტავს სოფლის გამგებელი ვეფხია ივანიშვილი, პრემიერის შორეული ნათესავი. თუმცა ჭორვილას იღბლიანმა მკვიდრებმა ივანიშვილის მიერ აგებულ კლინიკაში სამედიცინო მომსახურებაზე შეღავათები მიიღეს. პრემიერ-მინისტრი 3 ათას დოლარს ჩუქნის სოფელში ყველა ახალდაქორწინებულს და 2 ათას დოლარს ყველა გარდაცვლილის ოჯახს. საქართველოს მასშტაბით გაღებული ქველმოქმედების დარად, ქველმოქმედებამ აქაც ერთგულება მოიტანა და არა — აყვავება. მისი ერთ-ერთი მეზობელი, 58 წლის ნიკო ამბობს, რომ უკანასკნელად 1990-იანი წლების ბოლოს, კოლექტივის ფერმაში მუშაობდა. ის დიდი იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთი და საქართველო მშვიდობას დაამყარებენ: **„თითოეულ ქართულ ოჯახს ენატრება რუსეთში მცხოვრები ნათესავები და თითოეული**

ქართველი იმედოვნებს, რომ ივანიშვილი გადაჭრის პრობლემებს სეპარატისტული ოსეთისა და აფხაზეთის რესპუბლიკებთან“.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ახალი პრემიერ-მინისტრი დიდ ინტერესს გამოხატავს სოფლის მეურნეობის ასაყვავებლად, ამ მიზნით მთავრობამ სამი საინვესტიციო ფონდი შექმნა. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ამბობენ, რომ თუ ივანიშვილმა 1990-იან წლებში რუსულ ბიზნესში მილიარდობით დოლარის შოვნა და ბიზნესის თითქმის 1 მილიარდად გაყიდვა მოახერხა, ის მოახერხებს ცხოვრების გაუმჯობესებასა და საქართველოს გამთლიანებას. გაღიზიანებული სკეპტიკოსები კი ამბობენ, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან ურთიერთობის დალაგების გარეშე, ივანიშვილი ამ საკითხში პროგრესს ვერ მიაღწევს და მისი ეკონომიკური გეგმის მთავარ ნაწილს – სოფლის მეურნეობის აყვავებას – მცირე ბაზარი ექნება.

„2008 წლის ომიდან ბოლო ოთხი წელიწადში, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების ძალებმა საქართველოს ყოფილ ტერიტორიებზე მასობრივი ბაზები ააგეს. აფხაზეთი, რომელიც რუსეთმა და რამდენიმე ქვეყანამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ სცნო, საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების არანაირ ნიშანს არ იძლევა, თუმცა ივანიშვილისთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს – გასულ კვირას მან პირობა დადო, აღადგინოს აფხაზეთის სარკინიგზო გზა, რომელიც ქართველებსა და მათ პროდუქტს მოსკოვში გადაიყვანს სეპარატისტული რეგიონის გავლით. ის აღიარებს, რომ ბევრი ეკითხება, როგორ წარმოუდგენია საქართველოს ნატო-ში გაერთიანება და კრემლთან მეგობრობა: „მე ვაანალიზებ და მესმის, რომ რუსეთში, სინამდვილეში, არ მოსწონთ ნატო და ცდილობენ, თავიანთი პოზიციების გამყარებას, მაგრამ ვიმედოვნებ, ჩვენ შევძლებთ, ავუხსნათ ჩვენი ინტერესები რუსეთს“, — განაცხადა ივანიშვილმა დავოსში, კრემლის ხელისუფლებასთან პირველი შეხვედრის წინ.

„ინტერპრესნიუსი“

ირაკლი ტრიპოლსკი საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას ღია წერილს უგზავნის

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ტრიპოლსკი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, ევროპის მაუწყებელთა ასოციაციასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს საკმაოდ კრიტიკული ღია წერილით მიმართავს, რომელსაც „ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ.

„მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო. პირველ რიგში მსურს, დაგიდასტუროთ დიდი პატივისცემა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, მისი პრინციპებისა და მუშაობის მიმართ. მოგმართავთ ერთი კონკრეტული რეზოლუციის გამო, რომელიც 24 იანვარს მიიღო საპარლამენტო ასამბლეამ და, რომელიც ჩვენს სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. კერძოდ, რეზოლუციის ტექსტში ნათქვამია, თითქოს ახალმა ხელისუფლებამ აიძულა საზოგადოებრივი არხის ხელმძღვანელობა, დაეტოვებინა თანამდებობა, რათა ჩვენ გავატაროთ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მიზნები. სინამდვილეში, საქმე ის გახლავთ, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არჩევნებიდან რამდენიმე დღეში დაფინანსება შეუწყვიტა ტელეკომპანია „პიკს“, რომლისგანაც ყიდულობდა რუსულენოვან გადაცემებს. შედეგად, ტელევიზიის თანამშრომლები უმუშევრები დარჩნენ და მათ მიმართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს გამოძიების დაწყების მოთხოვნით. თავად გენერალურმა დირექტორმა გია ჭანტურიამ კი, ფინანსთა სამინისტროს მიმართა ვალების რესტრუქტურიზაციის მოთხოვნით. აღმოჩნდა, რომ ტელევიზიამ, რომელმაც გასულ წელს 31.8 მილიონი ლარი მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მოახერხა 11 მილიონი ლარის დავალიანების დაგროვება. ეს მაშინ, როდესაც სულ რამდენიმე წლის წინათ მიხეილ სააკაშვილმა, აწარმოებდა რა მის მიმართ ლოიალურად განწყობილი და ამავე დროს, მისი უახლოესი გარემოცვის პირდაპირ მფლობელობაში არსებული ტელევიზიების მიმართ პროტექციონისტულ პოლიტიკას, 36 მილიონი ლარის საბიუჯეტო დავალიანება ჩამოაწერა კერძო ტელეკომპანიებსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს. აქედან 9 მილიონი ლარი საზოგადოებრივ მაუწყებელს, 25 მილიონი ლარი კი კერძო ტელეკომპანიებს „რუსთავი 2“ და „იმედი“. ამავე ხელისუფლებამ გაფრთხილების გარეშე და ვადების დარღვევით 2.15 ლარის დავალიანების გამო, ინკასო დაადო კერძო ტელეკომპანია „კავკასიის“ საბანკო ანგარიშებს.

მაქვს შეკითხვა, შეგიძლიათ თუ არა, დაგვისახელოთ ევროპის უახლესი ისტორიიდან სახელმწიფო სახსრების ხარჯვის მიმართ ასეთი დამოკიდებულება, რომელიმე სახელმწიფო მოხელის მხრიდან, რომელიც არ გახდებოდა ძიებისა და პასუხისმგებლობის საფუძველი? იცნობთ თუ არა, ისეთ ფაქტებს, როცა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები არ ინტერესდებიან არც ტელევიზიის თანამშრომლებისა და არც ბიუჯეტიდან გადარიცხული სახსრების ბედით იმის გამო, რომ მათ პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებში არ დასდონ ბრალი.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საქართველო ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანაა და იზიარებს იმ ნორმატიულ აქტებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც გამოხატვის თავისუფლების სფეროში შეიქმნა ბოლო წლების განმავლობაში. 2000 წლის რვა მარტის რეკომენდაციაში, რომელიც ჟურნალისტის მიერ ინფორმაციის წყაროების დაცვას ეხება, წევრი სახელმწიფოების მიმართ მკაფიოდაა ნათქვამი, რომ ინფორმაციის გადამოწმება რამდენიმე წყაროსთან სანდოობის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია. ამ რეკომენდაციის ფონზე გაუგებარია, როგორ ვერ მოხერხდა იმის გადამოწმება ამ უდიდესი ავტორიტეტის მქონე ორგანიზაციის მიერ, რომ არავითარი საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტს არ მიუღია მაუწყებლის შესახებ კანონში. სინამდვილეში, საქმე ეხება ჟურნალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების მიერ პარლამენტში 28 დეკემბერს შემოტანილ საკანონმდებლო წინადადებას. ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ თემაზე საჯარო დებატების გამართვის იდეას. დებატები კი ევროპული დემოკრატიისა და საჯაროობის ერთ-ერთი ფუნდამენტია და შეუძლებელია, იმ ორგანიზაციამ, რომელიც სწორედ ამ პრინციპზე დგას, ქართულ საზოგადოებას მისივე გადასახადებიდან დაფინანსებული საზოგადოებრივი მაუწყებლის მოწყობის შესახებ საჯარო განხილვების მოწყობა აუკრძალოს. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავად საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს დაინტერესებული, პირდაპირ ეთერში გააშუქოს ეს დებატები.

ისეთ დემოკრატიულ ინსტიტუტში, როგორიც ევროპის საბჭოა, ნორმალურად შეიძლება მიიჩნეოდეს თუ არა ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს დღემდე არჩევდა პრეზიდენტი სააკაშვილი და შემდეგ ფორმალური განხილვის შემდეგ ამტკიცებდა მისივე საპარლამენტო უმრავლესობა? ჰქონდა თუ არა შანსი განსხვავებული აზრის მქონე ადამიანს, მონაწილეობა მიეღო ამ პროცესში? სწორედ ამის გამო, ქართული საზოგადოება სრულიად საფუძვლიანად აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით, რაც იმ დროისთვის საზოგადოების უდიდეს ინტერესს იწვევდა და დღესაც იწვევს, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მთავარი საინფორმაციო გამოშვების დაწყებიდან 20 წუთის შემდეგ გააშუქა და სიუჟეტში აშკარად იყო დარღვეული ბალანსი, თუნდაც სინქრონების დროის თვალსაზრისით, ხელისუფლების წარმომადგენელთა სასარგებლოდ. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, რომ მას სურდა, საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაქცევა რეალურად ხალხისთვის საინტერესო და საზოგადოებრივ მაუწყებლად, და ამ მიზნით, ის აპირებდა მისი მეუღლის საკუთრებაში არსებული მე-9 არხის ძვირადღირებული ტექნიკური საშუალებების გადაცემას საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის, როდესაც მსგავსი პრეცედენტი უკვე არსებობს და მან ერთხელ უკვე უსასყიდლოდ გადასცა მის მფლობელობაში არსებული ტელეკომპანია „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლებაში მოსულ მთავრობას, ვფიქრობ, მისი განცხადება არასწორად იქნა აღქმული.

იმედი მაქვს, შეძლებთ, დაინახოთ მკაფიო სხვაობა საქართველოს წინა ხელისუფლების ქმედებებსა და ჩვენი პოლიტიკური გუნდის ნაბიჯებს შორის. ვფიქრობ, საჭიროა, შეგახსენოთ, რომ ამ რეზოლუციის მიღების დროს, თქვენ ეყრდნობოდით იმ პოლიტიკური ძალის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომელმაც მოსვლის შემდეგ დახურა ათეულობით გაზეთი და სატელევიზიო გადაცემა, დააპატიმრა და მიისაკუთრა ტელეკომპანია „ევროპის“ ქონება, 2007 წლის 7 ნოემბერს იარაღით შეიჭრა ტელეკომპანია „იმედში“, რომელიც წაართვა მესაკუთრეებს, 2011 წლის 26 მაისს ფიზიკურად გაუსწორდა ათეულობით ჟურნალისტს და ბოლოს — ჯაშუშობის ბრალდებით დააპატიმრა უდანაშაულო ფოტორეპორტიორები. 2005 წელს კი მიაყენა პირდაპირი ფინანსური დარტყმა ბეჭდვით მედიას, თქვა რა უარი საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გაზეთების გამოწერაზე.

სწორედ იმის გამო გადავდექი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან 2008 წელს, რომ არსებული კანონისა და შემადგენლობის პირობებში, შეუძლებლად მიმაჩნდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოების სამსახურში ჩაყენება. ჩემდა სამწუხაროდ, საბჭოს თავმჯდომარის გადადგომის მიზეზით არ დაინტერესებულა არც ევროპის დამოუკიდებელ მაუწყებელთა ასოციაცია და არც სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია.

როგორც მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე და საქართველოს პარლამენტის წევრი, ვგრძნობ ორმაგ პასუხისმგებლობას და არ შემიძლია, არ გითხრათ შემდეგი: თუ ჩვენ არ გვსურს, გვქონდეს რეალურად არა საზოგადოებრივი, არამედ სახელმწიფო ტელევიზია, საშუალება უნდა მივცეთ როგორც მოქალაქეებს, ასევე მაუწყებლის თანამშრომლებს, გამოთქვან საკუთარი აზრი, როგორ ხედავენ მომავალს. ჩვენი თხოვნაა, მოუსმინეთ მათ და არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს. ჩაერთეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების პროცესში, რათა ქართულმა საზოგადოებამ დაიჯეროს, რომ თქვენი მიზანი დემოკრატიის მხარდაჭერაა და არა — ერთი პოლიტიკური გუნდის, რომლის თავზე მოხვევასაც საქართველოს მოქალაქეებს ვეღარავინ აიძულებს. რეზოლუციების მიღებისას შეხვდით და მოუსმინეთ არა მხოლოდ ერთ მხარეს, არამედ როგორც პოლიტიკურ ძალებს, ასევე ამ სფეროს პროფესიონალებს. ეს თავიდან აგარიდებდათ იმ ფაქტობრივ შეცდომებს რეზოლუციის ტექსტში, რაც ასე უხერხული და სამწუხარო უნდა იყოს ასეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციისათვის“.

ჰოროსკოპი

30 იანვარი

ვერძი — დღეს, შესაძლოა, თქვენთვის უჩვეულო ფუნქციების შესრულება მოგიწიოთ, თუმცა მიღებული გამოცდილება სიამოვნებას მოგანიჭებთ და მომავალშიც უდავოდ გამოგადგებათ. უარს ნუ იტყვით სიახლეებზე და დღის მეორე ნახევარიც თამამად დაუთმეთ ახალ ემოციებს. გვიან კი, მეგობრებთან ერთად, გართობაზე უარი არ თქვათ.

კურო — კუროები მოულოდნელად აღმოაჩენენ, რომ შესაძლოა, დანაკარგი და შენაძენი ერთმანეთს შეუხამონ. შეიძლება, დიდი თანხა დახარჯოთ ნივთზე, რომლის შეძენასაც არ აპირებდით და მერე ინანოთ. სამაგიეროდ, ეს ნივთი, ბედის ნამდვილი საჩუქარი იქნება.

ტყუპები — დღეს ურთიერთობაში განსაკუთრებით ფრთხილი უნდა იყოთ. თქვენი ძველი ნაცნობებიდან ვიღაცას სურს, გამოგიყენოთ და ავანტიურაში გაგხვიოთ. ნურავის მისცემთ საშუალებას, ისარგებლოს თქვენი შემეცნებით, თავი აარიდეთ ნაჩქარევ, წინდაუხედავ ნაბიჯებს. სჯობს, დღის პირველ ნახევარში წამოწყებული საქმეები დაასრულოთ, საღამოს კი, ოჯახურ გარემოში დაისვენოთ.

კირჩხიბი — დღეს ბევრი საქმის გაკეთება მოგიწევთ, რამაც, შესაძლოა, ფსიქოლოგიური წონასწორობა დაგაკარგვინოთ, ყველაფრის მიტოვება და უბრალოდ, დასვენება მოგინდებათ, მაგრამ თუ თავს ხელში აიყვანთ და დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ, საკუთარი ხელით შექმნილი შედევრით დატკბებით. შეეცადეთ, ემოციები ნაკლებად გამოავლინოთ და ამით კოლეგებთან შესაძლო კონფლიქტს აარიდოთ თავი, დღის მეორე ნახევარში კი, უკეთესი იქნება, მშვიდ გარემოში დაისვენოთ.

ლომი — ლომებს დღეს მოთმინება და სიმშვიდე დასჭირდებათ. შესაძლოა, დიდი დრო დაგჭირდეთ, სანამ გარშემომყოფებს აუხსნით, რა გჭირდებათ, მაგრამ შეეცადეთ, ამას მოთმინებით მოეკიდოთ და ასეთი ფაქტები, გამძლეობაზე ტესტად აღიქვათ.

ქალწული — დადგა შესაფერისი დღე, როცა ქალწულებს შეუძლიათ საფუძვლიანად შეცვალონ სტატუსი ან ახალი საინტერესო საქმით დაკავდნენ. ცვლილებები პირად ცხოვრებაშიც მხოლოდ სიხარულისა და ჰარმონიის მომტანი იქნება. ოღონდ, ამისთვის გაბედული ნაბიჯის გადადგმა მოგიწევთ.

სასწორი — დღეს ყველას დაუმტკიცებთ, რომ იმაზე მეტი შეგიძლიათ, ვიდრე მათ ჰგონიათ. საგრძნობლად გაუმჯობესდება ფინანსური მდგომარეობაც, შესაძლოა, შეხვდეთ გავლენიან ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

მორიელი — შეხვედრებით დატვირთული დღე გელით. მოგიწევთ ხელოვნებაზე დისკუსიაში ჩაბმა, ბევრი საუბარი მუსიკაზე, ფილმებსა და სხვა შემოქმედებით ნაწარმოებებზე. შეეცადეთ, ამან თანამოსაუბრეს თქვენი პერსონის მიმართ ინტერესი არ ჩაუქროს. დღის მეორე ნახევარში კი თავს სასიამოვნო საჩუქარი გაუკეთეთ.

მშვილდოსანი — მშვილდოსნებმა ადრიანად უნდა დაიჭირონ თადარიგი სტუმრების მისაღებად. დღეს ბევრი მოისურვებს თქვენთან შეხვედრას და საუბარს ვიწრო მეგობრულ კამპანიაში. ნუ შეეცდებით ახლობლების გაოცებას კულინარიული შედევრებით — ისინი საჭმელად კი არა, თქვენთან დროის სასიამოვნოდ გასატარებლად მოდიან.

თხის რქა — მოულოდნელმა სატელეფონო ზარმა, შესაძლოა, თქვენ გეგმები თავდაყირა დააყენოს. მოგიწევთ სასწრაფოდ გამგზავრება ან სამსახურში არასამუშაო საათებში გასვლა, რათა ვიღაცის შეცდომები გამოასწოროთ. ალბათ, ეს არ მოგეწონებათ, მაგრამ ბედს ვერსად გაექცევით. საღამოს განწყობა რომ გამოიკეთოთ, საყვარელ ადამიანთან ერთად გაისეირნეთ ან მეგობრების წრეში გაერთეთ.

მერწყული — მერწყულებს შეუძლიათ დღე შესანიშნავად გაატარონ — მეგობრებთან ერთად, ბუნებაში გაისეირნონ, პიკნიკი მოაწყონ ან ხმაურიან ღონისძიებას დაესწრონ. აქტიური და სასარგებლო დასვენება ძალების აღდგენაში დაგეხმარებათ, ახალი ენერგიით აგავსებთ და შემოქმედებითი პოტენციალით დატვირთავთ. რთული საქმეებისგან კი, სჯობს, დღეს თავი შეიკავოთ.

თევზები — დღეს მაქსიმალურად ეცადეთ, თავი აარიდოთ კამათს, განსაკუთრებით, საყვარელ ადამიანთან. ნებისმიერმა გაუფრთხილებელმა სიტყვამ, შესაძლოა, თანამოსაუბრის გაბრაზება და წყენა გამოიწვიოს. შეეცადეთ, საუბრის თემა წინასწარ მოიფიქროთ და დასახულ გეგმას მიჰყვეთ. დღის მეორე ნახევარში მოსალოდნელია რომანტიკული შეხვედრა ან ახალი ნაცნობობა.

ამინდის პროგნოზი

	ოთხშაბათი	ხუთშაბათი
თბილისი	+5	+10
ქუთაისი	+13	+15
ბათუმი	+16	+17
სოხუმი	+15	+16
თელავი	+5	+8
გუდაური	-2	0
ბაკურიანი	-1	0
მესტია	+8	+10

შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები





ადვილი

3	4	2	1	9	8	7	6	5
5	1	9	7	6	3	8	4	2
6	8	7	4	5	2	9	3	1
4	9	6	5	2	1	3	8	7
8	3	5	9	7	4	2	1	6
2	7	1	8	3	6	5	9	4
1	2	4	3	8	5	6	7	9
7	6	3	2	4	9	1	5	8
9	5	8	6	1	7	4	2	3

რთული

6	8	7	9	1	4	5	3	2
4	5	3	8	2	7	1	9	6
2	1	9	6	5	3	4	7	8
9	4	8	7	3	1	6	2	5
5	6	2	4	9	8	3	1	7
7	3	1	5	6	2	9	8	4
1	2	6	3	8	5	7	4	9
3	9	4	2	7	6	8	5	1
8	7	5	1	4	9	2	6	3

საშუალო

5	6	4	2	3	1	7	9	8
9	7	1	6	5	8	4	3	2
3	2	8	4	9	7	5	6	1
4	5	6	9	8	3	2	1	7
2	3	9	1	7	4	8	5	6
1	8	7	5	2	6	3	4	9
8	4	5	7	6	9	1	2	3
6	1	3	8	4	2	9	7	5
7	9	2	3	1	5	6	8	4

ეჭვიანური

7	3	4	6	2	5	1	9	8
6	9	2	3	1	8	7	5	4
5	1	8	9	7	4	2	3	6
2	8	3	7	5	1	6	4	9
4	5	9	2	6	3	8	7	1
1	7	6	8	4	9	5	2	3
8	4	1	5	3	7	9	6	2
9	6	7	4	8	2	3	1	5
3	2	5	1	9	6	4	8	7

ჰოროსკოპი
31 იანვარი

ვერძი — დღეს შემოსავლები გაგახარებთ. თანხა კი შესაძლოა, რაიმე ძველებური და ძვირფასი ნივთის, ოჯახური რელიკვიის გაყიდვით შემოგივიდეთ, რომელიც თქვენთვის უკვე აღარ არის საინტერესო. თუმცა ამის გამო, ნივთს ძალიან იაფადაც ნუ გადააგდებთ. კარგი დღეა დაწყებული საქმეების მოსაგვარებლად, მაგრამ ახალი ხელშეკრულებების გაფორმებისგან თავი შეიკავეთ.

კურო — დღეს კუროები ორატორულ ნიჭს გამოავლენენ. შესაძლოა, ამან პოზიტიური ტენდენციებიც გამოიწვიოს და მატერიალური მდგომარეობაც გაგიუმჯობესდეთ. შეეცადეთ, დაგროვილი რთული პრობლემების მოგვარება ნელ-ნელა დაიწყოთ. ტვირთიც შეგიმსუბუქდებათ და საქმისადმი ინტერესიც დაგიბრუნდებათ.

ტყუპები — ტყუპებმა დღეს საკუთარ ფინანსურ მდგომარეობაზე უნდა იზრუნონ. არის რისკი, მსხვილი თანხა დაკარგონ ფულის გაუაზრებელი დაბანდებით ან საბუთების არასწორად გაფორმებით. შეეცადეთ, ამ საკითხზე პროფესიონალებთან გაიაროთ კონსულტაცია. დღის მეორე ნახევარში პოზიტიური ფონი მატულობს და საღამოს განწყობაც შედარებით გამოგიკეთდებათ, მით უმეტეს, თუ მას რომანტიკულ პაემანს მიუძღვნით ან მეგობრების წრეში გაატარებთ.

კირჩხიბი — დღეს რაღაც სასიამოვნო და საინტერესო ღონისძიებაზე დაგპატიჟებენ, სადაც წარმოუდგენელი წარმატება გელით, ამიტომ უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე. იქ ნახავთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს და ცხოვრებაც გაცილებით უკეთესი გახდება.

ლომი — არ არის გამორიცხული, დღის გმირად იქცეთ. შესაძლოა, მოულოდნელად ისეთ ადგილზე აღმოჩნდეთ, სადაც უნებლიე მოწმე გახდებით განვითარებული დრამისა. თქვენს მიერ გაწეული დახმარება სასიამოვნოდ გააოცებს გარშემომყოფებს.

ქალწული — მნიშვნელოვანი ამოცანის გასაღების შერჩევა ზოგჯერ ძალიან რთულია, მაგრამ დღეს შესანიშნავად გაართმევთ თავს ამ პრობლემას. უნდა შეიარაღდეთ არა მხოლოდ ინტელექტითა და ინტუიციით, არამედ ახლობელი ადამიანის დახმარებაზეც არ უნდა თქვათ უარი.

სასწორი — დღეს ვერავითარი სიტუაცია წყობიდან ვერ გამოგიყვანთ. რაც უნდა გიბიძგონ კონფლიქტებზე, კამათზე, რაც უნდა გაიძულონ, არაადეკვატურად მოიქცეთ — საკუთარ ემოციებს მაინც მკაცრად გააკონტროლებთ. დღეს მნიშვნელოვანი იქნება უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის შეძენის საკითხი. ოჯახურ საქმეებში კი მეტი ენერგიულობა გამოიჩინეთ.

ღრიანკალი — დღეს დროში მოგზაურობა გელით და მოგონებების დიდი ტალღა საკმაოდ შორეულ წარსულში გაგიტაცებთ. კარგი დღეა საქმიანი მგზავრობისთვის, სპორტით დაკავებისთვის. რეალური წარმატების მისაღწევად მეტი მოქმედება და ნაკლები საუბარი მოგიწევთ.

მშვილდოსანი — მშვილდოსნები დღეს, ძალისხმევის გარეშე, სიტუაციას ისე შემოაბრუნებენ, წარმატება თვითონ ჩაუვარდებათ ხელში, თუმცა ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ ზედმეტად ჯიუტი არ იქნებით და ნებისმიერ ფასად არ დაიწყებთ თქვენი მოსაზრების დაცვას. თუ გიყვართ საქმე და მოგწონთ ყოველდღიური მოვალეობები, საინტერესო ურთიერთობა დაამყარეთ კოლეგებთან.

თხის რქა — თქვენი ოცნებები მალე ასრულდება. დადგა დრო, საკუთარი შრომის ნაყოფი მოიწიოთ, მაგრამ ნუ ეცდებით ყველაფრის ერთდროულად მიღებას. დასვენების დღეებამდე მიმდინარე საქმეებს მიხედეთ. საღამოს შეგიძლიათ დრო მეგობრების კამპანიაში გაატაროთ. სადმე გამგზავრებას თუ დააპირებთ, გზაში მხოლოდ წარმატება და ბედნიერება შეგხვდებათ.

მერწყული — ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს შინაური საქმეებით წესიერად დაკავდეთ. მხიარული ღონისძიებები და სტუმრად სიარული, მოგიწევთ, უფრო შესაფერისი დროისთვის გადადოთ. თუ არ იცით, საიდან დაიწყოთ, რჩევა ოჯახის წევრებს ან მეგობრებს ჰკითხეთ. სიზარმაცე დღეს მისასალმებელი არ არის, ხოლო დილიდანვე სისტემატური, შეუპოვარი მუშაობა არჩეული მიმართულებით, აუცილებელია.

თევზები — მოულოდნელად მიღებული ცნობა ცოტა განერვიულებთ, მაგრამ ეს მღელვარებაც სასიამოვნო იქნება, რადგან თქვენთვის ახალი, მომხიბლავი პერსპექტივები იშლება, რაც ცხოვრებას კარდინალურად შეცვლის. ყველაზე მეტად კი ეს მოვლენები პირად ცხოვრებას შეეხება. სიყვარულთან დაკავშირებული პრობლემები დღეს უნდა მოაგვაროთ. ფინანსურ ოპერაციებში წარმატება გელით. იყავით თავდაჯერებული და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც მიაქციეთ ყურადღება.

ანჯელინა ჯოლი ისევ ფეხმძიმედაა?

ამერიკული ტაბლოიდები აჭრელებულია დამაინტრიგებელი სათაურებით: ანჯელინა ჯოლი კვლავ ფეხმძიმედაა. მსახიობთან დაახლოებულმა წყაროებმა უკვე გაუმხილეს ეს „სენსაციური“ ამბავი ერთ-ერთ პოპულარულ გამოცემას Star. პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ მანდილოსნად აღიარებული, მრავალშვილიანი ჯოლი ბოლო დროს იშვიათად ჩნდება წვეულებებსა და სხვადასხვა ღონისძიებებზე, რადგან არ აქვს სურვილი გახმაურდეს, რომ ის კვლავ ორსულადაა. დილით ხშირად აწუხებს გულისრევის შეგრძნება და ახლა ზედმეტი ყურადღება ნამდვილად არ სჭირდება, — ამბობს ანჯელინასთან დაახლოებული წყარო. იმასაც ამბობენ, რომ ბავშვის სქესიც ცნობილია — ბიჭია. ოჯახის ახალ წევრს ჯონს დაარქმევენ. შესაძლოა, სწორედ ამიტომ განაცხადა ცოტა ხნის წინ პოპულარულმა მსახიობმა და ექვსი შვილის დედამ, რომ სამსახიობო კარიერას ასრულებს. ტაბლოიდების ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ვარსკვლავური წყვილი — ბრედ პიტი და ენჯი არ გამოჩენილა „ოქროს გლობუსის“ დაჯილდოების ცერემონიაზე. არადა, ცოლ-ქმარი ასეთ ღონისძიებებს არ ტოვებს ხოლმე. უნდა ითქვას, რომ ჯოლის ფეხმძიმობაზე მედიაში ლამის ყოველ ექვს თვეში ერთხელ წერენ. ამბობენ, რომ შარშანდელი „ოსკარების“ ცერემონიაზე, უკვე ცნობილი მანერით — ფეხის გამოჩენით ჯოლის წამოზრდილი მუცლის დაფარვა უნდოდაო. მოკლედ, სჯობს მორიგ ჭორებს არ ავყვეთ, ვიდრე არ ვნახავთ ახალდაბადებული ბავშვის მილიონობით დოლარად შეფასებულ ფოტოს რომელიმე ცნობილ გამოცემაში.

ტინა ტერნერი შვეიცარელი გახდება, ბელუჩი — ბრაზილიელი

ვარსკვლავური მიგრაცია გრძელდება. ჟერარ დეპარდიეს კვალდაკვალ, მოქალაქეობის შეცვლა გადაწყვიტა ლეგენდარულმა მომღერალმა ტინა ტერნერმაც. ესტრადის დივას შვეიცარიის მოქალაქეობა სურს და უარს ამბობს ამერიკულ პასპორტზე, თუმცა მის გადაწყვეტილებას გადასახადებთან კავშირი არ აქვს. უკვე თითქმის 20 წელია მომღერალი ქალაქ კიუსნაჰტში ცხოვრობს მეუღლესთან, გერმანელ მუსიკალურ პროდიუსერთან, ერვინ ბახთან ერთად. მათ უკვე შეიტანეს გაცხადება მოქალაქეობის მიღებაზე და ახლა ციურიხის კანტონისა და ქვეყნის ფედერალურმა ხელისუფლებამ უნდა დააკმაყოფილოს (ან არ დააკმაყოფილოს — რაც ალბათ, წარმოუდგენელია) ეს მოთხოვნა. 73 წლის ცნობილი მომღერლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ტერნერი დიდად აფასებს ამ ქვეყნის სილამაზეს, ადგილობრივების კეთილგანწყობასა და პირადი ცხოვრებისადმი პატივისცემას. ერთ-ერთ ინტერვიუში კი ტინამ განაცხადა, რომ საცხოვრებლად უკეთესი ქვეყანა ვერ წარმოუდგენია. აშშ-ს ტენესის შტატის ქალაქ ნატბუშში დაბადებული მომღერალი 1986 წელს საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა, 1994 წლიდან კი უკვე შვეიცარიაში ცხოვრობს.

კიდევ ერთი ვარსკვლავური გადაადგილება უმშვენიერეს იტალიელ მსახიობს, მონიკა ბელუჩის ეხება. ის და მისი მეუღლე, ფრანგი მსახიობი ვენსან კასელი საცხოვრებლად მეორე ნახევარსფეროს, კერძოდ, ბრაზილიას ირჩევენ. ბელუჩი აცხადებს, რომ ეს ემიგრაცია არ უკავშირდება საფრანგეთში მდიდარი ადამიანების ახალი კანონით დაბეგვრას. უბრალოდ, მონიკას მისი ახალი საცხოვრებელი ადგილი მოსწონს. კასელთან ერთად ბელუჩი პარიზში რამდენიმე წელია ცხოვრობს. ცოტა ხნის წინ, მათ ბრაზილიაში სახლი შეიძინეს, მედიამ კი უმალ გადაწყვიტა, რომ ვარსკვლავური წყვილი ქვეყნიდან რთული პოლიტიკური მდგომარეობის გამო გარბის. ისინი ეჭვის გაფანტვას შეეცადნენ და განაცხადეს, რომ ძალიან უყვართ ბრაზილია და ცხოვრებაში ცვლილებების დიდი სურვილიც აქვთ. ეს ქვეყანა 18 წლის წინ შემიყვარდა. ყველას აქვს რაღაც ნაკლი...ვინ იცის, იქნებ ხუთი წლის მერე რომში — ჩემს უსაყვარლეს ქალაქში დავბრუნდე, მაგრამ ახლა ჩემი ადგილი აქ, ოკეანის ნაპირზეა. თანაც, ახლა კასელს რიო-დე-ჟანეიროში გადაღებები აქვს, — განაცხადა ბელუჩიმ.



მენინგიტის საწინააღმდეგო ვაქცინა შექმნეს

ვაქცინამ, რომელიც ბავშვებს მენინგიტის ყველაზე გავრცელებული და სასიკვდილო ფორმისგან დაიცავს, ევროპაში გამოყენების ლიცენზია მიიღო. პრეპარატი Bexsero, რომელიც ევროპულმა კომისიამ მოიწონა, უნიკალურია და შეუძლია, პატარები მენინგოკოქცემიისგან დაიცვას. აქამდე არსებული ყველა საშუალება, მხოლოდ ზოგიერთი ტიპის ბაქტერიაზე მოქმედებდა. ბრიტანეთის ჯანდაცვის კომიტეტი ზაფხულში გეგმავს, მთავრობასთან შეათანხმოს საკითხი, ახალი ვაქცინა ბავშვთა აცრების სიაში რომ შეიტანონ. დღეისთვის, ახალ პრეპარატს ნისლიან ალბიონზე და ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენებენ.

სუდოკუ

ადვილი

			4	8		3		
	6	4						
	2				5			8
2	1		8	7		5		
		5		4	3		1	6
6			7				2	
						7	5	
		8		1	4			

სტანდარტი

					8	7		
1		7	9	4				
9		6			5		2	
	6							2
7		5				1		3
3							5	
	9		2			5		7
				5	3	8		9
		8	6					

რთული

			5	2				
1		2						3
	5	4			3	7		
					7		8	
8		1		5		9		4
	9		8					
		9	7			3	5	
4						8		7
				6	1			

ექსპერტი

	9				3		5	
		2		9				8
5	8				4		9	
			8					4
8			4		6			9
3					2			
	5		7				8	2
1				6		7		
	4		3				6	

ეჭვიანობა ავადმყოფობად აღიარეს

იტალიელმა სწავლულებმა პიზის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ ეჭვიანობა პათოლოგიაა და ის თავის ტვინის ერთ-ერთი უბნის ზედმეტად აგზნებული მდგომარეობის შედეგია. მეცნიერების მოსაზრებით, ეჭვიანობის მკურნალობა აუცილებელია. ფსიქიატრიისა და ნევროლოგიის განყოფილების სპეციალისტებმა ამ პათოლოგიას უკვე უწოდეს „ოტელოს სინდრომი“, რომლის დროსაც, ჭარბი რაოდენობით დოპამინი გამოიყოფა. იტალიელი სწავლულები დარწმუნებულნი არიან, რომ დაავადების გამოვლენა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მეშვეობით შეიძლება, შემდეგ კი, დაავადების აღსაკვეთად, მკურნალობის მედიკამენტოზური კურსი უნდა ჩატარდეს.

მუსულმან ქალებს ფრჩხილის ღაქის წასმის უფლება მისცეს

აქამდე მუსულმან ქალებს ფრჩხილებზე ლაქის წასმის უფლება არ ჰქონდათ. ლოცვის რიტუალის წინ, ისინი სახესა და ხელებს საგულდაგულოდ იბანენ და, შესაბამისად, ფრჩხილზე მანიკურის დატოვება არ შეიძლება. პოლონურმა კოსმეტიკურმა კომპანიამ Inglot Cosmetics, სპეციალურად მუსულმანი ქალებისთვის, ფრჩხილის ლაქი პოლიმერისგან შექმნა, რომელიც აქტიურად გამოიყენება კონტაქტურ ლინზებში. პოლიმერი ფრჩხილში იჟღინთება, წყალთან კონტაქტისას კი უფერულდება. არაბულ სამყაროში ხშირი იყო დებატები იმასთან დაკავშირებით, უნდა წაისვას თუ არა მუსულმანმა მანდილოსანმა მანიკური — მკვეთრი ფერის ლაქს თუკი შენიშნავდნენ მამაკაცები, გაღიზიანებულები ქალების შეურაცხყოფას არ ერიდებოდნენ. ახლა კი ეს პრობლემა, როგორც ჩანს, უკვე მოიხსნება.

ფრანგული კერძები იაპონური მიწით



იმ დროს, როცა მზარეულების უმრავლესობა ცდილობს, ლამის აბსოლუტური სტერილურობა დაიცვას კერძების მომზადების დროს, ცნობილი იაპონელი კულინარები ტოკიოში არსებული ფრანგული სამზარეულოს რესტორნიდან **Ne Quittez**, უხვად აწვდიან კლიენტებს ტალახს... ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ეს ქალაქ კანუმადან ჩამოტანილი სპეციალური შავი მიწაა, რომელიც საგულდაგულოდაა შემოწმებული უსაფრთხოებაზე. ამ უცნაური იდეის ავტორის ვინაობა ახლახან გამჟღავნდა. რესტორნის შეფ-მზარეულმა ერთ-ერთი კულინარიული შეჯიბრი მოიგო, სადაც ჟიური გემრიელი სოუსით განაცვიფრა, რომელსაც ტალახი ჰქონდა დამატებული. მას შემდეგ შავი მიწა ფრანგული რესტორნის მენიუს შემადგენელი ნაწილი გახდა. ასე რომ, დახვეწილი კერძი, იაპონური მიწის დამატებით, მსურველებს საკმაოდ ძვირი — 110 დოლარი უჯდებათ. სურვილის მიხედვით, კლიენტს შეუძლია კომპლექსური მენიუ შეუკვეთოს ტალახით: სუპი მიწით, სალათი, ნაყინი ტალახის მინანქრით და ასე შემდეგ.

ქალებს იურისტი კაცები მოსწონთ

გაცნობის გერმანული საიტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მსხვილი ევროპული ქალაქების მცხოვრებ მანდილოსნებს ყველაზე მეტად იურისტი და არქიტექტორი მამაკაცები იზიდავთ. ამ პროფესიების მქონეებს რესპონდენტთა 25%-მა მიანიჭა უპირატესობა. ქალებისთვის მიმზიდველი პროფესიების რეიტინგში მეორე ადგილს ექიმები და ინჟინრები იკავებენ, მათ მხარს უჭერს გამოკითხულთა 22%. 18%-იანი მხარდაჭერა მოიპოვეს მხატვრებმა და მეცნიერებმა, 17% — ჟურნალისტმა და მარკეტინგის სპეციალისტმა მამაკაცებმა. ძლიერი სქესის ფორმიანი წარმომადგენლები — პოლიციელები ან მფრინავები რესპონდენტთა 13%-მა დაასახელა, ბანკის თანამშრომლებით კი მხოლოდ 10%-ია მოხიბლული. გერმანელ ქალებს ყველაზე მეტად არ სურთ, მათი პარტნიორები ინდმეწარმეები იყვნენ. მათი აზრით, ეს არა მხოლოდ არასტაბილურობას, არამედ არანორმალურ სამუშაო გრაფიკსაც გულისხმობს.





ხელოვნური თირკმელი თავად დაიმზადა

ჩინელმა მამაკაცმა სონგვენმა, რომელსაც არ ჰქონდა ფული თირკმელების სამკურნალოდ, თავად შეაკოწიწა ხელოვნური ორგანო. აპარატი ტუალეტში დგას და ავადმყოფი მისით კვირაში სამჯერ სარგებლობს, რათა სისხლი გაიწმინდოს ტოქსიკური ნივთიერებებისგან. მამაკაცს დიაგნოზი ჯერ კიდევ 20 წლის წინ დაუსვეს, როცა კოლეჯში სწავლობდა. ექვსი წლის განმავლობაში, სონგვენი სარგებლობდა ხელოვნური თირკმლით საავადმყოფოში, მაგრამ ამ მკურნალობამ მისი ოჯახი გააღატაკა. ავადმყოფმა გამოსავალი თავად მოიფიქრა და 13 წლის წინ თავად ააწყო დიალიზის აპარატი. მას შემდეგ, ყოველი პროცედურა პაციენტს მხოლოდ 10 დოლარამდე უჯდება, რაც კლინიკაში ამ პროცედურის ღირებულების 12%-ს შეადგენს. ჩინელი საკუთარ გამოგონებას საიდუმლოდ ინახავდა, რადგან ის უსაფრთხო არ არის — სონგვენის ორმა მეგობარმაც დაამზადა მსგავსი აპარატი, მაგრამ მოხმარების შემდეგ ორივე გარდაიცვალა. შარშან კი ჩინელმა შეიტყო, რომ მისი მკურნალობის ხარჯები დაზღვევას უნდა გადაეხადა და მხოლოდ ამის შემდეგ განათავსა ინტერნეტში ვიდეო თვითნაკეთი აპარატის შესახებ. ახლა მას მკურნალობის ხარჯებს უნაზღაურებენ და შეუძლია, კლინიკაში ჩაიტაროს დიალიზის პროცედურა.

ОБЪЯВЛЕНИЕ

Компания «СУМЫФИТОФАРМАЦИЯ» в форме ООО, специализирующаяся на оптовой торговле лекарственно-растительным сырьем, семенами, чаями, специями, реализует корпоративные права.

Цена договорная.

Контакты для потенциальных покупателей:
url: www.fitofarm.com e-mail: info@fito.sumy.ua
тел/факс: (0542) 780137

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

კომპანია „სუმიფიტოფარმაცია“, შპს-ს ფორმით, რომელიც სპეციალიზდება სამკურნალო მცენარეული ნედლეულის თესლის, ჩაის, სანელებლების საბითუმო ვაჭრობაზე, ახდენს კორპორატიული უფლებების რეალიზებას.

ფასი შეთანხმებით.

კონტაქტები პოტენციური კლიენტებისთვის:
url: www.fitofarm.com e-mail: info@fito.sumy.ua
ტელ/ფაქსი: (0542) 780137



დავეხმაროთ დიტოს!

დარეკეთ 0901-08-08-06

ყველა მობილური ოპერატორიდან და სილქნეტის ყველა ქსელიდან

ზარის ღირებულებაა 1 ლარი

დიმიტრი ცინცაძეს აქვს სიმსივნე, კერძოდ დიფუზური მსხვილუჯრედიანი არაჰოჯკინის ლიმფომა. ჩაუტარდა ქიმიოთერაპიის 2 კურსი, მაგრამ კვლავ საჭიროებს კურსის გაგრძელებას და შემდგომში ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელ ოპერაციას საზღვარგარეთ. ოპერაციის ფასი 100 000-დან 150 000 ევრომდეა. მას ესაჭიროება თქვენი დახმარება და მხარდაჭერა.

ბანკის რეკვიზიტებია:
კორ სტანდარტ ბანკი

ბანკის კოდი: KSBGG22

ანგარიშის ნომერი:
GE27KS0000360101317201 ლარი
მიმღები:
დიმიტრი ცინცაძე COBADEFF COMMERZBANK AG FRANKFURT AM MAIN GERMANY DEUTDEFF DEUTSCHE BANK AG FRANKFURT AM MAIN GERMANY KASBGGE22 JSC “KOR STANDARD BANK” GE27KS0000360101317201 FOR EUR ევროში
BENEFICIARY NAME:
DIMITRI TSINTSADZE BKTRUS33 DEUTSCHE BANK TRUST COMPANY AMERICA KSBGGE22 JSC “KOR STANDARD BANK” GE27KS0000360101317201 FOR USD დოლარში
BENEFICIARY NAME: DIMITRI TSINTSADZE

ბიძინა ივანიშვილსა და ირმა ინაშვილს ნობელის პრემიაზე წარადგენენ

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და ციხეში პატიმართა წამების კადრების გავრცელებისთვის, მედია-კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელს, ირმა ინაშვილს „ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფი“ მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წარადგენს. ნომინირებულთა შორის აგრეთვე იქნებიან მედია-კავშირ „ობიექტივის“ წამყვანები დავით თარხან-მოურავი, სოსო მანჯავიძე და გიორგი ლომაია, ასევე მერვე საპყრობილეს თანამშრომელი და კადრების ავტორი დავით აკობია.

ჯგუფის განმარტებით, ეს ადამიანები იმსახურებენ ნობელის პრემიას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში შეტანილი წვლილისთვის. ნობელის პრემიაზე ამ პიროვნებების წარდგენის ინიციატორი მწერალი, საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის შესწავლის კანადური ინსტიტუტის პირველი დირექტორი რომან ფინია. ინიციატივას ხელს აწერენ საქართველოს პარლამენტის წევრი, ოთარ ჩრდილელი, პოლიტოლოგები — ალექსანდრე რუსეცკი და კახა კახიშვილი, პროფესორები — ნანი ჭანიშვილი და თამარ კიკნაძე.

საზოგადო მოღვაწეთა ეს ჯგუფი 31 იანვარს „რია ნოვოსტის“ ოფისში კონფერენციაზე განმარტავს, მათი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ოპოზიციური ძალების გამარჯვება საქართველოში და როგორ მოხდა ხელისუფლებაში მათი მოსვლა.

დამოუკიდებელ მიმომხილველთა აზრით, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, 18 სექტემბერს გავრცელებულმა კადრებმა, სადაც ასახულია პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობისა და წამების ეპიზოდები, დიდწილად განაპირობა, კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვება.

არჩევნების შედეგად, კოალიციამ ხმათა 63% მოიპოვა და საპარლამენტო უმრავლესობა ჩამოაყალიბა, თუმცა დღემდე უცნობია ამ კადრების მოპოვებისა და გავრცელების დეტალები.

ყოფილმა ხელისუფლებამ, პატიმართა წამების ბრალდებით, კადრების ერთ-ერთი ავტორის, ლადო ბედუკაძის წინააღმდეგ, რომელმაც ბელგიაში გამგზავრება მოასწრო, სისხლის სამართლის საქმე აღძრა და მასზე ძებნა გამოაცხადა, თუმცა საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვების შემდეგ, ის საქართველოში დაბრუნდა. სასამართლომ მას ორიათასლარიანი (დაახლოებით, 1 300 აშშ დოლარი) გირაოს გადახდა დააკისრა და სასამართლო დარბაზიდან გაუშვა.

ირმა ინაშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ ის ბედუკაძეს საქართველოს ფარგლებსგარეთ გასვლაში დაეხმარა. ამასთან, შენიშნა, რომ პატიმართა წამების ამსახველი კადრები, მათ შორის, დღემდე გაუვრცელებელი, მას 2011 წლიდან გააჩნდა.

„მედია.გე“

კაკა „ანჟიში“ ეალავიდა

რამდენიმე საათის წინ, ესპანურმა გამოცემამ As და რუსულმა სპორტულმა მასმედიამ სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა. გაგიკვირდებათ, მაგრამ ბრაზილიის ეროვნული გუნდის ყოფილი ლიდერი, ამჟამად მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი კაკა მახაჩყალის „ანჟიში“ გადავიდა.

ესპანური გამოცემის მტკიცებით, ეს ტრანსფერი საბოლოოდ შეთანხმებულია და სამხრეთ ამერიკელი სულეიმან ქერიმოვის კლუბთან ოფიციალურ ხელშეკრულებას გააფორმებს.

„ანჟის“ სპორტული დირექტორი რობერტო კარლოსი, ამ დღეებში, ესპანეთის დედაქალაქში იმყოფება და ყოფილი გუნდის ხელმძღვანელობას რამდენჯერმე შეხვდა. მოლაპარაკების უმთავრესი მიზეზი კაკას შეძენის თემა გახლდათ.

ბოლო წლის განმავლობაში, ბრაზილიელი ნახევარმცველი „სამეფო გუნდის“ დატოვებას უშედეგოდ ცდილობდა. 2012 წლის ზაფხულში კარიერა ჯერ „პარი სენ ჟერმენში“ უნდა გაეგრძელებინა, ამ ვარიანტის ჩაშლის შემდეგ კი, კლუბ „მილანში“ უნდა გადაბარგებულიყო.

ფეხბურთელს, სამწუხაროდ, მადრიდში დარჩენა მოუწია და ბატონმა ჟოზე მოურინიომ ის სათადარიგოთა სკამის მუდმივ ბინადრად გადააქცია.



წინა კვირას „მილანის“ მფლობელმა სილვიო ბერლუსკონიმ კაკას დაბრუნება კვლავ გადაწყვიტა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. შემდეგ, „გალათასარაი“ გააქტიურდა და დროგბასა და ვესლი სნეიდერის ყიდვის შემდეგ, კაკაც მოინდომა. ბრაზილიელს თურქულ საფეხბურთო პირველობაზე ასპარეზობა არ ეწერა, რადგან „რეალმა“ მაღალი ფასი დაადო და „გალას“ ხელმძღვანელობას უკან დახევა მოუწია.

კაკა უთამაშოდ მაინც არ დარჩა. „ანჟის“ მფლობელმა სულეიმან ქერიმოვმა რობერტო კარლოსი სასწრაფოდ მადრიდს მიავლინა და „რეალის“ მიერ მოთხოვნილი სატრანსფერო ღირებულება ულაპარაკოდ გადაიხადა.

ჯერჯერობით, უცნობია, ბრაზილიელი რა თანხად გაიყიდა და მომავალ კლუბთან რამდენწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

დაზუსტებული მონაცემებით, კაკა მახაჩყალურ გუნდთან ხელშეკრულებას გააფორმებს. „ანჟიში“ მისი გადასვლის ამბავი კი ესპანური და რუსული სპორტული მასმედიის ძირითადი სალაპარაკო თემაა.

იპოვეთ თქვენი www.versia.ge

ვერსია

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com